საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკა

ლელო

პირველი ქართული სპორტული გაზეთი
გამოიცემა 1934 წლის 13 აპრილიდან
9 იანვარი ხუთშაბათი 2014
№003 (14 224) ფასი 80 თეთრი




# საფეხბურთო კლიმატი ბოლომდე შეიცვალა

2022 წლის მუნდიალი ნოემბერ-დეკემბერში გაიმართება

↳8

ჭორია თუ მართალი?

ShowTime-cy:

# 9 იანვარს ქეცბაია ანორთოსისში დაინიშნება!

კვიპროსული „შოუ თაიმი" სენსაციურ ცნობას აქვეყნებს, რომლის თანახმადაც, **თემურ ქეცბაია,** შესაძლოა, ფამაგუსტის „ანორთოსისის" ტექნიკური დირექტორი გახდეს. ეს ინფორმაცია „შოუ თაიმმა" კონფიდენციალური წყაროსგან შეიტყო და გამოაქვეყნა რუბრიკით - „ჭორია თუ მართალი".

*„მალე შეიძლება თემურ ქეცბაია „ანორთოსისის" ტექნიკურ დირექტორად ვიხილოთ. ეს ინფორმაცია ამ კლუბში მომუშავე ადამიანისგან შევიტყვეთ, რაც ოფიციალურ დონეზე ჯერჯერობით დადასტურებული არ არის, თუმცა ამბობენ, რომ ყველასთვის საყვარელი მწვრთნელი ბრუნდება. ამას გარდა, იმედი აქვთ, რომ გამოჩნდება ახალი სპონსორი და კლუბს მეტი ეკონომიკური საშუალება ექნება. თუ ეს ხმები გამართლდა, მაშინ 9 იანვარს ამ დანიშვნის შესახებ ოფიციალურადაც შევიტყობთ. კიდევ ერთხელ ვაზუსტებთ, რომ წყარო მეტად კონფიდენციალური პირია",* - წერს საიტი.

ჩვენი მხრიდან შეგახსენებთ, რომ 45 წლის ქეცბაიამ „ანორთოსისში" ფეხბურთელობისას 1992-94 და 2002-06 წლები გაატარა. 2004-06 წლებში ის ამ კლუბის მოთამაშე-მწვრთნელი იყო და გუნდი ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზეც ათამაშა, 2009 წელს კი, ვიდრე საქართველოს ნაკრებს ჩაიბარებდა, მცირე ხნით ბერძნულ „ოლიმპიაკოსშიც" იმუშავა, თუმცა მოასწრო და ეს გუნდიც ჩემპიონთა ლიგის ჯგუფურ ეტაპზე გაიყვანა.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**



თემის გაგრძელება ↳4



## საქართველო-ლიტვა 26:23

# მოვიგეთ კიდევ ერთი, რიგშია ფინეთი

↳11

თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტო

DINAMO TBILISI
1925

# ტრანსფერები ათასფერები

6 კონტრაქტი დინამოში, ზესტაფონშიც სიახლეებია

↳2



# გაიხსნა

ევროთასის გათამაშებაში მეორე ეტაპის პირველი შეხვედრა ჩაატარა **ვიქტორ სანიკიძისა** და **გიორგი შერმადინის** „სარაგოსამ". ესპანურმა კლუბმა ხორვატიის „ცედევიტას" უმასპინძლა და მოულოდნელად 67:75 დამარცხდა.

ქართველები სასტარტოები იყვნენ. შერმადინმა 8-8 ქულა-მოხსნა და 2 პასი მოაგროვა, ხოლო სანიკიძემ - 27 წუთში 6 ქულა და 7 მოხსნა.

● დინამო



# საინტერესო ტრანსფერები

ირაკლი მოდებაძე

თორნიკე გორგიაშვილი

ზამთრის პაუზის დროს თბილისის „დინამოში“ ამდენი საკადრო ცვლილება მომხდარიყოს, მართლაც ვერ გაგვიხსენებია, მსგავსი ფაქტი როდის იყო! კი, ბატონო, არცთუ შორეულ წარსულში, სწორედაც რომ ზამთრის პაუზის დროს, „დინამოში“ გასასინჯად არაერთი „გაურკვეველი წარმოშობის თუ კვალიფიკაციის“ უცხოელი მოსულა, თუმცა ამათგან ერთეულს თუ მოუწონებია თავი ჩვენი ყველაზე ტიტულიანი კლუბის მწვრთნელ-ხელმძღვანელებისათვის; თანაც, ვინც დარჩენილა, ექვს თვეში ისევ უკან წასულა...

აი, ამჟამად კი აბსოლუტურად განსხვავებული სიტუაციაა: წინა სეზონის ტრიუმფატორმა XXV ჩემპიონატის პირველი ეტაპიც პირველ ადგილზე დაამთავრა, მაგრამ ზამთრის პაუზა ჯერ დაწყებული არ იყო, „დინამოში“ სერიოზული საკადრო ცვლილებები რომ მოხდა. შეგახსენებთ, ურთიერთშეთანხმების საფუძველზე გუნდი დატოვეს **ლევან ხმალაძემ, გიორგი შაშიაშვილმა** და **ირაკლი ლექვთაძემ,** ხოლო **გივი კვარაცხელია, გიორგი მერებაშვილი, გიორგი სეთურიძე, ელგუჯა გრიგალაშვილი, ომარ მიგინეიშვილი, გიორგი მიქაბერიძე** და **დავით ხოჭოლავა** ტრანსფერზე დააყენეს. ამ ცხრა ფეხბურთელიდან ორი (ხმალაძე, მერებაშვილი) ძირითადის მოთამაშე იყო, სეთურიძესა და გრიგალაშვილსაც ასევე ძალიან ხშირად უწევდათ მოედანზე გამოსვლა, აი, გივი კვარაცხელია კი საერთოდაც ერთადერთი გახლდათ „დინამოში“, ევროტურნირების ექვსივე მატჩი და პირველ ეტაპზე ჩემპიონატის 18-ვე შეხვედრა შეუცვლელად რომ ჩაატარა!!!

თუმცა, ჩვენ ხომ არ ვიცით, რა კრიტერიუმით იხელმძღვანელეს „დინამოში“, როცა ასეთი სოლიდური საკადრო „წმენდა“ წამოიწყეს? ჰოდა, გავიდა სულ ცოტა ხანი და „დინამოც“ ნელ-ნელა ივსება, თანაც, ზემოთნახსენები „გაურკვეველი წარმოშობისა თუ კვალიფიკაციის“ უცხოელებით კი არა, არამედ საქართველოს ჩემპიონატში მოასპარეზე მართლაც არცთუ ურიგო ფეხბურთელებით!

ჰო, ჯერ კიდევ ახალი წლის დადგომამდე იყო ცნობილი, რომ „დინამოში“ გააგრძელებდნენ კარიერას პირველი ეტაპის სამი გამორჩეული ფეხბურთელი, თავიანთ გუნდებში ლიდერები რომ გახლდნენ: 25 წლის ცენტრალური მცველი **გიორგი ხიდეშელი** (ქუთაისის „ტორპედოდან“), „ვიტ ჯორჯიას“ აწ უკვე ყოფილი კაპიტანი და ამპლუით შემტევი ნახევარმცველი, 24 წლის **გიორგი ჯანელიძე** და ბოლო სამი სეზონის ერთ-ერთი საუკეთესო გოლიადორი, 29 წლის ცენტრფორვარდი **ირაკლი მოდებაძე** (გორის „დილადან“); აღსანიშნავია, რომ ხიდეშელი, ჯანელიძე და მოდებაძე „ლელომ“ პირველი ეტაპის სიმბოლურ ნაკრებში შეიყვანა.

გიორგი ხიდეშელი 7 სეზონი „ზესტაფონში“ თამაშობდა, თუმცა წინა ორ ჩემპიონატში მხოლოდ და მხოლოდ 2 მატჩი ჩაატარა; საბედნიეროდ, ტრავმებისგან გაწამებული ეს ჩინებული ფიზიკური მონაცემების მქონე ცენტრალური მცველი (სიმაღლე 192 სმ) ამ სეზონში ჩინებულად წარმოჩინდა თავის ახალ გუნდში და პირველ ეტაპზე, „ტორპედოს“ შემადგენლობაში, უდავოდ, საუკეთესო გახლდათ.

გიორგი ჯანელიძე საქართველოს ჩემპიონატში ერთ-ერთი გამორჩეული პლეიმეიკერია და წინა სეზონში რუსეთის პირველი ლიგის გუნდ ნიჟნეკამსკის „ნეფტეხიმიკში“ გატარებულ პერიოდს თუ არ ჩავთვლით, აქამდე მხოლოდ ერთადერთ გუნდში „ვიტ ჯორჯიაში“ ასპარეზობდა, რომლის აღზრდილიც გახლავთ და სადაც გუნდის ლიდერადაც ჩამოყალიბდა. პირველ ეტაპზე ჯანელიძემ 18-ვე მატჩი ჩაატარა (მხოლოდ ერთხელ შეცვალეს, ისიც მატჩის მიწურულს) და 3 გოლი გაიტანა.

„დინამოს“ ახალწვეულთაგან ყველაზე გამოცდილი ირაკლი მოდებაძეა, რომელსაც საქართველოს ჩემპიონატში დებიუტი 26 წლის ასაკში ჰქონდა! საქმე ისაა, რომ თავის დროზე საქართველოს ჭაბუკთა ნაკრების ერთ-ერთი გამორჩეული ფორვარდი 18 წლისაც არ იყო, უკრაინაში რომ გაემგზავრა და სადაც 9 სეზონი ასპარეზობდა! სამშობლოში დაბრუნებულმა მოდებაძემ ორი სეზონი რუსთავის „მეტალურგში“ გაატარა, წინა სეზონიდან 2013 წლის დეკემბრის ბოლომდე კი „დილას“ შეტევების ლიდერი გახლდათ. მოდებაძემ პირველ ეტაპზე 16 მატჩი ჩაატარა და 9 გოლი გაიტანა.

ახლა კი გუშინ გაცხადებულ კიდევ სამ ტრანსფერზეც; „დინამოში“ გააგრძელებს კარიერას უმაღლესი ლიგის ალბათ, ყველაზე ტანმაღალი მეკარე (198 სმ), 24 წლის **ნიკა დაუშვილი,** რომელიც პირველ ეტაზე და წინა სეზონში „ვიტ ჯორჯიას“ ძირითადი და შეუცვლელი მეკარე იყო, მანამდე კი ცხინვალის „სპარტაკში“ გამოდიოდა.

ერთობ საინტერესო ტრანსფერად მიგვაჩნია უდავოდ პერსპექტიული ფეხბურთელის, 19 წლის **მათე ცინცაძის** „დინამოში“ ჩარიცხვა; ცინცაძე საქართველოს 17 და 19-წლამდელთა ნაკრების ერთ-ერთი ლიდერია და ამპლუით საყრდენ ნახევარმცველს პირველ ეტაპზე არც უფროსებთან პაექრობებში შეურცხვენია თავი: ქუთაისის „ტორპედოს“ ძირითადი და შეუცვლელი ფეხბურთელი გახლდათ. მანამდე კი ასეთივე სტატუსი პირველ ლიგაში, თბილისის „ლოკომოტივში“ ჰქონდა.



ნიკა დაუშვილი

დაბოლოს, ალბათ, ყველაზე ხმაურიან ტრანსფერზეც: „ზესტაფონის“ აწ უკვე ყოფილი ნახევარმცველი, 25 წლის **თორნიკე გორგიაშვილი** ამიერიდან თბილისის „დინამოში“ ითამაშებს. გორგიაშვილი „ზესტაფონის“ შემადგენლობაში ორჯერ გახდა საქართველოს ჩემპიონი, საქართველოს ეროვნულ ნაკრებშიც მიიწვია **თემურ ქეცბაიამ,** თუმცა მიმდინარე სეზონში არც ერთი მატჩი არ ჩაუტარებია: მიზეზი კი ფეხბურთელსა და „ზესტაფონს“ შორის დავა იყო, თუმცა ამ თემას აღარ დავუბრუნდებით; მთავარია, რომ „დინამომ“ ტაქტიკურად განსწავლული და მოედანზე კარგად მოაზროვნე ცენტრალური ნახევარმცველი დაიმატა, რომელსაც „საყრდენის“ ფუნქციების შესრულებაც შეუძლია და „პლეიმეიკერისაც“.

„დინამოს“ ექვსივე ახალწვეულმა, ისე როგორც გუნდის სხვა ფეხბურთელებმა (ოღონდ, ლეგიონერების გარდა), მეორე ეტაპისათვის მზადება გუშინ, - დიღმის საწვრთნელ ბაზაზე დაიწყეს ინდივიდუალური პროგრამით. 13 იანვარს ფეხბურთელები სამედიცინო შემოწმებას გაივლიან, ხოლო 15 იანვრიდან სრულფასოვანი მზადების პროცესიც დაიწყება. რაც შეეხება გუნდის ლეგიონერებს, **უსტარიცი, ჩისკო** (ორივე-ესპანეთი), **დარკო გლიშიჩი** (მაკედონია), **დორინ გოგა** (რუმინეთი) და **პატრიკ ვუო** (კოტდივუარი) „დინამოს“ 16 იანვარს შეუერთდებიან.

დიღმის ბაზაზე მზადების პირველი ეტაპი 27 იანვრამდე გასტანს, 25 იანვარს კი პირველი სპარინგიც არის დანიშნული: **მალხაზ ჟვანიას** დამოძღვრილი „დინამო“ „ვიტ ჯორჯიას“ ამხანაგურ მატჩში დაუპირისპირდება. მზადების მეორე ეტაპის კი გუნდი თურქეთში გაივლის: 27 იანვრიდან 11 თებერვლამდე „დინამო“ ანთალიაში მოემზადება და ხუთ საკონტროლო შეხვედრასაც ჩაატარებს. სავარაუდო მეტოქეები იქნებიან: „ჩერნომორეცი“ (ოდესა, უკრაინა), „ჰაიდუკი“ (სპლიტი, ხორვატია), „მლადა ბოლესლავი“ (ჩეხეთი), „პოდბესკიდძიე“ (ბიელსკო-ბიელა, პოლონეთი), მეხუთე სპარინგ-პარტნიორი გუნდის ვინაობა კი მოგვიანებით გაირკვევა.

**გია ტუხაშვილი**

● ახალწვეული

# მათე ცინცაძე: დინამოში თამაში ჩემი ოცნება იყო



მათე ცინცაძე (№13)

თბილისის „დინამოში“ ჩარიცხული 6 ახალი ფეხბურთელიდან ერთ-ერთი - ქუთაისის „ტორპედოს“ აწ უკვე ყოფილი მოთამაშე, საყრდენი ნახევარმცველი **მათე ცინცაძეა**. ის საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრების წევრი გახლავთ. მისი დამსახურებაცაა, რომ **ვასილ მაისურაძის** გუნდმა 17-წლამდელთა ევროპის ჩემპიონატზე ბრინჯაოს მედალი მოიგო; ცინცაძის წვლილია 2013 წლის მიწურულს 19-წლამდელთა ნაკრების მიერ მოპოვებული ელიტრაუნდის საგზურშიც (ჩვენმა გუნდმა ჯგუფში ჰოლანდია ჩამოიტოვა და პირველი ადგილი დაიკავა).

ქართული ფეხბურთის გულშემატკივრებისთვის ამ გუნდის თითოეული ფეხბურთელის ბედი მნიშვნელოვანია, რადგან 25, 27 და 30 მაისს 19-წლამდელებს ისრაელთან, ჯგუფის მასპინძელ შვეიცარიასა და კვიპროსთან გადამწყვეტი მატჩები ელით, შესაბამისად, ფეხბურთელების მზადყოფნასა და სათამაშო პრაქტიკაზე ბევრი რამ იქნება დამოკიდებული.

ცხადია, „დინამოში“ ტრანსფერით გახარებულია თავად ცინცაძეც: *„ქუთაისის „ტორპედოში“ მომხდარი მოვლენების შემდეგ, ჩემით, როგორც მითხრეს, რამდენიმე კლუბი იყო დაინტერესებული. მათ შორის იყვნენ რუსეთის პრემიერლიგისა და პირველი ლიგის გუნდები და იქ სინჯებსაც მთავაზობდნენ. მათ გარდა, საქართველოს ჩემპიონატის წამყვანი კლუბებიც მიწვევდნენ. მაგრამ არ დავმალავ, თბილისის „დინამოს“ ვარიანტი რომ გამოჩნდა, სხვა გუნდებზე ფიქრი დავამთავრე. ეს ტრანსფერი ჩემთვის ძალიან ბევრს ნიშნავდა, რადგან „დინამოში“ თამაში ჩემი ოცნება იყო და ძალიან ბედნიერი ვიყავი, როცა კონტრაქტის გაფორმება შემომთავაზეს. ისიც კარგად მესმის, რომ ქვეყნის საუკეთესო გუნდის ძირითად შემადგენლობაში ადგილი დაჯავშნილი არავის აქვს, საამისოდ დიდი კონკურენციის დაძლევა და შრომა დამჭირდება. დიდ გუნდში სხვაგვარად არც იქნება და იმედია, „დინამოში“ ადგილს მაინც დავიმკვიდრებ“.*

**მერაბ მამულაშვილი**

ზუგდიდი


მაქსიმე ქვილითაია

# ქვილითაია და ვულპე ზუგდიდში

**გიორგი დარასელიამ** „ზუგდიდის" განახლება რომ დაიწყო, ამაზე უკვე ვწერდით. საშემოდგომო ეტაპის დასრულების შემდეგ ბევრ მოთამაშეს კონტრაქტი დაუმთავრდა და სხვაგან წასვლა ამჯობინა. დღეისთვის გუნდში აღარ არიან მეკარეები - **ზურაბ მამალაძე** და **დავით კეკელიძე**, აგრეთვე, **როინ ონიანი, დათა რიგვავა, მაკარ აქუბარდია, ლევან წურწუმია, ვაკო ტყემალაძე, გიორგი ხუბუა** და **ირაკლი ეხვაია**.

ცნობილი იყო, რომ „ზუგდიდში" რუმინელ ლეგიონერს ელოდნენ. გუშინ მას კლუბის წარმომადგენლები თბილისის აეროპორტში დახვდნენ. სიახლეები ჩვენმა კოლეგამ, **ფრიდონ კერვალიშვილმა** გაგვანდო, რომელიც „ზუგდიდის" სპორტულ დირექტორად დაინიშნა: *„ჩვენი ახალწვეული რობერტ ვულპე გახლავთ, რომელიც 22 წლისაა. მან ბოლო სეზონი ლიტვის ჩემპიონატის აუტსაიდერ „ტაურასში" გაატარა და ამ გუნდის შემადგენლობაში 22 მატჩი ჩაატარა".*

„ვიკიპედიაში" კი ამოვიკითხეთ, რომ **რობერტ ლილიან ვულპე** 1992 წლის 2 ივლისს, კრაიოვაში დაიბადა. 21 წლის ვულპე ცენტრალური ნახევარმცველია. სამშობლოში კარიერა ცენტრალურ მცველად დაიწყო. ბავშვობაში **ჯიკა პოპესკუს** სახელობის კრაიოვას „უნივერსიტატიას" საფეხბურთო აკადემიაში ვარჯიშობდა. პროფესიული კარიერა 2012 წელს რუმინეთის მეოთხე ლიგის კლუბ ოსტროვენის „რეკოლტაში" დაიწყო. იმავე წლის ზაფხულში ვულპე კფარ-საბას (ისრაელი) „ჰაპოელს" შეუერთდა. 2013 წლის ზაფხულში კი ლიტვის A ლიგის (უმაღლესი ლიგა) „ტაურასში" ჩაირიცხა, რომელიც პირველ დივიზიონში დაქვეითდა.

კერვალიშვილის თქმით, „ზუგდიდში" გააგრძელებს კარიერას ქუთაისის „ტორპედოს" ყოფილი მეკარე **მაქსიმე ქვილითაიაც**. კიდევ რამდენიმე ქართველი მოთამაშის „ზუგდიდში" ჩარიცხვის ამბავი უახლოეს დღეებში გადაწყდება.

**მერაბ მამულაშვილი**

საფეხბურთო კლუბი „დინამო თბილისი" თანაგრძნობას უცხადებს ჩვენი გუნდის ვეტერან ფეხბურთელს ამირან მინაშვილს მამის და „დინამოს" საფეხბურთო აკადემიის ხელმძღვანელს გიორგი მინაშვილს ბაბუის გარდაცვალების გამო.

მეგობრები და ახლობლები ღრმა სამძიმარს უცხადებენ ფეხბურთელებს მერაბ და დავით გიგაურებს მამის გარდაცვალების გამო.

*პანაშვიდი: 9, 10, 01; დაკრძალვა 11. 01; 14 საათზე. მისამართი: თბილისი, ზესტაფონის ქ. №22-ა (მეტრო „ელდეპო", პურის ქარხნის წინ).*

საქართველოს ჩემპიონატი. I ეტაპის შეჯამება

დილა

# ევროპიდან საქართველომდე

**ბოლო** ორი სეზონი „დილას" ისტორიაში, უდავოდ, საუკეთესო იყო: გუნდმა ჯერ საქართველოს თასი მოიპოვა, შემდეგ კი ჩემპიონატშიც იყოჩაღა და პირველად დაეუფლა ვერცხლის მედლებს. ამას გარდა, წინა ორი წელიწადი „დილას" ისტორიაში სხვა რამითაც იყო განსაკუთრებული: გორელთა გუნდმა შარშანაც და შარშანწინაც, მართლაც რომ ღირსეულად იასპარეზა ევროტურნირებზე და ორივე შემთხვევაში ძალიან ახლოს იყვნენ ევროპის ლიგის ჯგუფურ ეტაპზე მოსახვედრად.

თუმცა შარშან ზაფხულს ევროტურნირებზე წარმატებულმა თამაშმა უკუეფექტიც გამოიწვია: „დილას" ფეხბურთელთა უმრავლესობის სპორტული ფორმის პიკი სწორედ ევროპა ლიგის მატჩებს დაემთხვა, აი, მერე კი, როცა XXV ეროვნული ჩემპიონატი „გახურდა", გორელთა გუნდი, ცოტა არ იყოს, „დამძიმებული" გამოიყურებოდა. არადა, სეზონის დაწყებამდეც ვივარაუდეთ, რომ თუ რომელიმე გუნდს შეეძლო „დინამოსათვის" მეტ-ნაკლები კონკურენციის გაწევა, სწორედ „დილა" უნდა ყოფილიყო.

ახალი სეზონის სტარტიც ამას მოწმობდა, მაგრამ მერე და მერე სიტუაცია უარესობისაკენ შეიცვალა: ჯერ იყო და უცხოურ კლუბებში გადავიდნენ „დილას" წამყვანი ფეხბურთელები ლაშა გვალია და გიორგი ილურიძე; ამას ისიც დაემატა, რომ ტრავმის გამო რამდენიმე მატჩი გაუცდა გუნდის კიდევ ერთ ლიდერს გრიგოლ დოლიძეს, რომელიც ზაფხულში მართლაც ჩინებულ ფორმაში იმყოფებოდა. საერთოდაც, წამყვანი ფეხბურთელების ტრავმებისა თუ დისკვალიფიკაციების გამო „დილას" ოპტიმალური შემადგენლობით, ფაქტობრივად, არ უასპარეზია.

ამასობაში, გუნდს კრიზისული პერიოდიც დაუდგა: 13 სექტემბრიდან 6 ოქტომბრის ჩათვლით ჩატარებულ ხუთ შეხვედრაში „დილამ" მხოლოდ 4 ქულის აღება მოახერხა და, როგორც ჩვენთან ხდება-ხოლმე, საკადრო ცვლილებამაც არ დააყოვნა! ჰო, ერთობ ხანმოკლე აღმოჩნდა გიორგი დევდარიანისა და „დილას" ურთიერთობა - IX ტურიდან გუნდს უკვე რამაზ სოლოლაშვილი მოძღვრავდა, წლების განმავლობაში გორელთა გუნდის მეკარე რომ იყო და თავის დროზე საქართველოს ახალგაზრდულ ნაკრებსა და თბილისის „დინამოშიც" რომ უთამაშია.

სოლოლაშვილი ბოლო წლებია „დილას" სამწვრთნელო შტაბის წევრი გახლდათ და, აქედან გამომდინარე, უცხო გარემოში ნამდვილად არ მოხვედრილა. სხვათა შორის, მისი ხელმძღვანელობით „დილამ" ჩემპიონატში 10 მატჩი ჩაატარა და მხოლოდ ერთხელ დამარცხდა...


რამაზ სოლოლაშვილი

## მეკარე

„დილას" წარმატებული ასპარეზობის ერთ-ერთი უმნიშვნელოვანესი საწინდარი, რაღა თქმა უნდა, მეკარის ფაქტორიც იყო: გორელთა გუნდის კარს ხომ ბოლო წლების ერთ-ერთი საუკეთესო ქართველი მეკარე, **ნუკრი რევიშვილი** იცავდა!

სამწუხაროდ, ასეთი მაღალი დონის მეკარეს მეორე ეტაპზე ვეღარ ვიხილავთ: ფაქტობრივად, გადაწყვეტილია, რომ 26 წლის რევიშვილი თავის კარიერას უცხოეთში გააგრძელებს, პირველი ეტაპის დასკვნით ორ ტურში „დილას" კარს **ბექა შეყრილაძე** იცავდა და წარმატებულადაც: 30 წლის მეკარემ ორივე მატჩი „მშრალად" ჩაატარა.

## დაცვა

საქართველოს ჩემპიონატში ერთი-ორი გუნდი თუ ასპარეზობს სამი ცენტრალური მცველით და მათ შორის უპირველესად „დილა" უნდა ვახსენოთ. 32 წლის **ოთარ ხიზანეიშვილს**, 29 წლის **ალექსანდრე კვახაძესა** და 25 წლის **გულვერდ თომაშვილს** გამოცდილება ნამდვილად არ დაეწუნებათ, თუმცა ამ „ტრიოს" ერთად ხშირად არც უთამაშია.

ასევე ბევრი გაუცდა ერთობ პერსპექტიულ მცველს, 21 წლის **მამუკა კობახიძეს;** რაც შეეხება ფლანგის მცველებს, მარცხნივ, უმეტესწილად, 25 წლის **გიორგი გურული** ასპარეზობდა, მარჯვნივ - 28 წლის **თემურ ღონღაძე;** რაც შეეხება ამპლუით ასევე მარჯვენა მცველს **კახა ალადაშვილს**, იყო მატჩები, როცა 30 წლის ფეხბურთელი საყრდენ ნახევარმცველადაც გაუმწესებიათ და ურიგოდ ნამდვილად არ უასპარეზია.

## ნახევარდაცვა

**ლაშა გვალია** „დილას" საკვანძო ფეხბურთელი გახლდათ და მისი წასვლით გორელთა გუნდის შუა ხაზი რომ საგრძნობლად დასუსტდა, ფაქტია. თუმცა, ამ რგოლში მაინც დარჩნენ ისეთი ფეხბურთელები, რომელთა ასპარეზობაზეც ბევრად იყო დამოკიდებული გუნდის წარმატებული თამაში: 33 წლის **დავით ბოლქვაძე** ჩვეულად უძლებოდა თანაგუნდელთა შეტევებს, 31 წლის **გრიგოლ დოლიძეს** სეზონის სტარტი მართლაც ზღაპრული გამოუვიდა, 25 წლის **ირაკლი მაისურაძე** კი ნახევარდაცვაში ნებისმიერ პოზიციაზე ასპარეზობდა.

სტაბილურობა აკლია, თორემ ერთობ პერსპექტიული გარემარბია 20 წლის **მიხაილ გორელიშვილი;** სასიამოვნოა, რომ ნელ-ნელა იმკვიდრებს ძირითადში ადგილს ასევე, უდავოდ, პერსპექტიული საყრდენი, 18 წლის **გიორგი აბურჯანია.** მთავარ მწვრთნელად **რამაზ სოლოლაშვილის** დანიშვნის შემდეგ „დილას" შემადგენლობაში უფრო ხშირად ჩნდებოდნენ ადგილობრივი ფეხბურთელები: 26 წლის ტყუპი ძმები, **პავლე** და **ვალტერ ხორგუაშვილები**, აგრეთვე 29 წლის **რომან გოგინაშვილი**.

კიდევ ერთმა ადგილობრივმა ფეხბურთელმა, 25 წლის **ნიკოლოზ სადალაშვილმა** კი პირველი ეტაპის დასკვნითი მატჩები ჩინებულად ჩაატარა და თავისი არცთუ მოკრძალებული წვლილი შეიტანა რამდენიმე მატჩში.

## თავდასხმა

წესითა და რიგით, ამ სეზონში ერთ-ერთი ყველაზე გამორჩეული შეტევის ხაზი „დილას" უნდა ჰყოლოდა, მაგრამ 21 წლის **გიორგი ილურიძემ** გუნდი ზაფხულშივე დატოვა და ისე გამოვიდა, რომ თავდაპირველად, ფაქტობრივად, ერთადერთი ცენტრფორვარდი, **ირაკლი მოდებაძე** დარჩა.

29 წლის მოდებაძემ ჩვეულად, მაღალ დონეზე იასპარეზა და არც შედეგიანობა დაეწუნებოდა. პირველი ეტაპის ბოლოსკენ მშვენივრად ათამაშდა გუნდის ახალწვეული და ერთობ დიდი პოტენციალის მქონე ფორვარდი, 20 წლის **გიორგი ქვილითაია,** რომელმაც „ზესტაფონთან" მართლაც მშვენივრად ითამაშა.

## საუკეთესო მატჩი

პირველ ეტაპზე „დილამ" რამდენიმე გამორჩეული მატჩი ჩაატარა და უპირველესად, რაღა თქმა უნდა, 17 აგვისტოს „დინამოსთან" საშინაო შეხვედრა გვახსენდება. ვისაც ის დაპირისპირება ახსოვს, დაგვეთანხმება, რომ „დილამ" ტიტულიან მეტოქეს თამაშით აჯობა და მხოლოდ მსაჯის შეცდომ(ებ)ის გამო ვერ შეძლო მოგება.

„დილას" არც მეორე წრის მატჩში უთამაშია ურიგოდ, როცა სტუმრად, „დინამოსთან" ფრეს მიაღწია. თუმცა, საუკეთესოდ მაინც „მეტალურგთან" და განსაკუთრებით, „ზესტაფონთან" მოგებული მატჩები მიგვაჩნია.

## ყველაზე ცუდი მატჩი

„დილას" კრიზისული პერიოდის შესახებ ზემოთაც ვისაუბრეთ, როცა გუნდმა არასრულ ერთ თვეში სამი მატჩი წააგო, ამას გარდა, „დილას" ერთ-ერთი უსუსტესი შეხვედრა იყო 9 ნოემბერს „სიონთან" საშინაო მატჩიც.

## მიზანი

პირველი ეტაპი „დილამ" მესამე ადგილზე კი დაამთავრა, მაგრამ იგივე „დინამოსა" თუ „ჩიხურასგან" განსხვავებით გუნდს ზედა ექვსეულში მოხვედრა გარანტირებული ჯერ არა აქვს. ასე რომ, პირველი ეტაპის დასრულებამდე დარჩენილ ოთხ ტურს უდიდესი მნიშვნელობა ექნება.

თუმცა დღესდღეობით მართლაც ძნელი სათქმელია, თუ როგორი შემადგენლობით მოუწევს გუნდს ზამთრის პაუზის მერე ასპარეზობა: ზემოთ ნახსენები ნუკრი რევიშვილის გარდა გუნდი უკვე დატოვეს ირაკლი მოდებაძემ, გრიგოლ დოლიძემ და გიორგი გურულმა; არ არის გამორიცხული, რომ წამსვლელთა სია კიდევ გაიზარდოს და როგორ მოხვდება ამ ფეხბურთელების სრულფასოვნად ჩანაცვლება, დღესდღეობით ამის თქმა მართლაც ძნელია.

**გია ტუხაშვილი**


გრიგოლ დოლიძე (ცენტრში) ერთ-ერთი გამორჩეული იყო

### დილას ყველა მატჩი პირველ ეტაპზე

I ეტაპი: 18 მატჩი, 7 მოგება, 7 ფრე, 4 წაგება, ბურთები: 23-15, ადგილი-III

| | | |
|---|---|---|
| I ტური | სიონი-დილა | 1:2 |
| II ტური | დილა-დინამო | 1:1 |
| IV ტური | დილა-მეტალურგი | 3:0 |
| V ტური | ზესტაფონი-დილა | 2:0 |
| III ტური | ტორპედო-დილა | 0:0 |
| IV ტური | ჩიხურა-დილა | 3:1 |
| VII ტური | დილა-სპარტაკი | 3:1 |
| VIII ტური | გურია-დილა | 2:0 |
| IX ტური | ვიტ ჯორჯია-დილა | 0:2 |
| XI ტური | დილა-მერანი | 3:0 |
| XII ტური | დილა-სიონი | 0:2 |
| XIII ტური | დინამო-დილა | 1:1 |
| XIV ტური | დილა-ტორპედო | 3:0 |
| XV ტური | მეტალურგი-დილა | 1:1 |
| XVI ტური | დილა-ზესტაფონი | 3:1 |
| XVII ტური | დილა-ჩიხურა | 0:0 |
| XVIII ტური | სპარტაკი-დილა | 0:0 |

**დილა 2013/14**

მეკარეები: ნუკრი რევიშვილი-16 (-15 გოლი), ბექა შეყრილაძე-2 (0);

მცველები: გიორგი გურული-15, თემურ ღონღაძე-14 (1), ალექსანდრე კვახაძე-14, კახა ალადაშვილი-12, გულვერდ თომაშვილი-11, მამუკა კობახიძე-11, ოთარ ხიზანეიშვილი-10 (1), გიორგი გაგნიძე-2, ერიკ გაბარაევი-2, გიორგი გაფრინდაშვილი-1;

ნახევარმცველები: ირაკლი მაისურაძე-18, დავით ბოლქვაძე-16 (2), გრიგოლ დოლიძე-15 (4), მიხაილ გორელიშვილი-14 (2), გიორგი აბურჯანია-12, გეგა დიასამიძე-6, ნიკოლოზ სადალაშვილი- 6(1), რომან გოგინაშვილი-4, ვალტერ ხორგუაშვილი-2, პავლე ხორგუაშვილი-2, ლაშა გვალია-1, თენგიზ წიქარიძე-1;

თავდამსხმელები: ირაკლი მოდებაძე-17 (9), გიორგი ქვილითაია-12 (3), ნიკა ფილიევი-7, რომან ახალკაცი-3, გიორგი ილურიძე-2, კონსტანტინე გაბაშვილი-2;

მთავარი მწვრთნელი: გიორგი დევდარიანი (I-VIII ტური)

რამაზ სოლოლაშვილი (IX-XVIII ტური)

ტრანსფერი



გიორგი ფანცულაია

# ფანცულაია ზესტაფონელია

## დინამოს ვარიანტი გეგუჩაძემ გადაწონა

სამწუხაროდ, ქუთაისის „ტორპედო“ კომპანია „ვისოლმა“ მიატოვა და ამ კლუბის გარშემო ჯერაც დიდი გაურკვევლობაა. ვინ დააფინანსებს „ტორპედოს“ და თუ დააფინანსებს, იქნება თუ არა ეს საკმარისი უმაღლეს ლიგაში ადგილის შესანარჩუნებლად - ესაა ქუთაისელ გულშემატკივართა სადარდებელი.

ამასობაში, „ტორპედო“ რამდენიმე წამყვანმა მოთამაშემ დატოვა - **გიორგი ხიდეშელი** და **მათე ცინცაძე** კარიერას თბილისის „დინამოში“ გააგრძელებენ, „ზესტაფონში“ კი ქუთაისელთა ყოფილმა დამრიგებელმა **გია გეგუჩაძემ** მეკარე **დავით კუპატაძე**, მცველი **ზაზა ჭელიძე**, ნახევარმცველი **გიორგი კუხიანიძე** და თავდამსხმელი **ნიკა საბანაძე** წაიყვანა. გუნდის ბოლო ტორპედოელი ახალწვეული კი თავდამსხმელი **გიორგი ფანცულაია** გახლავთ, რომელმაც გუშინ გუნდთან ერთად სამედიცინო შემოწმება გაიარა.

როგორც დავადგინეთ, ფანცულაიას თბილისის „დინამოც“ იწვევდა, მაგრამ მან არჩევანი „ზესტაფონის“ სასარგებლოდ გააკეთა.

„ჯერ იმას ვიტყვი, რომ „ტორპედოს“ დაშლაზე გული უზომოდ დამწყდა. ძალიან ძლიერი და პერსპექტიული გუნდი გვყავდა. სამწუხაროა, რომ ყველაფერი ასე დამთავრდა. რაც შეეხება ჩემს არჩევანს, ქუთაისიდან წამოსულს რამდენიმე ვარიანტი შემომთავაზეს. ლაპარაკი იყო პოლონეთისა და ბელგიის კლუბებზე, მაგრამ კონკრეტული შემოთავაზება არ ყოფილა. მერე თბილისის „დინამო“ გამოჩნდა, რამაც ძალიან გამახარა. მაგრამ ყველაფერი გია გეგუჩაძის ფაქტორმა გადაწონა. უმაღლეს ლიგაში დებიუტი სწორედ მისი ხელმძღვანელობის დროს მქონდა. მიყვარს მასთან ერთად მუშაობა. „ზესტაფონში“ გადასვლა ამიტომ ვამჯობინე და კლუბთან 3-წლიანი კონტრაქტიც გავაფორმე. შესაძლოა, წლეულს ჩემპიონობისთვის ბრძოლა არარეალური იყოს, რადგან ნახევარზე მეტი უკვე გასულია. მაგრამ ისეთი ძლიერი შემადგენლობა შეიკრიბა, მჯერა, მომავალი სეზონისთვის ოქროს მედლების ერთ-ერთი მთავარი კანდიდატები ვიქნებით“, - ამბობს ფანცულაია.

**მერაბ მამულაშვილი**

ლეგიონერი

# დვალი რედინგში ვარჯიშობს

## ...მაგრამ ისევ განათხოვრებას ვარაუდობს

ოქტომბერში ლაშა დვალმა ინგლისურ „რედინგთან“ სამწლიანი კონტრაქტი გააფორმა. საქართველოს 19-წლამდელთა ნაკრებების წევრი ინგლისელებს 2012 წელს, სლოვენიაში გამართულ ევროპის 17-წლამდელთა ჩემპიონატზე მოეწონათ. თავიდან ის რიგის „სკონტოში“ გაუშვეს. შარშან დვალი 18 წლის გახდა, ევროპის 19-წლამდელთა ჩემპიონატზეც ითამაშა და „რედინგმა“ ქართველისადმი ინტერესი ოფიციალური შეთანხმებით დაადასტურა.

შემდეგ მან ტრავმა მიიღო და სანაკრებო მატჩები გამოტოვა, თუმცა ახლა ინგლისშია და „რედინგის“ დუბლშემადგენლობაში ვარჯიშობს. რაც მთავარია, ტრავმა უკვე წარსულს ჩააბარა და იმედიანადაა განწყობილი.

**- როგორც შევიტყვეთ, ინგლისში უკვე ჩახვედით...**

- დიახ, უკვე ერთი თვეა, რაც ვარჯიში დავიწყე და „რედინგის“ დუბლშემადგენლობას შევუერთდი. 6 იანვარს პირველი ლიგის ლიდერ „ლუთონთან“ ამხანაგურ შეხვედრაში 15 წუთიც ვითამაშე. მწვრთნელმა საყრდენ ნახევარმცველად დამაყენა. მანამდე, 18-წლამდელების გუნდში ვითამაშე, 10 იანვარს კი „ჩელსის“ დუბლებს ვხვდებით. ჯერჯერობით, „რედინგის“ მთავარ გუნდში თამაშის უფლება არ მაქვს.

**- შრომის უფლება ხომ მიიღეთ?**

- მივიღე, მაგრამ დეტალებია მოსაგვარებელი. 14 იანვარს კიდევ ერთი საკონტროლო მატჩია და ჩემი საკითხი ამის შემდეგ გადაწყდება.

**- რა დარჩა გადასაწყვეტი?**

- გადასაწყვეტია, სად მათამაშებენ. დიდი ალბათობაა, რომ „რედინგმა“ ისევ გამანათხოვროს, რათა მეტი სათამაშო პრაქტიკა მივიღო. მაგალითად, „სკონტოში“ გატარებულმა პერიოდმა დიდი გამოცდილება შემძინა. გუნდში ლატვიის ნაკრების 6 მოთამაშე იყო და მე სულ ძირითად შემადგენლობაში ვხვდებოდი. თამაზ პერტიასა და ირაკლი კლიმიაშვილისგან ბევრი რამ ვისწავლე.

**- რომელ გუნდში გიშვებენ?**

- ეს ჯერ არ ვიცი. მაგრამ მითხრეს, რომ რამდენიმე ვარიანტი უკვე არის.

**- „სკონტოში“ ხომ არ ბრუნდებით?**

- ეს ჩემთვის მისაღები და კარგი ვარიანტია, მაგრამ არა მგონია, ისევ „სკონტოში“ დამაბრუნონ. მითხრეს, ევროპაში უკეთეს ლიგასა და გუნდში ითამაშებო. კარგი იქნება, ბელგიაში ან ჰოლანდიაში გამიშვან. იქ ჩემი ასაკის ფეხბურთელი მართლაც ბევრს ისწავლის და გაიზრდება.

**- ტრავმა საბოლოოდ მოირჩინეთ?**

- ამის გამო თითქმის 4 თვე გამიცდა, მაგრამ ახლა მხოლოდ უმნიშვნელო ტკივილები მაწუხებს. სერიოზული კი არაფერია და თავს კარგად ვგრძნობ.

**მერაბ მამულაშვილი**

ჭორია თუ მართალი?

# ჭედია: ქეცბაია ანორთოსისში? ფანტაზია მგონია!

ინიშნება თუ არა საქართველოს ნაკრების მთავარი მწვრთნელი თემურ ქეცბაია „ანორთოსისის“ ტექნიკურ დირექტორად? თავად ქეცბაიასთან დაკავშირება ვერ მოხერხდა, ამიტომ, ამის გადამოწმება სხვადასხვა გზით ვცადეთ. ჯერ „ანორთოსისის“ ქართველ ლეგიონერ შოთა გრიგალაშვილს დავუკავშირდით:

- ქეცბაიას დანიშვნაზე დღეს მთელი კვიპროსი ლაპარაკობდა. მაგრამ გულწრფელად ვამბობ, რომ ეს ამბავი მეც თანაგუნდელებისგან, ვარჯიშის შემდეგ შევიტყვე და არ ვიცი, მართალია თუ არა.

**- ის ახლა კვიპროსშია?**

- არა მგონია. ის კი ვიცი, რომ „ვიტესის“ თამაშზე, ჩვენების თამაშის სანახავად გაემგზავრა.

**დავუკავშირდით ეროვნულ ნაკრებში ქეცბაიას ასისტენტ სოსო ჭედიასაც, რომელმაც კვიპროსულ მედიაში გავრცელებული ხმები უარყო:**

- თემურს ყოველდღე ველაპარაკები. მსგავსი არაფერი უთქვამს.

**- ანუ, ინფორმაცია „ანორთოსისში“ მისი დანიშვნის შესახებ ტყუილია?**

- მგონია, რომ ფანტაზიაა. თემურს „ანორთოსისში“ დაბრუნება რომ სურდეს, არ დამიმალავდა. ან დასამალიც რა არის? ინფორმაციაში წერია, თითქოს, ტექნიკურ დირექტორად 9 იანვარს დანიშნავენ. რომ დანიშნო, კაცი ადგილზე ხომ უნდა იყოს? არადა, ის ახლა საემიროებშია, სადაც კაშიაზე, ყაზაიშვილსა და ჭანტურიაზე დასაკვირვებლად „ვოლფსბურგი“-„ვიტესის“ ამხანაგურ მატჩს დაესწრო. 10 იანვარს „ვიტესი“ კიდევ ერთ საკონტროლო თამაშს ჩაატარებს და ქეცბაია იმასაც ნახავს.

**- გვითხრეს, რომ ქეცბაიამ „ანორთოსისგან“ შეთავაზება მართლაც მიიღო...**

- ეს თავადაც თქვა იმ გადაცემაში, ჟურნალისტები რომ შეხვდით - კვიპროსელები ახლაც მეუბნებიან, თუ გინდა პრეზიდენტი გახდი, ოღონდ, ჩამოდიო. ერთი წელია ასე ეხვეწებიან, ეს სიახლე ნამდვილად არ არის. მაგრამ თემურის გეგმები ნაკრებს უკავშირდება. ერთ ფაქტს გეტყვით და თავად განსაჯეთ - იანვრის ბოლოს ჩვენი გუნდები მოსამზადებლად თურქეთში მიემგზავრებიან და თემური მათ საკონტროლო შეხვედრებზე დასწრებასაც გეგმავს. აბა, კაცს ნაკრების მიტოვება და „ანორთოსისში“ გადასვლა რომ სურდეს, ნაკრების კანდიდატებზე დაკვირვებას დაგეგმავდა? ამიტომაც ვთქვი, ეს ყველაფერი ფანტაზია მგონია-მეთქი.

**მერაბ მამულაშვილი**



თემურ ქეცბაია

გუშინ მოგვიანებით „თემა ონლაინმა“ **თემურ ქეცბაიას** ოჯახის კომენტარი გაავრცელა:

„ეს ხმები აბსოლუტურად არ შეეფერება სინამდვილეს. კონფიდენციალური წყაროს მიერ მოყვანილი ცნობა არ არის სიმართლე. ამან ცუდი რეაქცია გამოიწვია საქართველოში, რადგან ის ქართულმა მედიამაც აიტაცა. ასეთი რამ არ იგეგმება და მხოლოდ პრობლემას უქმნის თემურს. ძალიან ცუდია, რომ ამას ზოგიერთები იყენებენ, სირცხვილი მათ“.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

პასუხი

# კოკაიას სიჭინავასგან: გადაიხადე 23 მილიონი და გადავდგები!

„ლელოში“ ლანჩხუთის „გურიას“ სპორტული დირექტორის **თემურ ალექსაიას** ინტერვიუმ და მის მიერ მოყვანილმა ფაქტებმა დიდი აჟიოტაჟი გამოიწვია. შეგახსენებთ, მის ნათქვამს:

„ზესტაფონის“ დამფუძნებელმა ილია კოკაიამ კლუბების შეხვედრაზე საკუთარი წარმომადგენლის, მიხეილ ხუციშვილის პირით სფფ-ის პრეზიდენტ ზვიად სიჭინავას შეუთვალა - სახელმწიფო შენ გამო თუ არ გვაფინანსებს, 1 იანვრამდე უმაღლესი ლიგის ყველა კლუბის ანგარიშზე თანაბრად გადავანაწილებ 5 მილიონ ლარს და წადიო. სიჭინავამ ამაზე უპასუხა - მხოლოდ იმ შემთხვევაში წავალ, თუ სამწლიანი პროგრამა და ამ პერიოდში ქართული ფეხბურთის დასაფინანსებლად გამზადებული 100 მილიონი ლარი დაიდებაო“.

ამაზე რეაქცია ჰქონდა არა მხოლოდ მედიას, არამედ თავად ფეხბურთის ფედერაციასაც, რომელმაც კოკაიას ინიციატივას წერილით უპასუხა, ხუმრობა-ხუმრობაში კი ეს ყველაფერი ძალზე უსიამოვნო (ეს, რბილად რომ ვთქვათ) და, ამავე დროს, კომიკურ შთაბეჭდილებას ტოვებს. რაც შეეხება ფედერაციის წერილს:

„უკანასკნელი დღეების განმავლობაში საქართველოს ეროვნული ჩემპიონატის დაფინანსების ირგვლივ განვითარებული მოვლენების მიმართ საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია უფლებამოსილია დააფიქსიროს პოზიცია, რომელიც, იმედი გვაქვს, ეროვნული ჩემპიონატის ბედით დაინტერესებულ ყველა ჯგუფს სასურველ პასუხს გასცემს. 27 დეკემბერს მიხეილ მესხის სახელობის სტადიონზე გამართულ შეხვედრას უმაღლესი ლიგის 12 კლუბის ხელმძღვანელი და სფფ-ის მაღალჩინოსნები ესწრებოდნენ. იქ „ზესტაფონის“ გენერალურმა დირექტორმა მიხეილ ხუციშვილმა ილია კოკაიას მიერ ინიცირებული იდეა გააჟღერა: თუ სფფ-ის პრეზიდენტი ზვიად სიჭინავა თანამდებობას დატოვებს და ვადამდელ არჩევნებს დანიშნავს, „ზესტაფონის“ დამფუძნებელი და მფლობელი კოკაია უმაღლესი ლიგის მიმდინარე სეზონის დასრულებისთვის 5 მილიონ ლარს გამოყოფს (საინტერესოა, თუკი იდეის ავტორს ამ თანხის გაცემის შესაძლებლობა ჰქონდა, რატომ შეუწყვიტა 2014 წლის 1 იანვრიდან „ზესტაფონს“ დაფინანსება?). აღსანიშნავია, რომ „ზესტაფონის“ დამფუძნებლის ეს იდეა უმაღლესი ლიგის კლუბების უმრავლესობამ პირად შეურაცხყოფად და მოქრთამვის მცდელობად აღიქვა. ამავე კონტექსტში გვსურს, განვიხილოთ სპორტის მინისტრის ლევან ყიფიანის მიერ გამოთქმული პოზიცია, რომლის შესაბამისადაც სახელმწიფო ეროვნული ჩემპიონატის უმაღლესი ლიგის სრულ დაფინანსებას მხოლოდ 2015-16 წლების სეზონიდან ითავებს. ზემოთ გამოთქმული მოსაზრების გათვალისწინებით, სფფ-ს აქვს მკვეთრად ჩამოყალიბებული პოზიცია. ეროვნული ჩემპიონატის გადარჩენით მოტივირებულ „ზესტაფონის“ დამფუძნებელ ილია კოკაიას გვინდა შევთავაზოთ - ითავოს მიმდინარე სეზონის მეორე ნახევრისა და შემდგომ 2014-15 წლების სეზონის დაფინანსების უზრუნველყოფა, ვიდრე სპორტის სამინისტროს ხელმძღვანელის დაპირებისამებრ, სახელმწიფო ამ მძიმე მისიას 2015-16 წლების სეზონიდან გადაიბარებს და 2014 წლის 10 იანვრამდე კლუბების საბანკო ანგარიშებზე ჩარიცხოს 23 მილიონი ლარი (მიმდინარე სეზონის დასრულებისა და მომავალი სეზონის ჩასატარებლად აუცილებელი ხარჯი: სფფ-ის მიერ შემუშავებული ეროვნული ჩემპიონატის განვითარების პროგრამის შესაბამისად თითოეულ კლუბს, ერთი სეზონის ჩასატარებლად, მინიმალური საჭიროებების დასაფინანსებლად და სალიცენზიო მოთხოვნების შესასრულებლად, ესაჭიროება 1 500 000 ლარიx12=18 000 000 ლარი+კოკაიას მიერ სეზონის დასრულებისათვის დაპირებული 5 მილიონი ლარი). რადგან, უმაღლესი ლიგის ერთ-ერთი კლუბის ხელმძღვანელს ასე აწუხებს ეროვნული ჩემპიონატის ბედი და ამავე დროს ასე ძვირად ულირს სფფ-ის პრეზიდენტის თანამდებობიდან გადაყენებისა და ვადამდელი არჩევნების დანიშვნის საკითხი, ჩვენი მხრივ გვსურს, დავაიმედოთ ბატონი კოკაია და დავპირდეთ, რომ აღნიშნული შეთავაზების მიღებისა და 23 მილიონი ლარის ჩარიცხვისთანავე, 11 იანვარს სფფ-ის პრეზიდენტი ბ-ნი ზვიად სიჭინავა დაუყოვნებლივ დატოვებს თანამდებობას და ვადამდელ არჩევნებს დანიშნავს“.

კომენტარისთვის ილია კოკაიასთან დაკავშირება ვცადეთ. „ზესტაფონის“ პრესატაშე **სერგო ფუტკარაძის** თქმით, კოკაია ვრცელ კომენტარს უახლოეს დღეებში გააკეთებს.

„ფეხბურთის ფედერაციის წინადადებას, თითქოს პრეზიდენტი 23 მილიონად გადადგება, ზესტაფონში დიდი მოწონება და გამოხმაურება მოჰყვა. ჩვენი გუნდის გულშემატკივრების ლიდერმა ლაშა კიკნაველიძემ მოუწოდა ხალხს, რომ დაიწყონ სიჭინავას წასასვლელად აუცილებელი 23 მილიონი ლარის შეგროვება. მისი აზრი სხვებსაც მოეწონათ და გადაწყვიტეს, საერთო ძალისხმევით, ქართულ ფეხბურთს ამგვარად უშველონ. „ზესტაფონის“ გულშემატკივრებს აქვთ იმედი, რომ ეს საერთო-სახალხო საქმე დიდ მხარდაჭერას ჰპოვებს არა მხოლოდ ზესტაფონში, არამედ, თბილისში, ზუგდიდში, ქუთაისში, ლანჩხუთში, რუსთავში, სამტრედიაში, გორში, ბათუმში და, საერთოდ, მთელ საქართველოში. სიჭინავას გადასაყენებლად აუცილებელი თანხა შეგროვდება, ქართულ ფეხბურთს დიდ სამსახურს გაუწევს“, - ამბობს ფუტკარაძე.

**მერაბ მამულაშვილი**



ზვიად სიჭინავა

ეროვნული ბიბლიოთეკა

ქართველები უცხოურ პრესაში



თორნიკე ოქრიაშვილის მაკრატელა ფინეთთან მატჩში

გურამ დოლენჯაშვილის ფოტო

# თორნიკე ოქრიაშვილი
# მომცეს ლუჩესკუმ შანსი და დავუმტკიცებ...

უკრაინულმა საიტმა terrikon.com-მა საქართველოს ნაკრების ნახევარმცველ თორნიკე ოქრიაშვილთან ვრცელი ინტერვიუ გამოაქვეყნა.

შეგახსენებთ, გასული წლის ბოლოს თორნიკე მარიუპოლის „ილიჩევეცს“ დაემშვიდობა და ახლა ახალი გუნდის ვარიანტებს განიხილავს. საერთოდ კი ქართველი ფეხბურთელი დონეცკის „შახტარს“ ეკუთვნის.

თორნიკე ინტერვიუში ბურთთან თავის პირველ შეხებასა და განვლილ წლებს იხსენებს. ასევე, საუბრობს მარიუპოლელ „ნათლიმამებზე“, თავის საფეხბურთო კერპზე, სასურველ პოზიციასა და საოცნებო გუნდზე.

## კერპი გიორგი ქინქლაძე

**- „ოქრიაშვილი - ქართველი ნახევარმცველი - უნივერსალი, ფეთქებადი, ტექნიკური“, - ასე ახასიათებს თორნიკე ოქრიაშვილს ერთ-ერთი ავტორიტეტული უცხოური სატრანსფერო საიტი. თორნიკე, ამ დახასიათებას კიდევ რას დაამატებ?**

- კიდევ იმას, რომ მეხერხება ართმევა და შეტევის წამოწყება.

**- თორნიკე, ინტერნეტში შენზე წერია, რომ რუსთავში დაიბადე - საქართველოს ერთ-ერთ უძველეს ქალაქში. როგორ დაახასიათებ მშობლიურ ქალაქს რამდენიმე სიტყვით?**

- სინამდვილეში თბილისში დავიბადე. ეს ყველაზე ლამაზი და თბილი ქალაქია მსოფლიოში.

**- გაიხსენე ბავშვობა და ფეხბურთში პირველი ნაბიჯები...**

- ალბათ ისე, როგორც ყველა ბიჭუნა საქართველოში - მეც დავუწყე ბურთს დევნა მანამ, სანამ ფეხს ავიდგამდი - ხოხვით (იცინის). 6 წლისა მამამ გრიგოლ ცაავას სკოლაში შემიყვანა. ჩემი პირველი მწვრთნელი მამუკა ფანცულაია იყო - 80-იანი წლების ბოლოს თბილისის „დინამოს“ ერთ-ერთი საუკეთესო ფეხბურთელი.

**- თუ საიდუმლო არაა, რომელი დიდი ქართველი ფეხბურთელი იყო შენი კერპი?**

- ასეთი იყო და დარჩება გიორგი ქინქლაძე.

## ელვისებურად შახტარში

**- საქართველოს ჩემპიონატში შენმა თამაშმა თავის დროზე სანკტ-პეტერბურგის „ზენიტი“, ბელგიური „ანდერლეხტი“, ჰოლანდიური, თურქული და გერმანული კლუბები დააინტერესა, მაგრამ შენ დონეცკის „შახტარი“ არჩიე. რატომ?**

- ასევე შემეძლო „მეტალისტში“ მოხვედრა - მირონ მარკევიჩსაც ველაპარაკე, მაგრამ იმ მომენტში ცალი ფეხით „ზენიტში“ ვიყავი... თუმცა, ჩემთვისაც მოულოდნელად, პეტერბურგელთა ავსტრიული შეკრებიდან დონეცკში ამოვჩნდი. როგორც მოგვიანებით გავიგე, „შახტარის“ პრეზიდენტს უცებ მიუღია ჩემს ტრანსფერზე გადაწყვეტილება. ამბობენ, სულ რამდენიმე წუთშიო... მეც ელვისებურად მივილე გადაწყვეტილება - ეს ხომ „შახტარია“!

**- და აი, გავიდა ორი წელი. შენ იჯარით ითამაშე მარიუპოლის „ილიჩევეცში“ (60 მატჩი უკრაინის ჩემპიონატში) და გახდი გუნდის ერთ-ერთი ლიდერი - რა შეგძინა ამ პერიოდმა?**

- პირველ რიგში, დიდი ფეხბურთის ორი „ნათლიმამა“ - ვალერი იარემჩენკო და ნიკოლაი პავლოვი. მათ ფეხბურთში ბევრი რამ მასწავლეს. სწორედ მათი და გუნდის დამსახურება იყო ის, რომ მე საქართველოს ნაკრებში დავმკვიდრდი.

**- ბოლო დროს ნიკოლაი პავლოვმა და ვლადიმირ ბოიკომ არაერთხელ გაგაკრიტიკეს. რა მოხდა ნაკრებიდან დაბრუნების შემდეგ და რატომ არ ჩანდი მოედანზე ამდენ ხანს?**

- პირველ რიგში, მინდა „ილიჩევეცის“ ხელმძღვანელობის, კლუბის მთელი პერსონალისა და გუნდის მისამართით მადლიერება გამოვხატო. ვაფასებ ყველაფერს, რაც მათ ჩემთვის გააკეთეს. რაც შეეხება სანაკრებო მატჩების შემდეგ კლუბში დაგვიანებას, პასუხისმგებლობას არ გავურბივარ, მაგრამ, მერწმუნეთ, მას ნაკრების იმ მენეჯერებსაც ვუზიარებ, რომლებიც ტექნიკურ საკითხებს განაგებენ. არ ვთამაშობდი იმის გამო, რომ საფრანგეთთან თამაშის შემდეგ მუხლის დაზიანება მქონდა და მარიუპოლში დიდი ხნის განმავლობაში ვმკურნალობდი.

**- ახლა ყველაფერი წესრიგშია?**

- დიახ, გმადლობთ. უკვე თვეზე მეტია, ვვარჯიშობ და თავს ბრწყინვალედ ვგრძნობ.

## დაიჭირე შანსი!

**- მართლა მიიჩნევ, რომ „ილიჩევეცის“ დონისთვის გადაზრდილი ხარ?**

- ეს ნიკოლაი პავლოვმა თქვა. მე მსგავსი არასდროს არაფერი მითქვამს.

**- მაგრამ ხომ ასე ფიქრობ?**

- „ილიჩევეცში“ ძალიან ბევრი მაღალი კლასის, პროფესიონალი ფეხბურთელი თამაშობს, თუმცა ბოლო წელს გუნდი რამდენიმე ძლიერმა მოთამაშემ დატოვა, ზოგიერთები კი, სავარაუდოდ, უახლოეს მომავალში წავლენ. ერთი სიტყვით, მაღალი მიზნებისთვის ბრძოლა გუნდს ძალიან გაუჭირდება. მსურს, რომ კონკურენტულ გარემოში გავიზარდო - გუნდში, რომლის წინაშეც ყველაზე ამბიციური მიზნებია დასახული, როგორც ჩემპიონატში, ისე ევროთასებზე.

**- შენი ნათქვამიდან გამომდინარე, უკრაინაში არ იქნებოდი „შახტარში“, „დინამოში“, „მეტალისტში“ ან „დნიპროში“ თამაშის წინააღმდეგი.**

- რა თქმა უნდა, ჩემი უახლოესი მიზანიც და ოცნებაც - დონეცკის „შახტარია“. ძალიან მინდა, მომეცეს შანსი, რათა დავუმტკიცო ლუჩესკუს, რომ შემიძლია გუნდის გაძლიერება და კონკურენციაში ჩაბმა ნებისმიერ პოზიციაზე, გარდა მეკარისა. თუკი შანსი მომეცემა, ამას დავამტკიცებ.

**- თუკი ასეთი შანსი არ მოგცეს ან თუ ვერ შეძლებ მის გამოყენებას, რომელ კლუბში ისურვებდი კარიერის გაგრძელებას?**

- წელან გუნდების დასახელებისას „ჩერნომორეცი“ გამოგრჩათ. ძალიან მომწონს ისეთი ფეხბურთი, როგორსაც ეს გუნდი ბოლო დროს თამაშობს. უწინ ამ გუნდში გადასვლის რეალური შესაძლებლობა მქონდა, მაგრამ „შახტარის“ ხელმძღვანელობამ და ნიკოლაი პეტროვიჩმა მთხოვეს, კიდევ ექვსი თვე „ილიჩევეცში“ მეთამაშა.

**- ყოველ შემთხვევაში, დღეს შენ ხელს არაფერი უნდა გიშლიდეს იქ გადასვლაში...**

- საამისოდ სამი წინაპირობაა: თუ მისტერ ლუჩესკუ არ მომცემს შანსს; თუ იქნება დაინტერესება „ჩერნომორეცისა“ ან სხვა რომელიმე ამბიციური კლუბისგან; და თუ კლუბი ამის ნებას დამრთავს.

## ვცდილობ, ბევრი გავიტანო!

**- საქართველოს ნაკრებთან ერთად ბრწყინვალედ ითამაშე ესპანეთსა და საფრანგეთთან და გაუტანე ბელარუსს. გოლი ძალიან ლამაზია, მაგრამ ის ერთადერთია მთელ შესარჩევ ციკლში. რატომ იტან ასე ცოტას - ნაკრებშიც და კლუბშიც?**

- პირველ რიგში, თავდამსხმელი არ ვარ; მეორეც, ეს ჩემი პირველი მატჩები იყო ნაკრებში და მესამეც, მე არც ესპანეთის ნაკრებში ვთამაშობ და არც „ბარსელონაში“, სადაც სათამაშო დროის 60-70%-ს შეტევაში ატარებენ. უფრო მეტად ართმევაზე ზრუნვა, ბურთისთვის ბრძოლა და შეტევის სიღრმიდან წამოწყება მიწევს, თუმცა საგოლე მომენტები, პრაქტიკულად, ყველა თამაშში მაქვს და ძალას არ ვიშურებ, რათა მეტი გავიტანო.

**- ოქრიაშვილი-თარგამაძის წყვილს ხშირად მოიხსენიებენ, როგორც ერთ-ერთ ყველაზე კრეატიულსა და არაპროგნოზირებადს უკრაინის ჩემპიონატში. რას იტყვი დავითთან ერთად თამაშზე?**

- დავითი ჩემი მეგობარი და ძალიან კარგი ფეხბურთელია. შესაბამისად, მოედანზე არცთუ ურიგოდ ვართ შეთამაშებულნი, მაგრამ სხვადასხვა მიზეზის გამო ერთად არცთუ ბევრი გვითამაშია.

**- თორნიკე, ერთ-ერთი თამაშის წინ, როდესაც ფეხბურთელები მსაჯთა ბრიგადას ესალმებოდნენ, შენ არბიტრის ასისტენტ ნატალია რაჩინსკას ხელზე ეამბორე... რა იყო ეს, ჭეშმარიტი ქართველის გალანტური ქცევა?**

- დიახ, ეს ჩვენ სისხლში გვაქვს (იცინის).

**- რომელია შენთვის საოცნებო ტოპ-კლუბი და ტოპ-ჩემპიონატი?**

- ჩემი ოცნება დონეცკის „შახტარში“ თამაში და ჩემპიონთა ლიგის მოგებაა, მერე კი, როგორც ღმერთი ინებებს!

**sportall.ge**

ლეგიონერული ამბები

# სარეზერვო, მაგრამ სასარგებლო

ბერლინში სეზონის მეორე ნახევრისთვის მოსამზადებლად შეიკრიბა **ლევან კობიაშვილის** „ჰერტა“. ბუნებრივია, გერმანიაში ამჟამად სათანადო მეტეოროლოგიური პირობები არ არის, ამიტომაც 9 იანვარს „ჰერტა“ თურქულ ბელეკში შეკრებაზე 27 ფეხბურთელით მიფრინავს. მათ შორის არის 36 წლის ქართველი.

გერმანულმა „ბილდმა“ „ჰერტას“ ფეხბურთელების მცირე სტატისტიკური ანალიზი შემოგვთავაზა სეზონის პირველ ნახევარში. ლევანმა მხოლოდ 4 მატჩში, ჯამში 230 წუთი ითამაშა, თუმცა „ბილდი“ მასზე შემდეგს წერს:

*„მართალია, ლევან კობიაშვილი და კრისტოფ იანკერი ძალზე იშვიათად თამაშობენ, მაგრამ როცა ისინი მოედანზე გადიან, გუნდისთვის სასარგებლონი არიან“.*

ბერლინის „ჰერტა“ 28 ქულით მე-6 ადგილზეა. სეზონს ლევან კობიაშვილის გუნდი 25 იანვარს „აინტრახტთან“ სტუმრობით განაახლებს. მანამდე კი, 11 იანვარს, „ჰერტას“ თურქულ ბელეკში ამხანაგური მატჩი ელის შვეიცარიულ „არაუსთან“.

## ნიკა ძალამიძე:
# 2013 საშინელი წელი იყო. იმედია, ახლა ყველაფერი შეიცვლება

პოლონურმა „სპორტმა“ სასიხარულო ამბავი გვამცნო - როგორც იქნა, ტრავმა მოირჩინა „იაგელონიას“ 22 წლის შემტევმა ნახევარმცველმა **ნიკა ძალამიძემ** და ბურთით ვარჯიში განაახლა. ძალამიძე მუხლის მძიმე ტრავმისა და ხანგრძლივი პაუზის მერე სექტემბერში დაბრუნდა, მაგრამ 4 ნოემბერს, „პიასტთან“ მატჩში ისევ სერიოზულად დაშავდა და მას მერე არ უთამაშია.



ნიკა ძალამიძე

„სპორტის“ ინფორმაციით, ნიკასთან ერთად ვარჯიში განაახლა **ჯონათან შტრაუსმაც**. ისინი ჯერჯერობით ინდივიდუალურად ემზადებიან, თუმცა ბურთთან ერთადაც ვარჯიშობენ.

„შტრაუსს ერთი გამოკვლევა კიდევ ელის. ძალამიძის გამოჯანმრთელება ნელნელა, მაგრამ გეგმის მიხედვით მიდის. ორივე მათგანი ჩვენთან ერთად იქნება ვლადისლავის ბაზაზე“, - განაცხადა „იაგელონიას“ თავკაცმა პიოტრ სტოკოვიეცმა.

*„თავს უკეთ ვგრძნობ, მიუხედავად იმისა, რომ ტკივილი ჯერ არ გამქრალა. ამ დღეებში გუნდთან ერთად ვერ ვივარჯიშებ, მაგრამ ინდივიდუალურად მოვემზადები. თუმცა იმედი მაქვს, რომ თურქულ შეკრებაზე უკვე სრულფასოვნად ვივარჯიშებ და ვითამაშებ ამხანაგურებში. შარშანდელი წელი საშინელი იყო ჩემთვის, ძალიან დიდხანს ვერ ვთამაშობდი. იმედია, ამ ახალ წელს ყველაფერი სხვანაირად იქნება“,* - განაცხადა ძალამიძემ.

„იაგელონია“ პოლონურ ექსტრაკლასაში 29 ქულით მე-9 ადგილზეა. გუნდი ჩემპიონატს 16 თებერვალს განაახლებს. შეგახსენებთ, ნიკა ძალამიძის გარდა, გუნდში მცველი **გიორგი ფოფხაძეცაა**.

# ფორტუნამ დაიწყო, ყენიამ ვერა



ლევან ყენია

II ბუნდესლიგის მეორე ეტაპისთვის მზადება დაიწყო დიუსელდორფის „ფორტუნამ“, რომლის რიგებშიც **ლევან ყენია** ასპარეზობს. „ფორტუნას“ პირველ ვარჯიშს 250 მაყურებელი დაესწრო. სამწუხაროდ, მათ შორის იყო ლევან ყენიაც, რადგან ის ტრავმირებულია და ჯერ არ შეუძლია ვარჯიში - წერს „ბერლინერ ცაიტუნგი“.

გუნდი სავარჯიშოდ ახალმა მწვრთნელმა **ლორენც-გიუნტნერ კიოსტნერმა** გამოიყვანა, რომელიც გასულ სეზონში „ვოლფსბურგს“ ედგა სათავეში.

„ფორტუნა“ 25 ქულით მე-10 ადგილზეა და სეზონს 10 თებერვალს „მიუნხენთან“ სტუმრობით განაახლებს.

**ნიკოლოზ ნეფარიძე**

ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩები

# მეკარეების ბენეფისი

**ვალენსია-ატლეტიკო 1:1**

გოლები: 0:1 რაულ გარსია (72), 1:1 ელდერ პოშტიგა (90)

**ვალენსია (4-3-2-1):** გუაიტა - ჟოაო პერეირა, რ. კოშტა, მატიო, გუარდადო - ხავი ფუეგო, პარეხო, მიჩელი (63. ფეგული) - კარტაბია (77. პ. პიატი), ბერნატი (73. კანალესი) - ელდერ პოშტიგა

**ატლეტიკო (4-4-2):** კურტუა - ხუანფრანი, ალდერვეირელდი, მირანდა, ფილიპე ლუიში - ადრიანი (67. კ. როდრიგესი), გილავოგი (59. არდა თურანი), გაბი, კოკე (80. ტიაგო) - რაულ გარსია, დიეგო კოშტა

კოპა დელ რეის 1/8 ფინალის ერთ-ერთი გამორჩეული მატჩი „მესტალიაზე“ გაიმართა და ფრედ, 1:1 დასრულდა. რა თქმა უნდა, ეს შედეგი ხელს უფრო „ატლეტიკოს“ აძლევს, მაგრამ მადრიდელები მაინც დამწუხრებულნი იყვნენ, რადგან გამარჯვება უკანასკნელ წამებზე დაკარგეს - **ელდერ პოშტიგამ** ანგარიში არბიტრის მიერ დამატებულ მესამე წუთზე გაათანაბრა.

გამორჩეული მატჩები ჩაატარეს **ვისენტე გუაიტამ და ტიბო კურტუამ**. „ვალენსიას“ მეკარემ პირველ ტაიმში რამდენიმე რთული ბურთი მოიგერია და სწორედ მისი დამსახურებაა, რომ 45 წუთში გოლი არ გასულა. სამაგიეროდ, მეორე ნახევარში ბელგიელის კართან დაცხა და 21 წლის კარის დარაჯმა კიდევ ერთხელ დაამტკიცა, რომ უკვე ამ ასაკშიც კი მსოფლიოში ერთ-ერთი საუკეთესოა.

ანგარიში 72-ე წუთზე **რაულ გარსიამ** გახსნა, რომელსაც იქვე მეორე გოლის გატანაც შეეძლო, მაგრამ თავისიანები გუაიტამ იხსნა. დარჩენილმა წუთებმა „ლამურების“ უპირატესობით ჩაიარა და რომ არა კურტუა, **ხუან ანტონიო პიცი** ზედიზედ მეორე გამარჯვებას მოიპოვებდა. საბოლოოდ, უძლეველი არც „როხიბლანკოს“ მეკარე აღმოჩნდა და ელდერ პოშტიგამ ძალიან მნიშვნელოვანი გოლი გაიტანა.

საპასუხო მატჩი ერთი კვირის შემდეგ, „ვისენტე კალდერონზე“ გაიმართება, თუმცა მანამდე **დიეგო სიმეონეს** და მისი სამწყსოს მთელი ყურადღება ესპანეთის ჩემპიონატის მორიგ ტურზე იქნება გადატანილი - შაბათს „ატლეტიკო“-„ბარსელონაა“...

**ტატო ბაციკაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ბოლონია

# ცვლილება ბოლონიაში
## პიოლის ბალარდინი შეცვლის


დავიდე ბალარდინი „ბოლონიაში“ იმუშავებს

სერია A-ს გასულ ტურში, „ბოლონიამ“ მორიგი მარცხი იწვნია და ამჯერად, ჩემპიონატის აუტსაიდერთან, „კატანიასთან“ შერცხვა. ეს ბოლო წვეთი აღმოჩნდა კლუბის მესვეურებისთვის, რომლებმაც გუნდის მთავარი მწვრთნელის პოსტიდან **სტეფანო პიოლი** გაათავისუფლეს. 48 წლის სპეციალისტი 2011 წლიდან ედგა „ბოლონიას“ სათავეში და ამ პერიოდში, მისი საუკეთესო შედეგი სატურნირო ცხრილში მეცხრე ადგილი იყო. დღეისთვის, „როსობლუ“ მე-17 პოზიციაზეა და გასავარდნ ზონამდე მხოლოდ ერთი ქულა აშორებს.

უკვე გაცხადდა იმ მწვრთნელის ვინაობა, რომელიც პიოლის ადგილს დაიკავებს. „ბოლონიას“ მთავარი მწვრთნელი **დავიდე ბალარდინი** გახდება, 50 წლის სპეციალისტი, რომელიც ბოლოს „ჯენოას“ ედგა სათავეში, იქამდე კი „კალიარის“, „ლაციოს“ და „პალერმოს“ წვრთნიდა. დავიდემ გააკეთა მოკლე კომენტარი და განაცხადა, რომ „ბოლონიას“ არათუ ელიტაში ადგილის შენარჩუნება, უფრო მაღალი მიზნების მიღწევაც ძალუძს.

**ლაშა ნიკლაური**

მილანი

# გალიანი: დაველოდოთ სეზონის ბოლოს
## რა შანსი აქვს ალეგრის?


მასიმილიანო ალეგრი

2014 წელი „მილანმა“ გამარჯვებით გახსნა, ბერგამოს „ატალანტას“ სამი უპასუხო გოლი გაუტანა და თანაც, ხანგრძლივი პაუზის შემდეგ, ალმაფრენით ითამაშა. თითქოს, საშობაო პაუზა **მასიმილიანო ალეგრიმ** იდეალურად გამოიყენა და გუნდი გარდასახა, თუმცა ერთი მატჩით შორსმიმავალი დასკვნების გაკეთება რომ არ ივარგებს, ცხადზე უცხადესია. და მაინც, რა ბედი ელის ალეგრის? - ახალ წლამდე მასიმილიანომ ჟურნალისტებს გული გადაუშალა და განაცხადა, რომ ეს მისი ბოლო სეზონია „მილანში“ - თუმცა კლუბის ვიცე-პრეზიდენტი ადრიანო **გალიანი** ამას არ ადასტურებს:

*„დასამალი არ არის, რომ კლარენს ზეედორფთან გვქონდა გარკვეული კონსულტაციები, მაგრამ ეს იმას არ ნიშნავს, რომ მომდევნო სეზონიდან ჰოლანდიელი აუცილებლად „მილანის“ მწვრთნელი იქნება. ყველაფერი სეზონის დარჩენილ ნაწილზეა დამოკიდებული და უმჯობესია, რომ დაველოდოთ მოვლენათა განვითარებას. ყველაფერი შეიძლება მოხდეს, მათ შორის ის, რომ „მილანმა“ სეზონი ტრიუმფალურად დაასრულოს“.*

„მილანი“ სეზონს ალბათ იმ შემთხვევაში დაასრულებს ტრიუმფალურად, თუ ჩემპიონთა ლიგას მოიგებს, თორემ სერია A-ში გუნდს უკიდურესად რთული ვითარება აქვს - ლომბარდიელთა მიზანი ჩემპიონთა ლიგის საგზურის მოპოვებაა და თავად განსაჯეთ, რა შანსი აქვს ალეგრის გუნდს სამეულში შესასვლელად. შეგახსენებთ, რომ ამჟამად „როსონერი“ მე-11 ადგილზეა სატურნირო ცხრილში და მესამე პოზიციაზე მყოფ „ნაპოლის“ მთელი 17 ქულით ჩამორჩება. მოკლედ, ალეგრის იმედი ლიგაა, მაგრამ შესწევს კი ამ „მილანს“ იმის ძალა, რომ ევროპის უპრესტიჟულესი საკლუბო ტურნირი არათუ მოიგოს, თუნდაც ნახევარფინალში გავიდეს? - ეგ კი არა, ლომბარდიული გრანდის შანსები მერვედფინალშიც კი მინიმალურად ფასდება; შეგახსენებთ, რომ „მილანს“ მადრიდის „ატლეტიკოსთან“ მოუწევს ურთიერთობის გარკვევა.

**ლაშა ნიკლაური**

პოზიცია

# კრიშიტო იტალიაში რჩება
## და თამაში მშობლიურ ნაპოლიში სურს

სერია A-ს გუნდები ზამთრის სატრანსფერო ბაზარზე აქტიურობას აპირებენ, ერთ-ერთი ყველაზე სასურველი სამიზნე კი **დომენიკო კრიშიტოა**. „ზენიტის“ 27 წლის უკანახაზელი იტალიის ნაკრების წევრია და ბუნებრივია, კალჩოს გრანდებს მისი გადაბირება სურთ. თავად ფეხბურთელი იტალიაშია და როგორც აცხადებს, შესაძლოა აღარც დაბრუნდეს რუსეთში - ამ და სხვა თემებზე თავად ისაუბრებს.


დომენიკო კრიშიტოს იტალიაში დარჩენა სურს

### დაბრუნება იტალიაში

დღე არ გავა, რომ ჩემ შესახებ გაზეთებში სატრანსფერო ცნობები არ წავიკითხო. უნდა ვაღიარო, რომ ჟურნალისტები უსაფუძვლოდ არ წერენ, რადგან სწერია A-ს კლუბებს მართლაც სურთ ჩემი გადაბირება. მეტიც, ასეთი ყურადღება აქამდე არასდროს მიგრძვნია. პირადად ჩემი სურვილია, რომ კარიერა იტალიაში გავაგრძელო და იმედი მაქვს, ეს ასეც იქნება. რუსეთში თავს კარგად ვგრძნობდი, მაგრამ ამ ეტაპზე იქ დაბრუნების სურვილი არ მაქვს. ალბათ, არც დავბრუნდები, რადგან ჩემი აგენტი აქტიურ მოლაპარაკებებშია ჩაბმული.

### ნაპოლი

„ნაპოლი“ იტალიური ფეხბურთის ერთ-ერთი ფლაგმანია, სავიზიტო ბარათი და ამ გუნდში თამაში ჩემთვის უდიდესი პატივი იქნებოდა. თანაც, არ დაგავიწყდეთ, რომ ნეაპოლელი ვარ და ამ გუნდს ბავშვობიდან ვქომაგობ. **რაფაელ ბენიტესს** სურს ჩემი დამატება, თუმცა ჯერჯერობით, ოფიციალური წინადადება არ მიმიღია. თუ მივიღებ, ყურადღებით განვიხილავ და საჭიროების შემთხვევაში, დათმობებზეც წავალ - კიდევ ერთხელ აღვნიშნავ, რომ მშობლიურ ქალაქში ასპარეზობა ჩემთვის განსაკუთრებული პატივი იქნება.

### სხვა გუნდები

მოლაპარაკება რამდენიმე გუნდთან მიმდინარეობს, მათ შორის „მილანთან“ და „ფიორენტინასთან“. პირველი შემოთავაზება „ჯენოასგან“ მივიღე, მაგრამ ჩემი სურვილი ისეთ გუნდში ასპარეზობაა, რომელიც უმაღლესი მიზნებისთვის იბრძვის. ბუნებრივია, დაინტერესებული კლუბი „ზენიტთანაც“ უნდა მორიგდეს და ეს ცალკე დროს წაიღებს. ვნახოთ, ყველაფერი ახლო მომავალში გაირკვევა. გამოვრიცხავ თუ არა უცხოურ კლუბებს? - უცხოეთში დიდი ხანია ვასპარეზობ, ფასდაუდებელი გამოცდილება მივიღე და ამ ეტაპზე იტალიაში მსურს დაბრუნება. აქ, ჩემი შესაძლებლობები ყველაზე უკეთ იციან.

### მუნდიალი

ევროპის ჩემპიონატზე ასპარეზობა არ დამცალდა და დიდი იმედი მაქვს, რომ მუნდიალზე გავემგზავრები. ყველაფერს გავაკეთებ, რომ **ჩეზარე პრანდელის** თავი მოვაწონო და 23-კაციან განაცხადში მოვხვდე. ერთ-ერთი მიზეზი, თუ რატომ მსურს მაინცდამაინც იტალიაში თამაში, სწორედ მსოფლიოს ჩემპიონატია. თქმა არ სჭირდება, რომ „სკუადრა აძურას“ თავკაცი უფრო მეტ ყურადღებას სერია A-ს ფეხბურთელებს აქცევს და ეს ასეც უნდა იყოს. ვფიქრობ, იტალიის ნაკრები მუნდიალის ერთ-ერთი ფავორიტია და უმაღლესი მიზნისთვის იბრძოლებს - იმედია, ამ გუნდში ჩემი ადგილი მექნება.

**ლაშა ნიკლაური**

ფიორენტინა

# ვინ შეცვლის როსის?
## ვიოლა ფორვარდს ეძებს


აბელ ერნანდესი ერთ-ერთი ვარიანტია

**ჯუზეპე როსიმ** მთელი საფეხბურთო იტალია შეაშინა, როდესაც დაშავდა და ექიმთა ხელში გადაინაცვლა. საბედნიეროდ, ბეპეს ტრავმა იმდენად სერიოზული არ აღმოჩნდა, როგორიც თავიდან ჩანდა და მსოფლიოს ჩემპიონატის გამოტოვება არ მოუწევს - რომ აღარაფერი ვთქვათ კარიერის დასრულებაზე... თუმცა 6-7 კვირა უქმობაც არაა სახუმარო საქმე და ფაქტია, რომ ამ პერიოდში, „ფიორენტინას“ ძალიან გაუჭირდება. მით უმეტეს, **მარიო გომესის** სახით ფლორენციელებს მეორე ფორვარდით დაშავებული ჰყავთ და ასე, უთავდამსხმელოდ რომ ჩემპიონთა ლიგის საგზურისთვის ბრძოლა წარმოუდგენელია, ცხადზე უცხადესია. ამიტომ, ტოსკანელების ნომერ პირველი სატრანსფერო სამიზნე გოლის გამტანი ფორვარდია და ამ მიმართულებით, უკვე გადაიდგა კიდეც ნაბიჯები...

„გაძეტა დელო სპორტის“ მიერ გავრცელებული ინფორმაციის თანახმად, ფლორენციელების ნომერ პირველი სამიზნე **სტევან იოვეტიჩია**, ალტერნატიულ ვარიანტად კი **აბელ ერნანდესი** მიიჩნევა. დიახ, ეს ის იოვეტიჩია, სწორედ „ფიორენტინადან“ რომ გადავიდა „მანჩესტერ სიტიში“ და ინგლისურ ფეხბურთს ჯერჯერობით ვერ მოერგო. ფლორენციული კლუბის პრეზიდენტმა **ანდრეა დელა ვალემ** არ დამალა, რომ ყველაზე სასურველი ვარიანტი სტევანის იჯარით აყვანა იქნებოდა, მაგრამ იქვე დასძინა, რომ ეს ნაკლებად სავარაუდოა:

*„იოვეტიჩსაც ტრავმა ჰქონდა, მაგრამ ჩემი ინფორმაციით, უკვე მწყობრშია. ამიტომ, მისი ნახევარი წლით დამატება ამ რთული ვითარებიდან იდეალური გამოსავალი იქნებოდა. ვნახოთ, ჩვენსას შევეცდებით, მაგრამ მაინცდამაინც ოპტიმისტურად არ ვარ განწყობილი. უფრო რეალური აბელ ერნანდესის გადაბირებაა, რომელიც „პალერმოში“ ასპარეზობს და გოლების გატანაც ეხერხება. მართალია, სიცილიელები ელიტაში აღზევებისთვის იბრძვიან, მაგრამ თავად ფეხბურთელს უკვე სურს სერია A-ში ასპარეზობა“.*

ამ თემაზე მოკლე კომენტარი ერნანდესმაც გააკეთა და არ დამალა, რომ „ფიორენტინაში“ სიამოვნებით გააგრძელებს კარიერას. „გაძეტას“ პროგნოზით, სიცილიელები აბელის განათხოვრებაზე უარს იტყვიან და ფლორენციელებს ურუგვაელის ყიდვას შესთავაზებენ - ერნანდესის საბაზრო ღირებულება 10 მილიონი ევროა.

**ლაშა ნიკლაური**

აღიარება

# რონალდინიო საუკეთესოა

**ურუგვაულმა გაზეთმა „ელ პაისმა“ ტრადიციული გამოკითხვა ჩაატარა და 2013 წლის სამხრეთ ამერიკის საუკეთესო ფეხბურთელი გამოავლინა. კარიერაში პირველად გამარჯვება „ატლეტიკო მინეიროს“ უკვე ყოფილმა ფეხბურთელმა, რონალდინიომ მოიპოვა, რომელმაც ნეიმარის ორწლიანი ჰეგემონია დაამხო. მეორე ადგილი სწორედ „ბარსელონას“ წევრმა დაიკავა და ეს მიუხედავად იმისა, რომ სეზონის მეორე ნახევარი 21 წლის ფეხბურთელმა ევროპაში გაატარა. მესამე ადგილზე კი „ნიუელს ოლდ ბოისის“ ლიდერი მაქსი როდრიგესი გავიდა. ამ ტრიომ საგრძნობლად გაუსწრო დანარჩენ კანდიდატებს:**

1. რონალდინიო („ატლეტიკო მინეირო“, ბრაზილია) - 156 ქულა
2. ნეიმარი („სანტოსი“/“ბარსელონა“, ბრაზილია) - 81
3. მაქსი როდრიგესი („ნიუელსი“, არგენტინა) - 79
4. ევერტონ რიბეირო („კრუზეირო“, ბრაზილია) - 8
5. ჟო („ატლეტიკო მინეირო“, ბრაზილია) - 6
6. ედერსონი („ატლეტიკო პარანაენსე“, ბრაზილია) - 5
7. ჯეფერსონ მონტერო („მორელია“, ეკვადორი) - 4
8. პაბლო ველასკესი („ტოლუკა“, პარაგვაი) - 2
9. პაულინიო („კორინთიანსი“/“ტოტენჰემი“, ბრაზილია) - 1

დიეგო ფორლანი („ინტერნასიონალი“, ურუგვაი) - 1

ვიქტორი („ატლეტიკო მინეირო“, ბრაზილია) - 1

ბერნარდი („ატლეტიკო მინეირო“/“შახტარი“, ბრაზილია) - 1


რონალდინიო დააფასეს

საუკეთესო მწვრთნელად, ზედიზედ მეორედ, კოლუმბიის ნაკრების არგენტინელი თავკაცი **ხოსე ნესტორ პეკერმანი** დასახელდა. „ელ პაისის“ გამოკითხვაში, მის გარდა, ასევე ორჯერ **ოსკარ ტაბარესმა** (2010, 2011), **ლუიშ ფელიპე სკოლარიმ** (1999, 2002) და **კარლოს ბილარდომ** (1986, 1987) იმარჯვეს. რეკორდსმენი კი **კარლოს ბიანკია**, რომელმაც წლის საუკეთესო მწვრთნელის პრიზი 5-ჯერ (1994, 1998, 2000, 2001, 2003) დაისაკუთრა.

დასახელდა წლის სიმბოლური ნაკრებიც:

**მეკარე:** მარტინ სილვა („ოლიმპია“, ურუგვაი)

**მცველები:** მარკოს როჩა („ატლეტიკო მინეირო“, ბრაზილია), რევერი („ატლეტიკო მინეირო“, ბრაზილია), პაოლო გოლტცი („ლანუსი“, არგენტინა)

**ნახევარმცველები:** მაქსი როდრიგესი („ნიუელსი“, არგენტინა), ევერტონ რიბეირო („კრუზეირო“, ბრაზილია), ბერნარდი („ატლეტიკო მინეირო“, ბრაზილია), რონალდინიო („ატლეტიკო მინეირო“, ბრაზილია)

**თავდამსხმელები:** ნეიმარი („სანტოსი“/“ბარსელონა“, ბრაზილია), იგნასიო სკოკო („ნიუელსი“/“ინტერნასიონალი“, არგენტინა), ჟო („ატლეტიკო მინეირო“, ბრაზილია)

**ტატო ბაციკაძე**

● ამბები

## კორშია წასვლაზე ფიქრობს

ფრანგულის „სოშოს" საქმეები არც ისე კარგად მიდის და გუნდის ერთ-ერთი გამორჩეული ფეხბურთელი **სებასტიან კორშია** კლუბის გამოცვლაზე ფიქრობს. ამ მცველს როგორც საფრანგეთში, ასევე მის ფარგლებს გარეთ ჰყავს მსურველები. ერთ-ერთი მათგანი „ლილია", რომელსაც ტრავმირებული **ფრანკ ბერიას** შემცვლელი ესაჭიროება. ასევე შეგვიძლია ვახსენოთ „რომა". „ჯალოროსის" ფრანგი თავკაცის **რუდი გარსიასთვის**, კორშია კარგად ნაცნობი ფეხბურთელია. გარდა ამისა, „რომა" „სენტ ეტიენის" ნახევარმცველით **ფაუზი გულამითაც** არის დაინტერესებული.

## რას გადაწყვეტს ფოფანა?

„ლიონის" დატოვებას ისედაც აპირებს რამდენიმე ფეხბურთელი და გუნდი სულ რომ არ დაიშალოს, ხელმძღვანელობა ზოგიერთ მოთამაშესთან ახალი კონტრაქტის გაფორმებას გეგმავს. ერთ-ერთი ასეთი **გეიდა ფოფანაა**, რომლის გაშვებაც თითქოს „ოლიმპიკის" გეგმებში არ შედის. თუმცა ნახევარმცველს „შტუტგარტი" და „ნიუკასლი" ეპატიჟებიან. თუ ეს გუნდები შესაბამის თანხას გადაიხდიან, ბევრი რამ უკვე თავად ფოფანაზე იქნება დამოკიდებული და ალბათ მისი სიტყვა გადაწყვეტს ყველაფერს.

## კაბელია ზაფხულში წავა

**რემი კაბელიამ** „მონპელიეს" ქომაგები დაამშვიდა, იანვარში არსად მივდივარ და გუნდს სირთულეების დაძლევაში დავეხმარები, მაგრამ ზაფხულში კლუბს გამოვიცვლიო. მშვენივრად მოგეხსენებათ, რომ ამ ფეხბურთელს არაერთმა გუნდმა დაადგა თვალი. მათ შორის „მანჩესტერ იუნაიტედმა", „ნიუკასლმა", „მარსელმა"...

*„ჩემს აგენტებს ბოლოს „მარსელიდან" აქტიურად უკავშირდებოდნენ, მაგრამ დარჩენა გადავწყვიტე. ეს ჩემი უკანასკნელი სეზონია „მონპელიეში" და მინდა ის მაღორულ ნოტაზე ჩავამთავრო და კლუბი, რომელიც მიყვარს, ლიგა ერთში დავტოვო"* - აღნიშნა კაბელიამ.

## უოკერი ფრანგების სამიზნეში

ინგლისური „ტოტენჰემის" მცველი **კაილ უოკერი** ფრანგული გრანდების ყურადღების ცენტრში მოექცა. „მონაკოს" შემდეგ, 23 წლის გარემარბით „პარი სენ-ჟერმენიც" დაინტერესდა. დედაქალაქელები ტრავმირებული **კრისტოფ ჟალეს** ღირსეულ შემცვლელს ეძებენ. სხვა თემაა, რომ თავად „დეზებს" არ აქვთ დაცვაში საქმე იდეალურად, მაგრამ თუ ფინანსურად მომხიბვლელ წინადადებას მიიღებენ, ალბათ, მასზე უარს არ იტყვიან და შემდეგ მოძებნიან სხვა მცველს. ინგლისის ნაკრებისა და „ტოტენჰემის" ფეხბურთელმა მიმდინარე პრემიერლიგაში 19 მატჩი ჩაატარა, იგი 1 გოლითა და 1 საგოლე პასით გამოირჩა.

## დიაბი ზაფხულამდე ვერ დაბრუნდება

ლონდონის „არსენალის" ბანაკში კიდევ ერთი ცუდი ამბავია. **თეო უოლკოტის** სერიოზულად დაშავების შემდეგ, ექიმებმა **აბუ დიაბის** ნაადრევი დაბრუნებაც გამორიცხეს. 27 წლის ფრანგს მარცხენა ფეხზე მუხლი აწუხებს და ტრავმის არაერთი რეციდივი ჰქონდა, რის გამოც 2013 წლის მარტიდან ვერ თამაშობს. მედიკოსები ვერც მორიგი გამოკვლევების შემდეგ ხედავენ იმის რეალურ შანსს, რომ დიაბი ამ სეზონში ბურთაობას შეძლებს, იგი გუნდს სავარაუდოდ ზაფხულში დაუბრუნდება.

● სავარაუდო ტრანსფერი



რაფა ბენიტესს ეტიენ კაპუს შეძენა აინტერესებს

# ვინ წამოეგება ნაპოლის ანკესზე?

## გონალონი ძვირია, კაპუ საინტერესო, კანავარო მიდის

იტალიური „ნაპოლი" ფრანგულ ბაზარზე თევზაობას აგრძელებს. როგორც ირკვევა, ნეაპოლიტანელებს „მარსელის" პერსპექტიული მცველის **ნიკოლა ნკულუს** შეძენაც უნდათ, მაგრამ გუნდიდან წასვლას არც თავად ფეხბურთელი ჩქარობს და არც „ველოდრომელთა" პრეზიდენტს **ვენსან ლაბრუნს** მოსწონებია შეთავაზებული 12 მილიონი ევრო. ლაბრუნის თქმით, იანვარში ნკულუს გაყიდვის შანსი მიზერულია.

კარგად ცნობილია და ჩვენც არაერთხელ დაგვიწერია, რომ „ნაპოლი" „ლიონის" ნახევარმცველის **მაქსიმ გონალონის** გადაბირებასაც ლამობს. ბოლო ინფორმაციით, ფრანგული კლუბის პრეზიდენტმა ნეაპოლელთა მიერ შეთავაზებულ 17 მილიონ ევროზე თქვა უარი და ახლა **აურელიო დე ლაურენტისს** მეტის გადახდა მოუწევს თუ გონალონის შეძენა მართლაც სურს. **ჟან-მიშელ ოლა** ასეთ საქმეებში თავისი სიმტკიცით განთქმულია და ნაკლებ სავარაუდოა, უკან დაიხიოს.

„ვეზუვიანის" კიდევ ერთი სამიზნე „ტოტენჰემის" ფრანგი ნახევარმცველი **ეტიენ კაპუა**. თუმცა შეელევიან თუ არა „დეზები" 25 წლის ექსტულუზელს, უცნობია.

დაბოლოს, **რაფაელ ბენიტესის** მიერ ათვალწუნებული **პაოლო კანავარო** გუნდს იანვარშივე დატოვებს. ექსკაპიტანს სათამაშო დრო საერთოდ აღარ აქვს და ისღა დარჩენია, ესპანელ სპეციალისტს გაეცალოს და მშობლიური კლუბიდან წავიდეს. სავარაუდოდ, უმცროსი კანავარო „ჯენოაში" ჩაირიცხება.

● სავარაუდო დანიშვნა

# სპალეტი: მილანი? რატომაც არა!

რუსეთში გადაბარგებამდე **ლუჩანო სპალეტი** დიდი პოპულარობით სარგებლობდა და მას უამრავი მსურველი ჰყავდა. მაშინ სპალეტიმ „ზენიტი" აირჩია, მაგრამ ახლა, როგორც ჩანს, მზადაა გუნდი გამოიცვალოს და უფრო პრესტიჟულ ჩემპიონატს, კერძოდ კი სამშობლოს და სერია A-ს დაუბრუნდეს. ალბათ იცით, რომ სპალეტის აქტიურად უკავშირებენ „მილანს" და თავად სპეციალისტმაც სულაც არ გამორიცხა „როსონერიში" გადაბარგება. მეტიც, ისიც თქვა, ზუსტად ეს პერიოდი იქნება ახალი მწვრთნელისთვის იდეალური გუნდის ჩასაბარებლად, რადგან მან სიტუაციის დალაგება მოასწროს და მომავალ სეზონს უკვე მომზადებული შეხვდესო.

*„მწვრთნელისთვის, ალბათ, ეს იდეალური დროა „მილანში" მისასვლელად. ყველას ესმის, რომ გუნდში მთელი რიგი ცვლილებები უნდა მოხდეს, ეს აუცილებელია. ერთი ციკლი დასრულდა, დროა დაიწყოს სხვა, ახალი. „ზენიტთან" კონტრაქტი 2015 წლამდე მაქვს, მაგრამ ფეხბურთში სიტუაცია მალე იცვლება და ყველაფრისთვის მზად უნდა იყო, გამორიცხული არაფერია. რატომ გგონიათ, რომ მარიო ბალოტელისთან მუშაობა არ მინდა? მისთვის რამდენიმე რჩევა მაქვს. იგი ძალიან მაღალი კლასის ფეხბურთელია. უბრალოდ, სწორად ხელმძღვანელობა და მიდგომა სჭირდება"* - აღნიშნა 54 წლის სპეციალისტმა.



ლუჩანო სპალეტი

### საფრანგეთი

**ლიგა 1. გადმოტანილი მატჩი**

სტ. ეტიენი-ევიანი 1:0

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. პსჟ | 19 | 13 | 5 | 1 | 44-13 | 44 |
| 2. მონაკო | 19 | 12 | 5 | 2 | 31-13 | 41 |
| 3. ლილი | 19 | 12 | 4 | 3 | 22-8 | 40 |
| 4. სტ. ეტიენი | 19 | 10 | 3 | 6 | 28-20 | 33 |
| 5. ბორდო | 19 | 8 | 7 | 4 | 27-21 | 31 |
| 6. მარსელი | 19 | 8 | 5 | 6 | 27-20 | 29 |
| 7. ნანტი | 19 | 9 | 2 | 8 | 23-17 | 29 |
| 8. რეიმსი | 19 | 7 | 8 | 4 | 23-21 | 29 |
| 9. ლორიანი | 19 | 8 | 3 | 8 | 26-26 | 27 |
| 10. ლიონი | 19 | 6 | 7 | 6 | 28-27 | 25 |
| 11. ტულუზი | 19 | 6 | 7 | 6 | 20-24 | 25 |
| 12. გენგამი | 19 | 6 | 6 | 7 | 19-19 | 24 |
| 13. ბასტია | 19 | 6 | 6 | 7 | 21-26 | 24 |
| 14. ნიცა | 19 | 7 | 2 | 10 | 18-25 | 23 |
| 15. რენი | 19 | 5 | 6 | 8 | 22-24 | 21 |
| 16. ევიანი | 19 | 5 | 5 | 9 | 19-32 | 20 |
| 17. მონპელიე | 19 | 2 | 11 | 6 | 18-24 | 17 |
| 18. ვალანსიენი | 19 | 3 | 5 | 11 | 17-28 | 14 |
| 19. სოშო | 19 | 2 | 5 | 12 | 15-39 | 11 |
| 20. აიაჩო | 19 | 1 | 6 | 12 | 13-34 | 9 |

**ბომბარდირები:** 15 - ზლატან იბრაჰიმოვიჩი (პსჟ); 12 - ედინსონ კავანი (პსჟ); 11 - ვენსან აბუბაქარი (ლორიანი); 9 - ალექსანდრ ლაკასეტი (ლიონი), რადამელ ფალკაო (მონაკო); 8 - ემანუელ რივიერი (მონაკო), ფილიპ ჯორჯევიჩი (ნანტი), ანდრე-პიერ ჟინიაკი (მარსელი)

● ამბები

## ბორინი დი ნატალეს ნაცვლად

„უდინეზე" **ფაბიო ბორინის** შეძენას შეეცდება. შეგახსენებთ, 22 წლის ნიჭიერი შემტევი „ლივერპულის" საკუთრებაა. მან მერსისაიდელთა რიგებში თავი ვერ დაიმკვიდრა და ამჟამად „სანდერლენდშია" განათხოვრებული, სადაც შედარებით უკეთ გამოიყურება. უდინელებს ბორინი **ანტონიო დი ნატალეს** შემცვლელად ესახებათ, რომელმაც განაცხადა, რომ ამ სეზონის ბოლოს კარიერას დაასრულებს. მსგავსი რამ ტოტოს ადრეც უთქვამს, მაგრამ ამჯერად, ალბათ, გადაწყვეტილებას არ შეცვლის და „უდინეზესაც" სერიოზული გაძლიერება და გადაწყობა დასჭირდება, რადგან ბოლო წლებში გუნდი მთლიანად დი ნატალეზე იყო დამოკიდებული.

## ეიკრემი კარდიფში გადავიდა

ნორვეგიელი ნახევარმცველი **მაგნუს ეიკრემი** „კარდიფში" გადაბარგდა. მიმდინარე სეზონში სკანდინავიელმა ან უკვე ყოფილი კლუბის „ჰერენვენის" რიგებში ერედივიზიონში 13 მატჩის ჩატარება მოასწრო და 2 გოლითაც გამოირჩა. ვნახოთ, როგორ აეწყობა ეიკრემის პრემიერლიგური კარიერა. თუ რამდენი გადაიხადა უელსურმა გუნდმა მასში და კონტრაქტის სხვა დეტალები ჯერჯერობით არ გახმაურებულა. სამაგიეროდ ცნობილია ის, რომ ეიკრემი „კარდიში" 15-ნომრიანი მაისურით ითამაშებს.

## მონტოია არ მიდის

კატალონიური „ბარსელონას" მცველი **მარტინ მონტოია** არსად წასვლას არ აპირებს. მას გუნდში დარჩენა უნდა და ელოდება, როდის შესთავაზებს ხელმძღვანელობა ახალ კონტრაქტს. მოქმედ შეთანხმებას ვადა ზაფხულში ეწურება და მონტოიას ახლავე შეუძლია სხვა გუნდის ძიება, რომელშიდაც თავისუფალი აგენტის სტატუსით გადავიდოდა. თუმცა მას დარჩენა სურს და იმედი აქვს, რომ „ბარსას" უფროსობაც ასე ინებებს. ბოლო ცნობებით, კლუბის მმართველები უახლოეს მომავალში მიიღებენ საბოლოო გადაწყვეტილებას და სავარაუდოდ, მონტოიას ახალ კონტრაქტს შესთავაზებენ კიდეც.

## მიში ყურადღების ცენტრში

კონგოური ფესვების მქონე ბელგიელი **მიში ბატშუაიი** გრანდების ყურადღების ობიექტად იქცა, მას მერე, რაც მან განაცხადა, რომ სეზონის ბოლოს გუნდის გამოცვლას აპირებს. ლიეჟის „სტანდარდის" 20 წლის ფორვარდით უმალვე დაინტერესდნენ „არსენალი" და „დორტმუნდი". სხვა, უფრო მოკრძალებული მსურველებიც არიან, მაგრამ თუ ხსენებული ორი გუნდი ბოლომდე გაჰყვა ამ საქმეს, მათთან ჭიდილი ძნელი იქნება. ახალგაზრდა თავდამსხმელის ტრანსფერი დაახლოებით 8 მილიონ ევროდ ფასდება.

## ლიდსს ახალი მფლობელი ეყოლება?

ერთ დროს ჩემპიონთა ლიგაზე და ინგლისურ პრემიერლიგაში სენსაციურად მოთამაშე „ლიდსს" შესაძლოა ახალი მფლობელი გამოუჩნდეს. კომპანია Sport Capital-ი ამჟამინდელ მფლობელ GFC Capital-თან მოლაპარაკებას აწარმოებს. ეს უკანასკნელი გუნდის აქციების 75%-ს ფლობს. გეგმის მიხედვით, მხარეებმა შეთანხმებას იანვრის მეორე ნახევარში მაინც უნდა მიაღწიონ. როგორც ამბობენ, თუ Sport Capital-ი კლუბის აქციების საკონტროლო პაკეტს ხელში ჩაიგდებს, სოლიდურ თანხასაც გაიღებს ახალი ტრანსფერებისთვის, რომელთა ნაწილიც იანვარშივე უნდა განხორციელდეს. შეგახსენებთ, რომ „ლიდსი" ამჟამად ჩემპიონშიპშია, მე-8 ადგილზე იმყოფება და პლეი ოფის ზონას 1 ქულით ჩამორჩება.

გვერდი მოამზადა
**გიორგი პაპაბაძემ**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ფიფა



ასე ჩააბარა ფიფამ მუნდიალის მასპინძლობა ყატარს

# მუნდიალი ზამთარში!

## გრანდიოზული ცვლილებები და პრობლემები

ფიფას გენერალური მდივნის **ჟერომ ვალკეს** განცხადებით, 2022 წლის მსოფლიოს ჩემპიონატი ზამთარში უნდა გაიმართოს. გეტყვით, რომ მსგავსი პრეცედენტი ჯერ არ ყოფილა. ცვლილებების აუცილებლობა მასპინძელი ქვეყნის კლიმატურმა პირობებმა გამოიწვია - ივნის-ივლისში არაბეთის ნახევარკუნძულზე საშუალო ტემპერატურა 38 გრადუსს აღწევს, შუადღეზე კი ის 45-საც აჭარბებს. ყველა ხვდება, რომ ასეთ პირობებში ფეხბურთის თამაში შეუძლებელია. აი, რა თქვა ფრანგმა ფუნქციონერმა: *„მსოფლიოს ჩემპიონატი ტრადიციულ დროს ვერ ჩატარდება. ვფიქრობ, იდეალური იქნება, თუკი ტურნირი ნოემბრის შუა რიცხვებიდან დეკემბრის ბოლომდე გაიმართება, როცა ყატარში ტემპერატურა ევროპის თბილი პერიოდის ანალოგიური იქნება“.*

აქამდე ტურნირის ორგანიზატორები სტადიონებზე სპეციალური სისტემების დახმარებით ჰაერის ტემპერატურის კონტროლს სთავაზობდნენ მსოფლიოს, თუმცა დიდი ხნის ფიქრის შემდეგ იდეაზე ციურიხში უარყვეს. ახლა „ისლა“ დარჩა გასარკვევი, როგორ მოხდება ნოემბერ-დეკემბერში მსოფლიოს მასშტაბით ყველა საკლუბო ტურნირის შეწყვეტა.

ინგლისი. ლიგის თასი. 1/2-ფინალი

# პირველად 22 წლის შემდეგ

| სანდერლენდი-იუნაიტედი | 2:1 |
|---|---|

**გოლები:** 1:0 გიგზი (45+2-ს.კ-ში), 1:1 ვიდიჩი (52), 2:1 ბორინი (65-პენ)

**სანდერლენდი:** მანონე, ბერდსლი, ოში, ბრაუნი, ალონსო, ლარსონი, კატერმოული, კი, ჯაკერინი (56. ა. ჯონსონი), ს. ფლეტჩერი (72. ალტიდორი), ბორინი

**იუნაიტედი:** დე ხეა, რაფაელი, ვიდიჩი, ევანსი (62. სმოლინგი), ევრა, კერიკი, კლევერლი (74. დ. ფლეტჩერი), გიგზი, ვალენსია (87. ერნანდესი), იანუზაი, უელბეკი

კვირაზე ცოტა მეტია გასული 2014 წლის დადგომიდან, თუმცა „მანჩესტერ იუნაიტედმა“ მაინც მოასწრო ზედიზედ სამი თამაშის წაგება და რაც ყველაზე საინტერესოა, სამჯერვე ერთნაირი ანგარიშით - 1:2. მიჯრით სამი მარცხი „ეშმაკებს“ ბოლოს 1992 წელს ჰქონდათ განცდილი. „იუნაიტედის“ წინააღმდეგ მისმა სამმა ყოფილმა წევრმა ითამაშა. გულშემატკივარს **ჯონ ოში** და **უეს ბრაუნი** უფრო ეხსომება, რაც შეეხება **ფილ ბერდსლის**, 28 წლის შოტლანდიელი თავის დროზე სერ **ალექს ფერგიუსონის** გუნდში მხოლოდ ირიცხებოდა და მოედანზე მხოლოდ გამონაკლის შემთხვევებში გადიოდა. ანგარიში ორი მათგანის აქტიურობის წყალობით გაიხსნა. პირველი ტაიმის მიწურულს **სებასტიან ლარსონის** საჯარიმოს ბრაუნის გამჭოლი გადაცემა მოჰყვა, **გიგზმა** კი ბერდსლისთან ორთაბრძოლაში ბურთი საკუთარ კარში ჩაჭრა. „იუნაიტედმა“ მეორე ნახევარში მალევე გაათანაბრა. კუთხურის გათამაშებას **ნემანია ვიდიჩის** თავური მოჰყვა. 65-ე წუთზე **ანდრე მარინერმა** საეჭვო გადაწყვეტილება მიიღო, როცა საჯარიმოში **კლევერლისა** და **ჯონსონის** მინიმალური კონტაქტის შემდეგ პენალტი დანიშნა, რომელიც **ფაბიო ბორინიმ** მშვიდი სინდისით გამოიყენა.

მარინერის გადაწყვეტილებათაგან მხოლოდ პენალტის ეპიზოდი არ ყოფილა საკამათო. 43 წლის არბიტრმა 0:0-ზე **ადნან იანუზაის** გოლი იმის გამო არ ჩათვალა, რომ ბელგიელის მისამართით პასის მომენტში თამაშგარეში გიგზი იმყოფებოდა. 18 წლის ფეხბურთელს ანგარიშში ჩამორჩენის შემდეგაც შეეძლო 1-2-ჯერ გუნდის გადარჩენა, თუმცა თანაგუნდელებმა თინეიჯერს მხარი ვერ აუბეს.

„იუნაიტედს“ ლიგის თასის ფინალში გასვლისთვის ბრძოლა განმეორებით შეხვედრაში მოუწევს, რომელიც 22 იანვარს „ოლდ ტრეფორდზე“ გაიმართება. შესაძლოა, „იუნაიტედმა“ მიზანს მართლა უწიოს და მერე ტიტულიც მოიგოს, თუმცა ვერსად დავემალებით იმას, რომ მოიესის გუნდი უკვე აღარავისთვის წარმოადგენს ავტორიტეტს. ამაში დასარწმუნებლად მხოლოდ მშრალ სტატისტიკას გაგაცნობთ: შოტლანდიელის ხელმძღვანელობით „ეშმაკებმა“ 1978 წლის შემდეგ „ოლდ ტრეფორდზე“ პირველად წააგეს „ვესტ ბრომვიჩთან“, 1992 წლის შემდეგ იმავე არენაზე პირველად დათმეს შეხვედრა „ევერტონთან“, 1972 წლის შემდეგ - „ნიუკასლთან“ და ისტორიაში სულაც პირველად დამარცხდნენ „სუონსისთან“. „შავ კატებს“ მრისხანე მეტოქე ბოლოს 2000 წლის 28 ნოემბერს წუხანდელი ბრძოლის ადგილას, „სტედიუმ ოფ ლაითსზე“ ლიგის თასის მე-4 რაუნდში ჰყავდათ დამარცხებული.

**გუსტავო პოიეტი** (სანდერლენდი): *„ცოტა უცნაურია, რომ ჩვენი თამაშის მანერა უფრო დიდ გუნდებთან დაპირისპირებისთვის გამოდგება, ვიდრე სხვებთან. საერთო ჯამში თანაბარი და საინტერესო შეხვედრა გამოდგა. წინასწარ ვიცოდით, რომ „იუნაიტედთან“ თამაში იოლი ვერ იქნებოდა. „ოლდ ტრეფორდის“ მატჩის წინ უმნიშვნელო უპირატესობას ვფლობთ. რაკი ტურნირის ფინალში არასოდეს გვითამაშია, ყველაფერს ვილონებთ მიზნის მისაღწევად. ფეხბურთში ხანდახან ასეთი რამეც ხდება ხოლმე, როცა არბიტრები შენს სასარგებლოდ ცდებიან“.*

**დევიდ მოიესი** (მანჩესტერ იუნაიტედი): *„რამდენად მძიმეც არ უნდა იყოს, უნდა ვაღიაროთ, რომ დავმარცხდით და ცხოვრება გავაგრძელოთ. ვერ ვიტყოდი, რომ ჩემი შეგირდები ცუდად თამაშობდნენ. ანგარიშის გახსნის მომენტში მეგონა, რომ არბიტრი წესის დარღვევას დააფიქსირებდა, თუმცა ასე არ მოხდა. არა უშავს, რაკი ორრაუნდიანი დაპირისპირებაა, ფინალში გასვლის შანსი ჯერ კიდევ გვაქვს“.*

### მოიესი უარყოფს

ინგლისური პრესის მტკიცებით, „მანჩესტერ იუნაიტედსა“ და „რეალს“ შორის **ფაბიო კოენტრაუს** ტრანსფერი უკვე შეთანხმებულია და 25 წლის პორტუგალიელი „ოლდ ტრეფორდს“ იანვარშივე მიაშურებს. ინფორმაცია „ეშმაკების“ თავკაცმა დევიდ მოიესმა „სანდერლენდთან“ ლიგის თასის პირველ 1/2-ფინალური მატჩის შემდგომ გამართულ პრესკონფერენციაზე უარყო.


მორიგი კრიზისის დასაძლევად დევიდ მოიესმა ხელების გაშლაზე „ცოტა მეტი“ უნდა მოიფიქროს

ამბები

### ნაბიჯი უკან


დემბა ბა

„ივნინგ ქრონიკლის“ ინფორმაციით, „ჩელსი“ მზად არის, სენეგალელი თავდამსხმელი **დემბა ბა** „ნიუკასლს“ მიყიდოს. სავარაუდო სატრანსფერო ღირებულება არ სახელდება. შეგახსენებთ, რომ 28 წლის ფეხბურთელი „სტემფორდ ბრიჯზე“ ზუსტად ერთი წლის წინ „ნიუკასლიდან“ გადავიდა. დედაქალაქელებმა მაშინ კონტრაქტით გათვალისწინებული 7 მილიონი ფუნტი გადაიხადეს. წესით, ფასი უნდა შემცირებულიყო, რადგან ლონდონში ფეხბურთელს სათამაშო პრაქტიკა არ ჰქონია.

გაგაცნობთ დასავლეთლონდონელებთან დაკავშირებულ კიდევ ერთ სავარაუდო სატრანსფერო ამბავს: „დეილი მირორის“ მტკიცებით, იმ შემთხვევაში, თუკი **რაიან ბერტრანი** წავა, კლუბი „საუთჰემპტონს“ 18 წლის **ლუკ შოუში** 8 მილიონ ფუნტს შესთავაზებს. „წმინდანების“ თინეიჯერი უკანახაზელის ნიჭის გათვალისწინებით ის ნამდვილად შეძლებს ძირითადისთვის ბრძოლას.

### მორატა და ინგლისელები


ალვარო მორატა

„რეალის“ 21 წლის თავდამსხმელი **ალვარო მორატა** მადრიდიდან წასვლას გეგმავს, რადგან **კარლო ანჩელოტისგან** სათანადო მხარდაჭერას ვერ გრძნობს. ფეხბურთელის ხელშეკრულება 2015 წლის ზაფხულზე იწურება. თუკი საინტერესო შეთავაზება მიიღო, არ არის გამორიცხული, „სამეფო კლუბმა“ ახალგაზრდა შემტევი იანვარშივე გაუშვას. „მარკას“ ცნობით, მორატათი უკვე დაინტერესდნენ „ლივერპული“ და „არსენალი“. „რეალი“ ტრანსფერში 18 მილიონ ევროს ითხოვს. „ლივერპულ ეხო“ წერს, რომ მერსისაიდელები მორატას გარდა სერიოზულად ფიქრობენ **დელე ალის** (ინგლისი, ნახევარმცველი, 17 წლის, „დონსი“), **სალომონ კალუს** (კოტ დივუარი, თავდამსხმელი, 28 წლის, „ლილი“), **მარტინ მონტოიას** (ესპანეთი, მცველი, 22 წლის, „ბარსელონა“) და **ნიკ პაუელის** (ინგლისი, ნახევარმცველი, 19 წლის, „უიგანი“) ტრანსფერებზეც. აქვე გეტყვით, რომ უკანასკნელზე უფლებები „მანჩესტერ იუნაიტედს“ ეკუთვნის და „უიგანში“ ის მხოლოდ იჯარით თამაშობს.

### იელავიჩი და სხვები


ნიკიცა იელავიჩი

**ტონი პულისი** იანვარში „კრისტალ პალასის“ სერიოზულად გაძლიერებას გეგმავს. 55 წლის უელსელს მინიმუმ ხუთი ახალი ფეხბურთელი სჭირდება, რათა მისი გუნდი გადარჩენისთვის ბრძოლაში გამარჯვებული გამოვიდეს. მათ შორის სახელდებიან: **ნიკიცა იელავიჩი** (ხორვატია, თავდამსხმელი, 28 წლის, „ევერტონი“), **ტომ ინსი** (ინგლისი, ნახევარმცველი, 21 წლის, „ბლექპული“), **სკოტ დანი** (ინგლისი, მცველი, 26 წლის, „ბლექბერნი“). სამეულიდან ყველაზე რეალური იელავიჩის ტრანსფერი გვგონია, რადგან ხორვატიის ნაკრების ფეხბურთელს მსოფლიოს ჩემპიონატისთვის უკეთ მომზადებისთვის სათამაშო პრაქტიკა სჭირდება. ცნობილია ისიც, რომ „ევერტონი“ ბალკანელს 3.5 მილიონად ყიდის. რაც შეეხება ინსს, ზაფხულზე მას კლუბთან კონტრაქტი უმთავრდება და კარიერის გაგრძელებას „ლივერპულში“ გეგმავს.

გვერდი მოამზადა
**ლევან ბიბილაშვილმა**



ეროვნული ბიბლიოთეკა

სკანდალური აღიარება


თომას ჰიტცლშპერგერი

# თომას ჰიტცლშპერგერი: მე გეი ვარ!

## გერმანიის ნაკრების ყოფილმა ფეხბურთელმა აღიარა, რომ ჰომოსექსუალია

ჰომოსექსუალიზმი ფეხბურთში ტაბუდადებული თემაა, ან, ახლა უკვე შეიძლება ითქვას, რომ ტაბუდადებული თემა იყო, რადგან ცნობილმა ფეხბურთელმა პირველად აღიარა, რომ გეია. ეს გახლავთ გერმანელი **თომას ჰიტცლშპერგერი**, რომელიც გერმანიის ნაკრებშიც თამაშობდა, „შტუტგარტში" 2007 წელს გერმანიის ჩემპიონი გახდა, დღეს კი 31 წლისაა და საფეხბურთო კარიერა უკვე დამთავრებული აქვს.

*„საჯაროდ ვაცხადებ, რომ გეი ვარ და ამას იმიტომ ვაკეთებ, რომ ჰომოსექსუალიზმი სპორტში ტაბუდადებული თემა აღარ იყოს,"* - უთხრა ჰიტცლშპერგერმა ჟურნალ „ცაითს".

თომასი არ მალავს, რომ სანამ ფეხბურთელი იყო (კარიერა ახლახან, 2013 წლის სექტემბერში დაასრულა), ამის აღიარება ვერაფრით გაბედა და ეს მართლაც ძალიან თამამი გადაწყვეტილება ახლაღა მიიღო. „ცაითისთვის" მიცემულ ინტერვიუში ის იმასაც ამბობს, რომ მხოლოდ ბოლო წლებში მიხვდა, ქალთან ცხოვრებას კაცთან ცხოვრება რომ ურჩევნია.

თომას ჰიტცლშპერგერი მეგა-ვარსკვლავი არ ყოფილა, მაგრამ საკმაოდ ცნობილი, პოპულარული და წარმატებული ფეხბურთელი გახლდათ. ბავშვობაში მიუნხენის „ბაიერნის" სხვადასხვა ასაკობრივ გუნდებში თამაშობდა, 2000 წელს კი ინგლისის პრემიერლიგაში გადაბარგდა, სადაც ბირმინგემის „ასტონ ვილას" ფორმა მოირგო. საფეხბურთო ევროპამ თომასი სწორედ „ასტონ ვილადან" გაიცნო. ჰიტცლშპერგერი გერმანიის ნაკრებშიც ბირმინგემული კლუბიდან მოხვდა - ბუნდესგუნდში პირველი მატჩი მან 2004 წლის ოქტომბერში ჩაატარა.

„ასტონ ვილას" შემდეგ ჰიტცლშპერგერი „შტუტგარტის" კაპიტანი გახლდათ და 2007 წელს გერმანიის ჩემპიონობა იზეიმა - „ვერცხლის სინიც" სწორედ თომასმა აღმართა. მოგვიანებით თომასი რომის „ლაციოში" ასპარეზობდა, 2011 წელს კი პრემიერლიგაში დაბრუნდა და „ვესტ ჰემის" ფორმა მოირგო, საიდანაც „ვოლფსბურგში" გადაბარგდა, მისი ბოლო კლუბი კი ისევ ინგლისური, „ევერტონი" გახლდათ.

*„ინგლისში, გერმანიასა და იტალიაში ფეხბურთელებისთვის ჰომოსექსუალიზმი აკრძალული თემაა. ყოველ შემთხვევაში, გასახდელებში ამაზე არავინ ლაპარაკობს,* - ამბობს ჰიტცლშპერგერი ხსენებულ ინტერვიუში, *- მე ამის არასდროს მრცხვენოდა და თანაგუნდელებთან ბევრჯერ ვცადე ამის აღიარება, მაგრამ ვერასდროს გავბედე. წარმოიდგინეთ, რომ 20 ახალგაზრდა მამაკაცი მაგიდას უზის და ლუდს მიირთმევენ - ასეთ დროს ხშირად ისმის დამცინავი და შეურაცხმყოფელი კომენტარები ჰომოსექსუალიზმის შესახებ. რა გასაკვირია, რომ აღიარებას ვერავინ ბედავს."*

ჰიტცლშპერგერი ინტერვიუში იმასაც ამბობს, რომ ამ აღიარების შესახებ წინასწარ შეატყობინა გერმანიის ნაკრების მთავარ მწვრთნელ **იოახიმ ლიოვს** და მენეჯერ **ოლივერ ბირჰოფს**.

### ნირსბახი: თომასი სამაგალითო პროფესიონალი იყო და მის აღიარებას პატივი უნდა ვცეთ

ჰიტცლშპერგერის სკანდალურ აღიარებაზე კომენტარი გააკეთა გერმანიის საფეხბურთო კავშირის პრეზიდენტმა **ვოლფგანგ ნირსბახმა**. აი, რა თქვა გერმანული ფეხბურთის მთავარმა მესაჭემ: *„თომასი აქტიური სპორტული კარიერის დროს გერმანიის ნაკრების სამაგალითო ფეხბურთელი, ნამდვილი პროფესიონალი იყო და უდიდეს პატივისცემას იმსახურებდა. თამამად ვიტყვი, რომ ის ახლა უფრო მეტ პატივისცემას იმსახურებს, რადგან გაბედა და აღიარა ის, რაც აქამდე არავის ულიარებია. გერმანიის საფეხბურთო კავშირისგან ის სრულ მხარდაჭერას მიიღებს."*

თომასის განცხადებას გერმანიის ნაკრების მენეჯერი ოლივერ ბირჰოფიც გამოეხმაურა: *„ამ დღემდე ჩვენ არაფერი ვიცოდით იმის შესახებ, რომ ჰიტცლშპერგერი არატრადიციული სექსუალური ორიენტაციის იყო. ამის შესახებ მან მხოლოდ კარიერის დასრულების შემდეგ შეგვატყობინა. რაკი ახლა საჯაროდაც გამოაცხადა, გაგებას და პატივისცემას იმსახურებს. მივესალმები მის ასეთ ნაბიჯს და ვპირდები, რომ ჩვენგან ყველანაირ მხარდაჭერას მიიღებს."*

კომენტარი გააკეთა გერმანიის ნაკრების ფეხბურთელმა და ჰიტცლშპერგერის ყოფილმა თანაგუნდელმა **ლუკას პოდოლსკიმაც** - პოლდიმ თომასის ნაბიჯს თამამი, სწორი და პატივსაცემი გადაწყვეტილება უწოდა.


თომასი და მისი ყოფილი მეგობარი გოგონა ინგა

შალკე

# ბოატენგი ბაიერნის კრიზისზე ოცნებობს

## სიდნი სემი მომავალი სეზონიდან გელზენკირხენში ითამაშებს

„შალკეს" მენეჯერმა **ჰორსტ ჰელდტმა** ამას წინათ განაცხადა, მიუნხენის „ბაიერნს" გერმანიის ჩემპიონობა უკვე მივულოცეო, რითაც, ფაქტობრივად, ისედაც გამოცხადებული კაპიტულაცია ოფიციალურად დაადასტურა, მაგრამ გელზენკირხენულ კლუბში შეფს ყველა როდი ეთანხმება. პრინციპში, რთული გამოსაცნობი არ უნდა იყოს იმ ფეხბურთელის ვინაობა, ვისაც ჯერ კიდევ აქვს იმის იმედი, რომ მიუნხენური გრანდი ბუნდესლიგას ვერ მოიგებს - დიახ, ეს თავზეხელაღებული **კევინ-პრინს ბოატენგია**. 26 წლის „ბოა" „ბაიერნის" კრიზისზე ოცნებობს!

მიუხედავად იმისა, რომ „ბაიერნი" „შალკეს" 16 ქულით (!) უსწრებს, კევინი


კევინ-პრინს ბოატენგი

თავის ძმას, **ჟერომ ბოატენგს**, რომელიც „ბაიერნის" მცველია, ჩემპიონობას ჯერ არ ულოცავს.

*„მერე რა, რომ მიუნხენელები მნიშვნელოვნად წინ არიან - მილოცვას ჯერ არ ვაპირებ. ფეხბურთში ყველაფერი შეიძლება მოხდეს და გამორიცხული არაფერია. ხომ შეიძლება, რომ „ბაიერნს" წამყვანი ფეხბურთელები დაუშავდეს, ან, უბრალოდ, ჩავარდნა დაეწყოს?"* - აცხადებს ბოატენგი, თუმცა იქვე დასძენს, რომ თუ რეკორდმაისტერს კრიზისი დაეწყება, ნამდვილად არ აქვს იმის იმედი, რომ ჩემპიონი „შალკე" გახდება: *„ჩვენი პროგრამა მაქსიმუმი შეიძლება მხოლოდ მესამე ან მეოთხე ადგილი იყოს."*

### შალკეს სემი დაიგვევა!

სამაგიეროდ, გელზენკირხენელებს გაისად ექნებათ ამბიციური მიზნები. სწორედ ამას მოწმობს „შალკეს" მორიგი ტრანსფერი, რომელიც გუშინ დადასტურდა, განხორციელებით კი ზაფხულში განხორციელდება: მიმდინარე სეზონის დასრულების შემდეგ „შალკე" ლევერკუზენის 25 წლის შემტევით, **სიდნი სემით** გაძლიერდება. ამ უკანასკნელმა გელზენკირხენულ კლუბთან წინასწარი კონტრაქტი გააფორმა, რომელსაც ვადა 2018 წლამდე აქვს. ჩვენი გერმანელი კოლეგების ცნობით, „შალკე" „ლევერკუზენს" 2.5 მილიონ ევროს გადაუხდის - სწორედ ეს თანხაა ჩაწერილი სემის ლევერკუზენულ ხელშეკრულებაში.


იან კირხჰოფის ტრავმა სერიოზულია

„ფარმაცევტები" სემის (7 გოლი და 5 პასი ამ სეზონში) შენარჩუნებას მაქსიმალურად ეცადნენ, მაგრამ არაფერი გამოუვიდათ. აღსანიშნავია, რომ მისი გადაბირება „ვოლფსბურგს" და ინგლისურ კლუბებსაც სურდათ.

აქვე გეტყვით, რომ „შალკეს" ახალწვეულის, „ბაიერნიდან" არენდით აყვანილი 23 წლის მცველის, **იან კირხჰოფის** ტრავმა საკმაოდ სერიოზული გამოდგა - კირხჰოფი რამდენიმე კვირა დაისვენებს.

გვერდი მოამზადა
**გოტფრიდ ლენცმა**




დორტმუნდი

# კელს კონტრაქტს არ უგრძელებენ?

გერმანულ პრესაში გავრცელებული ცნობების თანახმად, დიდი შანსია, რომ დორტმუნდის „ბორუსიამ" კაპიტან **სებასტიან კელს**, რომელიც 12 წელია „შავ-ყვითლების" ღირსებას იცავს, კონტრაქტი არ გაუგრძელოს. სებასტიანს ბუნდესლიგაში 310 მატჩი აქვს ჩატარებული, რითაც „დორტმუნდში" მეკარე **რომან ვაიდენფელერის** შემდეგ ყველაზე გამოცდილი მოთამაშეა. ინფორმაცია იმის შესახებ, რომ „დორტმუნდის" შეფები მას ახალ კონტრაქტს არ შესთავაზებენ, ჟურნალმა „შპორტ ბილდმა" გაავრცელა. „კიკერი" იუწყება, რომ 33 წლის კელს ამერიკაში ეპატიჟებიან.


დატოვებს სებასტიან კელი დორტმუნდს?

ინტერვიუ პაატა ღვინიაშვილთან


პაატა ღვინიაშვილი

# ფალავნობის ოცნება ავიხდინე

**პაატა ღვინიაშვილი ქართული საჭიდაო სამყაროსთვის ცნობილი ადამიანია. 26 წლის სპორტსმენი შრომისმოყვარეობით და სამივე სახეობის (ძიუდოს, სამბო, ქართული) ჩოხიან ჭიდაობაში ასპარეზობებში ხშირი მონაწილეობით გამოირჩევა. მას განსაკუთრებით ქართული ჭიდაობის შეჯიბრებებზე გამოსვლა ხიბლავს და ყველაზე მეტ წარმატებას სწორედ აქ აღწევს კიდეც. ღვინიაშვილის ბოლო მნიშვნელოვანი გამარჯვება საქართველოს აბსოლუტურ ფალავნის ტიტულის დაუფლება იყო. მასთან ინტერვიუში ძირითადად სწორედ ამას შევეხეთ, თუმცა რესპონდენტთან სხვა თემებზეც ვისაუბრეთ.**

**- შარშანდელი წლით, ალბათ, კმაყოფილი ხარ....**

- სამბოში საქართველოს ჩემპიონი გავხდი, გავიმარჯვე მსოფლიოს თასზე მოსკოვში, ძიუდოში ჩვენი ქვეყნის ჩემპიონატზე ფინალისტი ვიყავი, მაგრამ ქართულ ჭიდაობაში აბსოლიტური ფალავნობის მოპოვება ჩემთვის ყველაზე უფრო მნიშვნელოვანი წარმატება იყო.

**- ფალავნობის ფინალამდე როგორ გაიარე გზა...**

- ჯერ 90 კგ-ში გავხდი გამარჯვებული. აბსოლუტური ფალავნობისთვის ბრძოლაში გადართულმა კი თავადაპირველად ინისე ბულაძეს, შემდეგ გიორგი პაპუნაშვილს მოვუგე. ნახევარფინალში ლევან მატიაშვილი შემხვდა, რომელიც ჩემზე გაცილებით მეტი წონისაა. ვცდილობდი, მასთან მოკლე დისტანციაზე მეჭიდავა და ერთი მომგებიანი ქულა ამელო. სწორედ ამ გზით შევძელი მოგება. ეს მართლაც მძიმე ბრძოლა იყო.

**- მაგრამ, კიდევ უფრო მძიმე ბრძოლა ფინალში გიორგი ნოზაძესთან გადაგხდა.**

- ნოზაძესთან დასაწყისშივე მომგებიანი გდება შევასრულე, რომელიც, ჩემი აზრით, ორქულიანი იყო, მაგრამ მსაჯებმა ერთი ქულით შეაფასეს. გიორგი დანაკარგის ასანაზღაურებლად შეტევაზე გადმოვიდა. ჩემი მიზანი იყო, კონტრილეთით კიდევ ამელო ქულა. ამ ვითარებაში არბიტრმა გამაფრთხილა და ქულა მოწინააღმდეგეს მისცა. ძირითადი დრო 1:1 დასრულდა, მომგებიანი ქულა მე მანიჭებდა გამარჯვებას, მაგრამ მაყურებელმა უფრო გამოკვეთილი უპირატესობის დასანახად დამატებით დრო მოითხოვა, რასაც ორგანიზატორთა თანხმობა მოჰყვა, მე კიდევ ერთი, ოქროს ქულა გამოვიმუშავე და საოცნებო გამარჯვება მოვიპოვე!

**- ნოზაძე 2013 წელს ნახერხმოყრილ არენაზე გამართულ არაერთ შეჯიბრებაშიც ხომ შენი პრინციპული მეტოქე იყო.**

- ოთხჯერ შევხვედით ერთმანეთს, სამჯერ (თბილისში, სამთავისში, კარალეთში) მე მოვიგე, ერთხელ (ფცაში) მან მაჯობა. გიორგისთან ერთად განვლილ სეზონში ძლიერ კონკურენტად ჩამოყალიბდა საჩხერელი ონისე ბულაძე. ისიც საკმაოდ ძნელად დასამარცხებელი სპორტსმენია, ჩვენ ორივე მარჯვნიდან ვჭიდაობთ. თუმცა ცოტა გამოცდილებით და „გადავლებების“ ხარჯზე ვჯობნი მას.

**- ფალავნობაზე გამარჯვებით იმ ლეგენდარულ მოჭიდავეთა რიცხვში მოხვდი, რომლებიც დღემდე ფლობდნენ ტიტულს.**

- ეს ჩემი სპორტული კარიერის ერთ-ერთი მიზანი იყო და მიხარია, რომ ამას მივაღწიე. ფალავნობის სირთულე იმაშიცაა, რომ გაცილებით მძიმე წონის მეტოქესთანაც შეიძლება მოგვიწიოს პაექრობამ, თანაც თუ ის გამოცდილი და ტიტულოვანია, რთულდება მიზნის შესრულება. ახლა, მაგალითად, ადამ ოქრუაშვილი თუ იჭიდავებდა ის იქნებოდა გამოკვეთილი ფავორიტი. მან ხელის ტრავმის გამო ვერ იასპარეზა და ფალავნობაც ბევრად დაძაბული გამოდგა - გამარჯვების შანსი ბევრს მიეცა. ამიტომაც განვლო შეჯიბრებამ ყველასთვის უშელავათო ბრძოლებში.

**- ფიქრობ თუ არა, რომ ამ შეჯიბრებაზე ქართული ჭიდაობისადმი ერთგულება დაგიფასდა. წლეულს თითქმის ყველაგან იჭიდავე ახალი არენების გახსნისას...**

- ქართული ძალიან ლამაზი ჭიდაობაა, ტექნიკური და ვაჟკაცური. ბევრის მეტყველია, რომ მოწინააღმდეგის მუხლებზე ჩავარდნისას ბრძოლა აღარ გრძელდება. ახალგაზრდებს, პატარებს, ვურჩევ ხშირად იჭიდაონ ნახერხმოყრილ სარბიელზე, საბედნიეროდ, ქართული ჭიდაობის ფედერაცია ხშირად ატარებს შეჯიბრებებს. შედეგი გამოცდილებას მოაქვს. ტურნირი, სადაც ოთხ-ხუთ შეხვედრას ატარებ, ერთი თვის ვარჯიშის ტოლფასია.

**- ადრე, ქართულ ჭიდაობაში შენი პირველი წარმატებების შემდეგ „ლელოში“ დავწერეთ: „ღვინიაშვილი ქართულში დალვინდა“, ახლა კიდევ უფრო გაამართლე ვარაუდი...**

- თქვენი გაზეთის ის ნომერი ახლაც შენახული მაქვს. მიხარია, რომ ქომაგს და ქართული ჭიდაობის სპეციალისტებს იმედები გავუმართლე.

**- პირველად სად იჭიდავე?**

- ჩემს მშობლიურ სოფელ რუისში ნახერხმოყრილ არენაზე ვიჭიდავე პირველად და დავმარცხდი. ძალიან დამწყდა გული. შინ მისულმა მამას ვუთხარი, რომ ჭიდაობაში უნდა მევარჯიშა და მეორე დღეს წავედი კიდეც გორის ძიუდოს სკოლაში. თუმცა ძალიან სუსტი ვიყავი და ერთ კვირაში ტატამზე ხელი მოვიტეხე. დედაჩემის დიდი წინააღმდეგობის მიუხედავად, გამოკეთებისთანავე მაინც განვაგრძე ვარჯიში, თანაც გაათმაგებული მონდომებით. შედეგი კი წლეულსაც გამოჩნდა.

**- ფალავნობაზე სამეულში შენი თანასოფლელი და მოგვარე ბექა ღვინიაშვილი მოხვდა. ის ქართული საჭიდაო სამყაროს დიდი იმედია. ძიუდოში ჭაბუკებსა და ახალგაზრდებში ყველა უმაღლეს საერთაშორისო ტიტულს ფლობს...**

- ბექა ღმერთმა დააჯილდოვა საოცარი ფიზიკური ძალით, ენერგიით, ფლობს მრავალფეროვან ტექნიკურ არსენალს. სანახაობრივად ლამაზად ჭიდაობს და ამის გამო მაყურებელი ფალავნობაზეც გამოხატავდა მის მიმართ კეთილგანწყობას.

ბექას ნახევარფინალში რომ არ წაეგო, ფალავნობისთვის გადამწყვეტ პაექრობას ღვინიაშვილები შემოვრჩებოდით. ის ჯერ 18 წლისაა, მაგრამ თუ იჭიდავა, მოსალოდნელია გაისად მაინც გახდეს ფალავანი.

**- სამბოს ნაკრების თავკაცმა ჯონდო მუზაშვილმა ევროპის ჩემპიონატზე კვარცხლბეკს მიღმა შენი დარჩენა დიდ მოულოდნელობად შეაფასა.**

- კარგად ვიყავი მომზადებული, ჩემპიონობის მოპოვებაც შემეძლო. ვიდრე ნახევარფინალში რუსი მსაჯების გადაწყვეტილებით, მინიმალური უპირატესობით მომიგებდა, ყველა მეტოქეს დიდი ანგარიშით ვძლიე. ვგრძნობდი, რომ ჩემპიონობის შესანიშნავი შანსი მქონდა, მაგრამ მოულოდნელმა მარცხმა ცუდად იმოქმედა და მიუხედავად მწვრთნელის მცდელობისა, ბრინჯაოს მედლისთვის საჭიდაოდ მაინც ველარ განვეწყე, საბოლოოდ კი მეხუთზე დავრჩი.

**- ზედიზედ ოთხი წელია ძიუდოში საქართველოს ჩემპიონატის პრიზიორი ხდები, სამჯერ ფინალისტი იყავი, როდის გატეხავ ნავსს?**

- ოთხიდან სამჯერ ფინალში წაგება გარკვეულწილად უიღბლობის ბრალიცაა, თუმცა მე დიდი იმედი მაქვს, რომ ძიუდოშიც მივაღწევ წარმატებებს. აქ დიდი შრომა მაქვს ჩადებული და არ მინდა, რომ კარიერა მნიშვნელოვანი საერთაშორისო წარმატების მოპოვების გარეშე დავამთავრო.

**ვასილ ბალახაძე**
გორიდან

რეიტინგი

# ქართველთა კლასიკური რეგრესი

ვერ ვიტყვით, რომ ქართველ ბერძენ-რომაელებს წლეულს წარმატებული სეზონი ჰქონდათ. მართალია, მარტში თბილისში გამართულ ევროპის ჩემპიონატში 3 მედალი მოიპოვეს - 2 ვერცხლი და 1 ბრინჯაო, მაგრამ მსოფლიოს პირველობა პირწმინდად ჩააგდეს და მედლის მოპოვება კი არა, ბრინჯაოსთვისაც ვერავინ იჭიდავა. ასეთი გამოსვლა მყისიერად დაეტყო საერთაშორისო რეიტინგს - ახლახან ჭიდაობის საერთაშორისო ფედერაციამ 2013 წლის რეიტინგები გამოაქვეყნა ცალკეული წონების მიხედვით - 15-15 კაცი, თუმცა ამ შვიდ წონაში სულ ექვსი ქართველია.

გასული წლის რეიტინგებში მჩატე წონებში - 55-სა და 60-ში საერთოდ არ გვყავს წარმომადგენელი. ყველაზე უკეთეს მდგომარეობაში 84-ში ვართ, სადაც 15-ეულში ორი ქართველია. მათ შორის ერთი ჩვენგან საუკეთესო **გიორგი ცირეკიძეა** - მე-9 ადგილი, ხოლო **რევაზ ნადარეიშვილი** მე-12 პოზიციაზეა. ამ წონის რეიტინგს ის ირანული დუეტი ლიდერობს, ვინც მსოფლიოს შარშანდელი პირველობის ფინალში იჭიდავა - **ტალებ ნარიმან ნემატპოური** და **სამან ტახმასიბი**, ოღონდ, მოგეხსენებათ, ქურთული წარმოშობის ტახმასიბი აზერბაიჯანის ღირსებას იცავს. გემახსოვრებათ ისიც, რომ მსოფლიოს ჩემპიონი ნემატპოური გახდა და რეიტინგსაც ის ლიდერობს, ტახმასიბი კი მეორეა. მესამე ადგილზე უნგრელთა მსოფლიოსა და ევროპის ბრინჯაოს პრიზიორი **ვიქტორ ლორინცია**.

პეტლიასინსკის ტურნირის ბრინჯაოს მედალოსანი **საჩინო დავითაია** (66) მე-14 ადგილზეა. ამ წონაშიც მსოფლიოს ბოლო პირველობის სამეული ლიდერობს - სამხრეთკორეელი ჩემპიონი **ჰან-სუნ რიუ** პირველია, რუსთა ვიცე-ჩემპიონი, ოლიმპიური ჩემპიონი **ისლამ-ბეკ ალბიევი** - მეორე, გერმანელი ბრინჯაოს მედალოსანი **ფრენკ სტაბლერი** - მესამე. რეიტინგში მეოთხე **ემზარ მახარაძის** გავწრთნილი ინდოელი მსოფლიოს წლევანდელი მესამე პრიზიორი **სანდეეპ იადავია**, ვისაც სტაბლერმა პეტლიასინსკზე მოპოვებული ბრინჯაოთი გაუსწრო.

74-ში **ილია გულბათაშვილი** ზუსტად მე-15 პოზიციაზეა. რეიტინგს აქაც კორეელი ლიდერობს - მსოფლიოს მოქმედი ჩემპიონი **ჰიეონ-ვოო კიმი**. სექტემბერში მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალში მან ბრწყინვალე გდებით დაამარცხა ერთი შეხედვით უძლეველი რუსი, ევროპის ორგზის გამარჯვებული, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **რომან ვლასოვი**, რითაც მას რეიტინგის პირველობაც წაართვა და მეორეობას დააჯერა. მესამე სომეხთა მსოფლიოს შარშანდელი ბრინჯაოს მედალოსანი **არსენ ჯულფალაკიანია**.

96-ში რეიტინგის სათავეშია რუსთა მსოფლიოს ჩემპიონი **ნიკიტა მელნიკოვი**, რომელსაც კვალში სომეხი მსოფლიოს ვიცე-ჩემპიონი **არტურ ალექსანიანი** უდგას, მესამე მსოფლიოს უნგრელი ბრინჯაოს პრიზიორი **ბალასცზ კისია**, მეოთხე - მსოფლიოის კიდევ ერთი მესამე პრიზიორი, აზერბაიჯანელთა ქართველი **შალვა გადაბაძე**. ჩვენი **მიხეილ ქაჯაია** რეიტინგის ბოლო საფეხურზეა - მე-15.

მძიმე წონაში **გურამ ფერსელიძე** მე-12 აგილზეა, რეიტინგს კი ესტონელი **ჰეიკი ნაბი** ლიდერობს. მას ხელი მოემართა ირანელი **ამირ აზიზ ალიაკბარის** დოპინგზე ჩავარდნით - ოქროს მედალიც გადაეცა და მსოფლიოს ორგზის ჩემპიონიც გახდა, რამაც რეიტინგის ლიდერობაც მოუტანა. მეორეზე თურქი **რიზა კაიაალპია**, მესამეზე - ყაზახი **ნურმახან ტინალიევი**.

იმედია, წლეულს ჩვენი ნაკრები შარშანდელზე ბევრად უკეთ იასპარეზებს და სეზონის ბოლოს სარეიტინგო სურათსაც გაალამაზებს.

**ირაკლი თავაძე**



## „ლელოს“ გუშინდელი ნომრის კროსვორდის პასუხები

**თარაზულად:** 1. ბრასი, 2. „რეალი“, 6. იორლა, 7. ფინტი, 9. „ოსერი“, 10. იაია, 11. ლი, 12. ილიე, 14. გოგია, 16. „ლაციო“, 17. ოდა, 19. გო, 19, სამბო, 20. ბრიჯი, 21. რიქშა, 22. ანრი, 23. კიი.

**შვეულად:** 1. ბერლინი, 2. სალო, 4. „ვერონა“, 5. „ალანია“, 7. ფავორიტი, 8. არბალეტი, 13. ლეონარდო, 15. ალონსო, 18. გობეჯიშვილი, 19. საბურთალო.

ეროვნული ბიბლიოთეკა

ხელბურთი

# ქართული ხელბურთი ცოცხლობს და იმარჯვებს

**მსოფლიოს ჩემპიონატის კვალიფიკაცია**
ევროპის I ჯგუფი. 8 იანვარი.
თბილისის სპორტის სასახლე

**საქართველო 26**

**15:12**

**ლიტვა 23**

**საქართველო:** თევზაძე, მსხვილიძე (7 გოლი), რუსია (5), ჭანტურია (5), დათუკაშვილი (4), გვაზავა (2), გამზარდია (2), ტალახაძე (1), მაისურაძე, სიმონია, ტორონჯაძე, აბრამიშვილი, გოგალაძე. ამირანაშვილი, წითელიშვილი, მთავარი მწვრთნელი ჯორჯე რასიჩი.

**ლიტვა:** ვასკევიჩუსი, რასიმასი, პაზემეცკასი, პეტრეიკისი (7), სტრაზდასი (5), იასინსკასი (4), პ. ბაბარსკასი (3), სტანკევიჩუსი (2), გ. ბაბარსკასი (1), ვოროზიოვასი (1), დუმჩუსი, გროსასი, ფეოკტისტოვასი, სტროპუსი, დრევინსკასი, გერვე.

**მსაჯები:** სიმონე ძენდალი, სტეფანო რიელო (ორივე-იტალია),

**დელეგატი:** ვასილი ფეგირი (უკრაინა).



ეს იყო 1999 წელს - საქართველოს ხელბურთელ ვაჟთა ნაკრებმა ევროპის ჩემპიონატის შესარჩევი ტურნირის სამივე საშინაო მატჩი მოიგო. და აი, ჩვენმა ბიჭებმა 15 წლის შემდეგ მსოფლიოს საკვალიფიკაციო ტურნირშიც მიაღწიეს მსგავს წარმატებას. გუშინ ქართველებმა თბილისის სპორტის სასახლეში ჯგუფის ერთპიროვნული ლიდერი ლიტვა დაამარცხეს 26:23 და სტუმრად ნაგებისთვის რევანში აიღეს. მასპინძელთა პირველივე იერიში გოლით დაგვირგვინდა, მაგრამ ბალტიისპირელებმა მალევე ხელთ იგდეს ინიციატივა და 3:1 დაწინაურდნენ, რასაც ქართველთა ოთხგოლიანი სპურტი მოჰყვა - 5:3. ამის შემდეგ მასპინძლებს მატჩის სადავეები ხელიდან არ გაუშვიათ და პირველი ტაიმი 15:12 მოიგეს. ტრავმირებული **ირაკლი ჩიქოვანის** ნაცვლად კარგად შეეწყო გუნდს **აკაკი ტალახაძე,** რომელმაც თითქმის შეუცვლელად ისპარეზა გამთამაშებლისა და მარცხენა გარემარბის პოზიციებზე. იერიშებისას შედეგიანად გაისარჯნენ **რატი მსხვილიძე, ვლადიმერ რუსია, რევაზ ჭანტურია** და **სერგო დათუკაშვილი.** იმის მიუხედავად, რომ მაღალი სიცხე ჰქონდა, ჩვენებურთაგან ერთ-ერთი საუკეთესო გახლდათ საქართველოს კარის დარაჯი **შოთა თევზაძე,** რომელმაც რამდენჯერმე გოლისგან იხსნა თანაგუნდელები. შესვენების შემდეგ იყო მომენტები, როცა სტუმრებს შეეძლოთ შეხვედრაში გარდატეხის შეტანა - ანგარიშში სხვაობა ერთ ბურთამდეც შეამცირეს (18:19, 21:22), თუმცა მეტი ველარ მოახერხეს და საბოლოოდ ჯგუფში პირველი მარცხი (23:26) იწვნიეს. გამარჯვებაში დიდი წვლილი შეიტანეს გულშემატკივრებმაც - ჩვენს ბიჭებს მთელი მატჩის განმავლობაში მათი ქომაგობა არ მოჰკლებიათ...

გუშინვე თურქეთმა ფინეთს 25:19 სძლია, რის შემდეგაც საქართველოს ნაკრებმა მეორე ადგილი გაინაღდა, პირველ ადგილზე კი იმ შემთხვევაში გავა, თუ 11 იანვარს ფინეთში სუომელებს აჯობებს, ხოლო 12 იანვარს ლიტვა შინ თურქეთთან წააგებს.

სატურნირო მდგომარეობა ბოლო ტურის წინ:

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| ლიტვა | 5 | 3 | 1 | 1 | 113:106 | 7 |
| საქართველო | 5 | 3 | 0 | 2 | 125:120 | 6 |
| თურქეთი | 5 | 2 | 0 | 3 | 120:124 | 4 |
| ფინეთი | 5 | 1 | 1 | 3 | 107:115 | 3 |

**ჯორჯე რასიჩი:** გუნდში, ფაქტობრივად, ლაზარეთი გვაქვს. თურქებთან წინა მატჩში ნაკრების ერთ-ერთმა საუკეთესო ხელბურთელმა ირაკლი ჩიქოვანმა თითი მოიტეხა და იგი ვერც ფინელებთან პაექრობაში დაგვეხმარება. რამდენიმე მოთამაშეს ვირუსი შეეყარა და ოთხი მათგანი დღეს სიცხიანი გავიდა მოედანზე. ამის მიუხედავად, ყველაფერი გავაკეთეთ, რომ კვლავ გაგვეხარებინა ქომაგები და პროგრამა მინიმუმი შეგვესრულებინა - სამივე საშინაო მატჩი მოგვეგო. ლიტვის ნაკრები ძლიერი გუნდია, თანაბრად დაბალანსებული: ბალტიისპირელები საკუთარი კარის მისადგომებსაც კარგად იცავენ და შედეგიანადაც უტევენ. შემთხვევითი არ არის, რომ ისინი ჯგუფს ლიდერობენ, თუმცა წინა ტურში ჩვენს კონკურენტს ფორტუნამაც გაუღიმა. როგორც იცით, შინ ფინელებთან პაექრობისას საფინალო სასტვენამდე წუთით ადრე აგებდნენ შეხვედრას. დარჩენილ დროში ორი ბურთი გაიტანეს, თანაც გამარჯვების გოლი მაშინ შეაგდეს, ორთაბრძოლის დამთავრებამდე 6 წამი რომ იყო დარჩენილი. დღევანდელი ჩვენი გამარჯვების მიუხედავად, ჯგუფის ფავორიტი მაინც ლიტვის ნაკრებია - პლეი ოფში გასასვლელად მას ბოლო ტურში შინ თურქებთან ფრეც ხელს აძლევს.

**შოთა თევზაძე:** ლიტვის ნაკრებთან გამარჯვებამ ძალიან გაგვახარა. მარტო ის რად ღირს, რომ ქომაგები, რომლებსაც ამ წარმატებაში დიდი წვლილი მიუძღვით, არ გავაწბილეთ. საერთაშორისო სარბიელზე ერთად თამაშის მეტი გამოცდილება რომ გვქონოდა, ამ შესარჩევ ტურნირში მომდევნო ეტაპზე გასასვლელად უფრო თამამ განაცხადს გავაკეთებდით, თუმცა შანსი არც ახლა დაგვიკარგავს ბოლო ტურში ყველაფერი შეიძლება მოხდეს.

**ზურაბ კაკაბაძე,** საქართველოს ხელბურთის ეროვნული ფედერაციის პრეზიდენტი: წლების განმავლობაში ჩვენთან ხელბურთი გერის როლში იყო. მსოფლიოს ჩემპიონატის ამ შესარჩევ ტურნირში ყველამ დაინახა, რომ მაღალი დონის მოთამაშეები გვყავს, მოდის ნიჭიერი თაობა, რომელსაც ხელშეწყობა სჭირდება. იმედია, სახელმწიფო ხელბურთის განვითარებას მეტ ყურადღებას მიაქცევს. მით უმეტეს, რომ წინ არანაკლებ მნიშვნელოვანი შეჯიბრებები გველის, უპირველესად, ალბათ, 2015 წელს თბილისში ევროპის ახალგაზრდობის ოლიმპიური ფესტივალი, ორი წლის შემდეგ კი, ასევე, საქართველოს დედაქალაქში 19-წლამდელთა მსოფლიოს ჩემპიონატის ფინალური ეტაპი...

ასე რომ, ქართული ხელბურთი ცოცხლობს და იმარჯვებს.

■ ■ ■

აქვე გაუწყებთ ევროპის სხვა შესარჩევ ჯგუფებში გამართულ შეხვედრათა ანგარიშებსა და სატურნირო მდგომარეობას:

**II ჯგუფი**

რუმინეთი - იტალია 34:29, კვიპროსი - სლოვაკეთი 18:20.

რუმინეთი- 10 / სლოვაკეთი- 8, იტალია- 2, კვიპროსი- 0 ქულა.

**III ჯგუფი**

უკრაინა- 7 / სლოვენია- 6, შვეიცარია- 3, ლუქსემბურგი- 0 ქულა.

9 იანვარი. 18:45. უკრაინა - ლუქსემბურგი, 23:00 შვეიცარია - სლოვენია.

**IV ჯგუფი**

საბერძნეთი - ჰოლანდია 24:19, ისრაელი - ბელგია 27:25.

ისრაელი- 6 (+7) / საბერძნეთი- 6 (+2), ჰოლანდია- 4 (-2), ბელგია- 4 (-7) ქულა.

**V ჯგუფი**

ბოსნია - ესტონეთი 28:26, ლატვია - პორტუგალია 24:26.

ბოსნია- 10 / პორტუგალია- 6, ლატვია- 4 , ესტონეთი- 0 ქულა.

შეგახსენებთ, რომ პლეი ოფში მხოლოდ ჯგუფების გამარჯვებულები გადიან.

**გვერდი მოამზადა ვაჟა დანელიამ**
*თამუნა ყულუმბეგაშვილის ფოტოები*



ჭადრაკი

# გურგაონიდან დელიში

გუშინ ინდურ გურგაონში დამთავრდა მოჭადრაკეთა საერთაშორისო ტურნირი, რომელშიც ორი ქართველი დიდოსტატიც მონაწილეობდა. შესანიშნავად ითამაშა **თორნიკე სანიკიძემ,** რომელიც ბოლო მე-10 ტურში მასპინძელ მიშრა სვაიამს დაუზავდა, მოაგროვა 8 ქულა და პირველი ადგილი დაიკავა. ლიდერთა ჯგუფის დანარჩენი შეხვედრები ასე დასრულდა: მარტინ კრავცივი (უკრაინა)-კულკარნი (ინდოეთი) 0.5:0.5, ნიტინი (ინდოეთი)-ოლივერ ბარბოსა (ფილიპინები) 0.5:0.5, რაო პრასანა (ინდოეთი)-აპ კარტიკი (ინდოეთი) 0:1, თეჯა რავი (ინდოეთი)-რასეტ ზიატდინოვი (აშშ) 0:1. ამდენად, 10 ტურის შემდეგ 8-8 ქულა მოაგროვეს ზიატდინოვმა, სვაიამსმა და კარტიკმა, რომლებსაც დამატებითი მაჩვენებლებით, შესაბამისად, მეორე-მეოთხე ადგილები ერგოთ. **მერაბ გაგუნაშვილი** შავი ფიგურებით ნიკილ შიამთან (ინდოეთი) დამარცხდა და 6.5 ქულით 33-ე ადგილზე გავიდა.

გუშინვე გურგაონის ტურნირის მონაწილეებმა დელიში გადაინაცვლეს და



თორნიკე სანიკიძე

დღეიდან A კატეგორიის შეჯიბრებაში ისპარეზებენ. ქართველებს ინდოეთის დედაქალაქში **ლევან ფანცულაიაც** დაემატებათ.

ჩოგბურთი

# ქართველები ავსტრალიას დღეს იწყებენ

დღეს დილით მელბურნში დაიწყება ავსტრალიის ღია პირველობის საკვალიფიკაციო ეტაპის ორთაბრძოლები. შარშან მწვანე კონტინენტის სლემტურნირის (საპრიზო ფონდი 33.000.000 დოლარი) ძირითად ბადეში ჩაება **ანა ტატიშვილი** და პირველსავე წრეში იაპონელ აიუმი მორიტასთან დამარცხდა - 3:6, 3:6. ამჯერად, თბილისელი ჩოგბურთელი, რომელიც რეიტინგში 126-ეა, ასპარეზობას კვალიფიკაციიდან დაიწყებს, სადაც მე-12 ნომრად არის განთესილი. მეორე წრეში გასასვლელად კანადელ ალექსანდრა ვოზნიაკს (2009 წელს ეს ჩოგბურთელი მსოფლიოში 21-ე ადგილზე იყო, ამჟამად 283-ეა) დაუპირისპირდება. აქამდე ისინი სამჯერ შეხვდნენ ერთმანეთს: 2011 წელს ალბუკერკში (აშშ) ანამ აჯობა, ალექსანდრამ ლინცში (ავსტრია) რევანში აიღო. შარშანწინ ბუდაპეშტში მათი მესამე პაექრობა ჩვენებურის გამარჯვებით (5:7, 7:6, 6:4) დამთავრდა. როგორც ვხედავთ, ტატიშვილს იოლი გასეირნება არ ელის, თუმცა ანას შარშანდელი სეზონის წარმატებულ ფინიშს თუ გავითვალისწინებთ, უნდა ვივარაუდოთ, რომ ქართველი ჩოგბურთელი კანადურ ბარიერს გადალახავს და არანჩა რუსსა (ჰოლანდია) და ეკატერინა ბიჩკოვას (რუსეთი) შორის უძლიერეს დაელოდება.

ავსტრალიის ღია პირველობის საკვალიფიკაციო ბადეში ითამაშებს კიდევ ერთი თბილისელი ჩოგბურთელი - **სოფიო შაფათავა**, რომელიც


ანა ტატიშვილი

მსოფლიო რეიტინგში ამჟამად 214-ე საფეხურზეა. WTA-ს ტურნირის სადებიუტო სტარტზე მას მეტოქეობას გაუწევს იაპონელი ერი ჰოზუმი, რომელიც საჩოგბურთო წრისთვის ნაკლებად არის ცნობილი,


სოფიო შაფათავა

თუმცა კლასიფიკაციაში ჩვენებურს 11 ადგილით უსწრებს. შაფათავა-ჰოზუმის შორის უძლიერესი მარინა ზანევსკასა (უკრაინა) და დანკა კოვანიჩის მატჩში გამარჯვებულს შეხვდება.

■ ■ ■

ჰობარტის (ავსტრალია) ქალთა საერთაშორისო ტურნირზე (საპრიზო ფონდი 250.000 დოლარი), როგორც გაუწყეთ, წყვილებში წარმატებით აილეს სტარტი თბილისელმა **ოქსანა კალაშნიკოვამ** და უკრაინელმა ირინა ბურიაჩოკმა. ისინი მეოთხედფინალში არიან. გუშინ მათი მეტოქე გამოვლინდა: ესპანელებმა - ლარა არუაბერენამ და სილვია სოლერ-ესპინოზამ სამ სეტში მასპინძლებს - ოლივია როგოვსკას და სტორმ სანდერსს სძლიეს - 2:6, 6:2, 11:9.

■ ■ ■

ნაახალწლევს ჩოგბურთელ ქალთა საერთაშორისო ასოციაციამ (WTA) ახალი რეიტინგები გამოაქვეყნა. ჩვენებურთა მაჩვენებლები ასეთია:

**ერთეულები**

126 (127). **ანა ტატიშვილი** (499 ქულა), 214 (218). **სოფიო შაფათავა** (288), 318 (313). **ოქსანა კალაშნიკოვა** (151), 419 (420). **ეკატერინე გორგოძე** (97), 456 (458). **მარგალიტა ჩახნაშვილი** (81), 743 (720). **სოფიო ქვაცაბაია** (28), 1212 (1216). **მარიამ ბოლქვაძე** (4), 1238 (1242). **თამარ ჭალაგანიძე** (3).

**წყვილები**

56 (58). კალაშნიკოვა (1622), 85 (82). ტატიშვილი (1085), 181 (184). შაფათავა (382), 463 (451). გორგოძე (107), 525 (500). ქვაცაბაია (84), 771 (772). ჩახნაშვილი (34), 1266 (1271). ჭალაგანიძე (4), 1289 (1294). ბოლქვაძე (3).

**ვაჟა დანელია**

კალათბურთი. ინტერვიუ ლევან მიქაბერიძესთან

# რა მოხდა შსს აკადემიაში

სეზონის დასაწყისიდან დღემდე „შსს აკადემიაში“ არაერთი ცვლილება განხორციელდა. ნოემბერში შეიცვალა მთავარი მწვრთნელი, დეკემბერში გაათავისუფლეს გუნდის დამფუძნებელი და სპორტული დირექტორი და მენეჯერი, იანვარში „შსს აკადემიაში“ უცხოელიც გამოჩნდა.

გავესაუბრეთ ყოფილ სპორტულ დირექტორ **ლევან მიქაბერიძეს,** რომელმაც შესავლად აი, რა გვითხრა:

- სამწუხაროდ, 2013 წლის დეკემბერში გუნდს შეურაცხმყოფელი ფორმით, შრომის კანონის დარღვევით ჩამოგვაცილეს მე, მენეჯერი მამუკა გოგლიძე, მწვრთნელები ზურაბ სამხარაძე და ნინო ყიფშიძე. მანამდე კი, პრაქტიკულად გამოუვალი მდგომარეობის გამო, „შსს აკადემია“ დატოვა მთავარმა მწვრთნელმა დრაგან პეტრიჩევიჩმა.

**- იქნებ, კონკრეტულად გვითხრათ, რა მოხდა?**

- ვიდრე დეკემბრამდე მივიდოდეთ, გავიხსენებ, რომ ხუთი წელიწადია გუნდს ვაშენებთ, დავიწყეთ პირველი საფეხურიდან, წლიდან წლამდე ვუმჯობესდებოდით და გასულ სეზონში, 26 მაისს „შსს აკადემიამ“ საქართველოს ჩემპიონისთვის განკუთვნილი ტიტული მოიპოვა. 31 მაისს შსს-ს მაშინდელმა მინისტრმა, ირაკლი ღარიბაშვილმა წვეულებაზე მიგვიწვია, რაც თავისთავად ჩვენი შრომის დაფასება იყო. მინისტრმა სრული მხარდაჭერა გამოგვიცხადა და დაგვავალა, რომ მომავალი (2013-14 წლების) სეზონისთვის გვებრძოლა ტიტულის შენარჩუნებისთვის, ვყოფილიყავით მოწინავე პოზიციებზე და ხელი შეგვეწყო ბავშვთა კალათბურთის განვითარებისთვის. შეგახსენებთ, რომ „შსს აკადემიას“ შარშან სამ ასაკობრივ ჩემპიონატში ჰყავდა გუნდი, კადეტებში კი ჩემპიონები გავხდით.

**- რა ნაბიჯები გადაიდგა გუნდის შესანარჩუნებლად?**

- ამ დავალებიდან გამომდინარე, მე, როგორც სპორტულმა დირექტორმა საჭიროდ მივიჩნიე კვლავ უცხოელი მწვრთნელი მოგვეწვია, რომელიც თანამედროვე ხედვითაც იმუშავებდა და ჩვენს მწვრთნელ-კალათბურთელებს საკუთარ გამოცდილებას გაუზიარებდა. მწვრთნელებმა, არჩილ ჟღენტმა, გიორგი ნიკოლაძემ და დავით არეშიძემ გიორგიოს კეცელიდისთან მუშაობით ფასდაუდებელი გამოცდილება მიიღეს.

**- რატომ ჩამოიყვანეთ ახალი მწვრთნელი და არ დატოვეთ კეცელიდისი?**

- იგი ჩემი ახლო მეგობარია და დიდ პატივს ვცემ. დიდი მოცულობის სამუშაო შეასრულა გუნდის შენების საქმეში. თუმცა მისი დონე მოითხოვდა სხვა სიმაღლეებს - ევროსარბიელზე გუნდის გაყვანას. ევროჩელენჯზე თამაში ჩემი ოცნებაა, მაგრამ სალ აზრს ვერ დავკარგავდით, საერთაშორისო სარბიელზე გასვლა დიდ ხარჯს მოითხოვს, ლაპარაკია რამდენიმე მილიონზე. ამიტომ გადავწყვიტეთ კეცელიდისის გარეშე გვებრძოლა საქართველოში შარშანდელი შედეგის გამეორებისთვის, საამისოდ საჭირო მინიმალური ბიუჯეტით.

**- თუმცა მიმდინარე სეზონში გაცილებით ახალგაზრდული შემადგენლობით ითამაშეთ, რაც თავისთავად ცხადჰყოფდა, რომ, თუნდაც ფინალში გასვლა, ძალიან რთული იქნებოდა.**

- ივნისიდან მოყოლებული ბევრ ტექნიკურ პრობლემას წავაწყდით კლუბის პრეზიდენტის ზაალ კაპანაძისგან. იგი შარშანაც გუნდში მუშაობდა და ძირითადად ფინანსურ მხარეს კურირებდა. 21 ივნისს ხელშეკრულება გავაფორმეთ სერბ სპეციალისტ დრაგან პეტრიჩევიჩთან, რომელთან ერთადაც გარკვეული მონახაზი შევადგინეთ სელექციასთან დაკავშირებით. თუმცა გამოგვიცხადეს, რომ 2013-14 წლების სეზონში ჩვენ, ისევე როგორც სხვა ქართულ კლუბებს, არ უნდა გვყოლოდა ლეგიონერები. შესაბამისად, ჩვენი ბიუჯეტი რამდენიმე ასეული ათასით შემცირდებოდა. ვეჭვობ, რომ ეს გარკვეულ დონეზე გადაწყდა და მინისტრთან შეთანხმებული არ უნდა ყოფილიყო, რადგან ჩვენ დავალებული გვქონდა კარგი გუნდის გაკეთება. იმედს ვიტოვებთ, მინისტრი დაინტერესდება ამ ფაქტით და რეაგირებას მოახდენს. გაურკვეველ მდგომარეობაში აღმოვჩნდით, რამაც გამოიწვია დროის დაკარგვა - სასელექციო პერიოდის დიდი ნაწილი გაგვიცდა და არათუ უცხოელებთან, ქართველებთან ხელშეკრულებების გაფორმების შანსიც დაიკარგა. ზოგიერთის გვარსაც დავასახელებ: ლაშა გამყრელიძე, გიორგი შარაბიძე, სერგო ათუაშვილი... რადგან ლეგიონერების გარეშე უნდა გვეთამაშა, აუცილებელი იყო გამოცდილი ქართველების დამატება, რაც ვერ მოვახერხეთ.

**- ახალი მწვრთნელი, დრაგან პეტრიჩევიჩი როგორ შეხვდა ამ ამბავს?**

- ეს ინფორმაცია მწვრთნელს რომ ვუთხარი, ისიც დავამატე, სურვილისამებრ შეგვეძლო კონტრაქტის გაუქმება. მაგრამ პეტრიჩევიჩმა მითხრა, რომ გუნდში დარჩებოდა და საკუთარ გამოცდილებას ქართველებს გაუზიარებდა.

**- მაგრამ, სერბმა სპეციალისტმა შუა სეზონში მაინც დატოვა გუნდი...**

- საბოლოოდ მაინც წასვლა გადაწყვიტა, რადგან კარგად მოეხსენებოდა, რომ შედარებით ახალგაზრდული შემადგენლობით ტიტულის დაცვას ვერ მოახერხებდა, ვერ გაუმკლავდებოდა ლეგიონერებით გაძლიერებულ ქართულ კლუბებს და ეს ყველაფერი მის კარიერაზეც უარყოფითად აისახებოდა. ამიტომ, 27 ნოემბერს გუნდი კომპენსაციის გარეშე დატოვა და რუმინეთში გაემგზავრა.



**- როგორც დასაწყისში აღნიშნეთ, ეს პირველი და უკანასკნელი ცვლილება არ იყო...**

- დეკემბერში მოქმედი კანონმდებლობის სრული უგულვებელყოფით გუნდიდან გაგვათავისუფლეს მე, მენეჯერი მამუკა გოგლიძე, მწვრთნელები ზურაბ სამხარაძე და ნინო ყიფშიძე. ვითხოვეთ უფროსობასთან შეხვედრა, მაგრამ ამას თავი აარიდეს, არადა, კანონით ვალდებულები იყვნენ, აეხსნათ გათავისუფლების მიზეზი. ბრძანებაში მიზეზად ჩვენი არაჯეროვანი მუშაობა ეწერა, თუმცა რომელ არაჯეროვან მუშაობაზეა ლაპარაკი, როცა მე და მენეჯერს მამუკა გოგლიძეს საშუალება არ მოგვეცა გუნდი სათანადოდ დაგვეკომპლექტებინა. სელექციაში კი არაფერი შეგვეშლებოდა, ისე, როგორც აქამდე ხდებოდა. ერთ მაგალითს მოვიყვან: შარშან მწვრთნელ გიორგიოს კეცელიდისთან შეთანხმებით ჩამოვიყვანეთ ლეგიონერი ბენჟამინ რეიმონდი, რომელიც 7 თვის უთამაშებელი იყო და ზედმეტი წონა 18 კგ ჰქონდა. მწვრთნელთან ერთად განვჭვრიტეთ, რომ კაცი, რომელსაც კალათბურთისთვის თითქმის თავი ჰქონდა დანებებული, საბოლოოდ ჩვენს გუნდს ძალიან დაეხმარებოდა. კეცელიდისმა თავისი კავშირების წყალობით მოიპოვა სპეციალური პროგრამა, რომელზე მუშაობითაც რეიმონდი ფორმაში ჩადგა და საბოლოოდ განუზომელი წვლილი შეიტანა გუნდის გაჩემპიონებაში.

**- ახლა რას აპირებთ?**

- მე და მამუკა ჩვენი სიმართლის სამართლებრივად დამტკიცებას ვაპირებთ. იცით, ყველაზე უსამართლო და საწყენი რა არის? - ჩვენი და მწვრთნელების გაშვების შედეგად გაკეთებული ეკონომიით გუნდში ლეგიონერები ჩამოჰყავთ, რაც ჩვენი მუშაობის პერიოდში აკრძალული იყო...

**ვაჟა სიმონიშვილი**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ისტორია

# შავი ეშმაკების ჭკუის სასწავლებელი გაკვეთილი

*„ძალიან რთული მატჩი გვქონდა. მეტოქე სათანადოდ არ შევაფასეთ. ბევრს კი ვლაპარაკობდით ამის თაობაზე, მაგრამ როგორც ჩანს, ის ლაპარაკადვე დარჩა. 50-60 ქულის სხვაობით მოვიგებთო - ვამბობდით, და კინალამ წავაგეთ. კიდევ ერთხელ დამტკიცდა, რომ ნებისმიერი მეტოქე უნდა დააფასო. ეს შემთხვევა ჭკუის სასწავლებელი იყო და მომავალში გავითვალისწინებთ“. - ეს კომენტარი საქართველოს ნაკრების მესამეხაზელმა მამუკა გორგოძემ ერთა თასის შარშანდელი გათამაშების პირველ ტურში, ბელგიის ეროვნულ გუნდთან მატჩის შემდეგ თქვა.*


ბურთით მამუკა გორგოძე

მაშინ „ბორჯღალოსნებმა“ მეტოქეს გაჭირვებით აჯობეს 17:13, რაც, ცხადია, ყველასთვის დიდი მოულოდნელობა იყო. აი, როგორ იწყებოდა იმ შეხვედრის რეპორტაჟი „ლელოში“:

*„რიხით დაწყება არ გამოვიდა. არადა, ბელგიის ნაკრები დებიუტანტია და ძნელად თუ ვინმე იფიქრებდა, რომ საქართველოს ეროვნულ გუნდს ბრიუსელში გამარჯვება გაუჭირდებოდა. მეტიც, სრულიად რეალური იყო, წაგვეგო კიდეც, რაც არა მარტო ჩვენთვის, მთელი მსოფლიოსთვის შოკისმომგვრელი იქნებოდა.*

*შოკი არა, მაგრამ ანგარიშის გაგების შემდეგ, ყველა რომ გაოცებული დარჩება, უდავო ფაქტია. ვისაც თამაში არ უნახავს, იფიქრებს, რომ ბელგიას მართლა სერიოზული პროგრესი აქვს, აგერ, მრავალნაცად საქართველოს ნაკრებს როგორი წინააღმდეგობა გაუწიაო. არ გვინდა ბელგიელებს გარჯა დავუწუნოთ. უბრალოდ რომ ვთქვათ, მათ რაიმე განსაკუთრებული შემოგვთავაზეს, არ იქნება სწორი.“*

მერე ბელგიელებმა დაამტკიცეს, რომ ჩვენს გუნდთან ასეთი თამაში სულაც არ იყო შემთხვევითი. ერთი კვირის თავზე „შავმა ეშმაკებმა“ საშინაო არენაზე ესპანეთის ნაკრებთან ფრეს მიაღწიეს 21:21. არანაკლებ სერიოზული ბრძოლა გაუმართეს ერთა თასის სხვა გუნდებსაც და დივიზიონში ადგილის შენარჩუნების კარგი შანსი აქვთ.

„ბორჯღალოსნები“ პირველ შეხვედრას წლეულს სწორედ ბელგიელებთან გამართავენ 1 თებერვალს. მატჩს თბილისში, „ავჭალის სარაგბო სტადიონი“ უმასპინძლებს. სტუმრების მოტივაცია, ცხადია, იგივე იქნება, რაც ერთი წლის წინათ. ისინი ყველანაირად ეცდებიან ერთა თასის ფავორიტს და ლიდერს, საქართველოს ნაკრებს რაც შეიძლება მეტი პრობლემა შეუქმნან.

ცხადია, ბელგიელებს თბილისში გამარჯვების იმედი არ უნდა ჰქონდეთ, თუმცა ისიც ცნობილია, რომ ნასაგებადაც არ ჩამოვლენ და მაქსიმალურად ეცდებიან მინიმალურ შედეგს მიაღწიონ, თუნდაც ერთი პრემიალური ქულა წაიღონ. ბრიუსელში ეს მათ მოახერხეს. რა იქნება თბილისში?

სამოასთან მატჩის შემდეგ, პრესკონფერენციაზე იმ შეხვედრაში ნაკრების კაპიტან **მამუკა გორგოძეს** მომავლის გეგმებზე ჰკითხეს და ბელგიის ნაკრებთან მატჩი გაახსენეს.

*„ძალიან მწარედ მახსოვს ეგ თამაში და ბელგიელებზე ძალიან გაბრაზებულნი ვართო“* - ასეთი იყო გორგოძის პასუხი. გაბრაზების მიზეზი, ცხადია, თამაშის დასაწყისში ატეხილი გუნდური ჩხუბია, რომელიც მთლიანად ბელგიელების პროვოცირებული იყო. აკი მასპინძლების ფრანგმა თავკაცმა **რიჩარდ მაკკინტოკმა** მატჩის შემდეგ თქვა.

*„ქართველებს კარგად ვიცნობ. მათ ახალგაზრდულ ნაკრებთან მიმუშავია კიდეც. ფიცხელი, დაუდგრომელი ხასიათი აქვთ. არაფერს შეგარჩენენ და ამიტომ მათი პროვოცირება ძალიან იოლიაო.“*

როგორც ჩანს, ის, რაც თამაშის დასაწყისში მოხდა, წინასწარ დაგეგმილი აქცია იყო, რომელმაც გარკვეულწილად თავისი მიზანი შეასრულა კიდეც. არბიტრმა პირველხაზელ **დავით ქუბრიაშვილს** წითელი ბარათი უჩვენა. ჩვენს გუნდს სათამაშო სქემა აერია და ბელგიელები რბევას გადაურჩნენ.

მეტიც, ცოტა დააკლდათ და თამაშის მოგებაც შეეძლოთ. პირველი ტაიმი მასპინძლებმა 10:3 მოგვიგეს. შესვენების შემდეგ კიდევ უფრო დაწინაურდნენ 13:3. „ბორჯღალოსნებმა“ ძალების მაქსიმალური მობილიზება მოახერხეს და მეტოქეს ორი ლელო გაუტანეს.

გადაურჩებიან თუ არა ბელგიელები თბილისში რბევას, ძნელი სათქმელია. თუმცა გაბრაზებულ „ბორჯღალოსნებთან“ ხუმრობა რომ არ შეიძლება, ეს თავიანთ ტყავზე პორტუგალიელებმა და ესპანელებმა არაერთხელ იწვნიეს. „ლუზიტანებს“ თბილისში ერთხელ 40:0 მოვუგეთ, მათი მეზობელი „ლომები“ კი 60:0 დავამარცხეთ.

ცხადია, ამჯერადაც იგივეა მოსალოდნელი, თუმცა ისიც გასათვალისწინებელია, „ბორჯღალოსანთა“ თავკაცი, **მილტონ ჰეიგი** რა შემადგენლობას დაუპირისპირებს ბელგიელებს. გამორიცხული არ არის, ახალზელანდიელმა რამდენიმე ახალგაზრდა კიდევ გამოსცადოს, თუმცა ისიც ფაქტია, რომ ექსპერიმენტების დრო აღარ არის. ახლა გადამწყვეტი ეტაპი დადგა და ყველა ქულას ოქროს ფასი აქვს.

**ბელგია-საქართველო 13:17**

**ბელგია** (15-9) ვილიამსი, ფან ტრაპენი, ანდრე, ბრებანი, პირონი (ადამსი 72), პიერო, ბერჟე (ხუანი 70). (1-8) მასიმი (ოლივიე 45), ვენდე (კუფოლო 79), ჟადო, ფერსხელდენი, ნანა, ტ. დე მოლდერი (ბილი 77), ნილი, მორელი (მირიალაკისი 10).

**ლ:** მირიალაკისი. 2ს,გ: ვილიამსი.

**სინბინი:** ვენდე.

**გაძევება:** ჟადო.

**საქართველო** (15-9) წიკლაური, თოდუა, კაჭარავა, შარიქაძე, მჭედლიძე, კვირიკაშვილი (ხმალაძე 75), ბეგაძე. (1-8) ნარიაშვილი (ხინჩაგიშვილი 61), მამუკაშვილი (ბელქანია 61), ქუბრიაშვილი, ჩხაიძე, მიქაუტაძე (სუთიაშვილი 61), კოლელიშვილი, გორგოძე, ბასილაია (ჩილაჩავა 10).

**2ლ:** გორგოძე, ჩილაჩავა. 2გ,ს: კვირკაშვილი

**სინბინი:** კოლელიშვილი

**გაძევაბა:** ქუბრიაშვილი.

**მსაჯი:** მატეო ლიპერინი (იტალია)

**სატურნირო მდგომარეობა**

| | თ | მ | ფ | წ | ბ | ქ |
|---|---|---|---|---|---|---|
| 1. საქართველო | 5 | 4 | 1 | 0 | +74 | 19 |
| 2. რუმინეთი | 5 | 4 | 1 | 0 | +49 | 19 |
| 3. რუსეთი | 5 | 3 | 0 | 2 | -6 | 14 |
| 4. პორტუგალია | 5 | 1 | 1 | 3 | -21 | 7 |
| 5. ბელგია | 5 | 0 | 1 | 4 | -39 | 5 |
| 6. ესპანეთი | 5 | 0 | 2 | 3 | -57 | 5 |

**ბესიკ ჯანგავაძე**


შალვა სუთიაშვილის შეტევა

საქართველოს ჩემპიონატი



# თიბისი თსუ-ს გასაჭირი

**საქართველოს სარაგბო ჩემპიონატი უაღრესად საინტერესოდ და დაძაბულად მიმდინარეობს. უკვე თამამად შეგვიძლია ვთქვათ, რომ უკანასკნელი ათწლეულის განმავლობაში საუკეთესოა. სეზონის წინ გათამაშების წესდებაში განხორციელებულმა ცვლილებამ კიდევ უფრო საინტერესო გახადა პირველი ლიგაც. აქ გამარჯვებული ავტომატურად ილებს უმაღლესი ლიგის საგზურს, მეორე ადგილოსანი კი პლეი ოფში უპირისპირდება უმაღლესი ლიგის მეცხრეადგილოსანს.**

2014 წელს განსაცდელით შეხვდა პირველი ლიგის აღმოსავლეთ ჯგუფის უპირობო ლიდერი „თიბისი თსუ“. არადა, **ლაშა თავბერიძის** გაწვრთნილმა გუნდმა „ერთი ამოსუნთქვით“ განვლო გათამაშების პირველი ეტაპი. გასულ 12 ტურში ყველა შეხვედრა მოიგო, 8 მატჩში პრემიალური ქულის აღება მოახერხა და 57 ქულით ერთპიროვნულად ლიდერობს გათამაშებას. ის 8 ქულით უსწრებს უახლოეს კონკურენტ თბილისის „დინამოს“.

„თიბისი თსუ“ პირველ ლიგაში ყველაზე სანახაობრივ რაგბის თამაშობს. ისინი შეტევაშიც შედეგიანები არიან (575 გატანილი ქულა) და ამასთან ერთად საუკეთესო დაცვის დემონსტრირებასაც ახდენენ - განვლილ 12 ტურში მეტოქეთაგან მხოლოდ 79 ქულა მიიღეს. მიუხედავად ასეთი წარმატებისა, პრობლემები მაინც მოზღვავდა.

გუნდის არსებობის ისტორია 2007 წლიდან იღებს სათავეს, როდესაც „თიბისი“ ბანკმა გადაწყვიტა საკუთარი რაგბის გუნდი შეექმნა. ხუთი წლის განმავლობაში მოყვარული მორაგბეებით დაკომპლექტებული კლუბი მეტ-ნაკლები წარმატებით ასპარეზობდა, თუმცა 2012 წლიდან სიტუაცია აბსოლუტურად შეიცვალა. სამწვრთნელო შტაბი ახალგაზრდა მწვრთნელთა დუეტით (ლაშა თავბერიძე, ლადო კილასონია) შეიცვალა - დაფინანსებამ და პროფესიონალიზმმა იმატა, რამაც ახალი, ძლიერი სარაგბო გუნდის ჩამოყალიბებას დაუდო საფუძველი. „თიბისი-მ“ გასულ სეზონში იოლად მოიგო პირველი ლიგის გათამაშება, თუმცა უმაღლესი ლიგის საგზური მაინც ვერ ირგუნა. ის ორრაუნდიან ბრძოლაში დამარცხდა უმაღლესი ლიგის ბოლოადგილოსან თბილისის „ყოჩებთან“.

კლუბმა მიმდინარე სეზონის დასაწყისში მოახერხა მოთამაშეთა ძირითადი ბირთვის შენარჩუნება და კვლავინდებურად ლიდერობს გათამაშებაში, თუმცა გადამწყვეტი ეტაპის წინ, როდესაც უკანასკნელი ნაბიჯია გადასადგმელი და უმაღლესი ლიგის საგზური უკვე ნათლად ჩანს - გუნდის მთავარმა ფინანსურმა დონორმა „თიბისი ბანკმა“ უარი განაცხადა დაფინანსებაზე და კლუბი ბედის ანაბარად დატოვა.

რეალურად გუნდი თბილისის სახელმწიფო უნივერსიტეტის სახელსაც ატარებს, თუმცა უმაღლესი საგანმანათლებლო ორგანოსაგან ჯერჯერობით არანაირი მხარდაჭერა არ იგრძნობა, არც მორალური და მით უმეტეს, არც ფინანსური. ორიოდე თვის წინათ, როდესაც საქართველოს რაგბის კავშირის წარმომადგენლები სახელმწიფო უნივერსიტეტის სტუდენტებთან შესახვედრად იმყოფებოდნენ, სტუდენტებს ელემენტარული ინფორმაციაც არ ჰქონდათ იმასთან დაკავშირებით, რომ მათ უნივერსიტეტს სარაგბო გუნდი ჰყავს.

გულდასაწყვეტი და მტკივნეულია „თიბისი ბანკის“ წამოწყებული პატრიოტული საქმის გადამწყვეტ ფაზაში მიტოვება, მაშინ, როდესაც გუნდს რეალურად გააჩნია მშვენიერი შანსი მოიპოვოს უმაღლესი ლიგის საგზური და მომავალი სეზონიდან ყველა მეტოქისთვის ანგარიშგასაწევ ძალად იქცეს.

მიუხედავად გაჭირვებისა, პირველი ლიგის მოგებისთვის დაგეშილი გუნდი კვლავინდებურად განაგრძობს წვრთნას, მოთამაშეთა უმეტესობას ხშირად ვარჯიშზე სასიარულოდ ფინანსური სახსრებიც არ გააჩნია, თუმცა მუხლჩაუხრელ შრომას და მონდომებას ყოველთვის მოაქვს შედეგი. იმედია, არც „თიბისი თსუ-ს“ შემთხვევა იქნება გამონაკლისი.

**გიორგი ბარბაქაძე**

ეროვნული ბიბლიოთეკა

კალათბურთი. NBA რეგულარული ჩემპიონატი

# დასავლური უცნაურობანი

დიდი სათამაშო დღე შედგა გუშინ ეროვნულ საკალათბურთო ასოციაციაში და საქმეში ვიხილეთ დასავლეთი კონფერენციის სამივე ლიდერი.

წააგეს თავიანთი მატჩები „ოკლაჰომამ" და „პორტლენდმა", მიუხედავად იმისა, რომ მათმა მთავარმა ვარსკვლავებმა სეზონის სნაიპერული რეკორდები დაამყარეს: **კევინ დურანტმა** 48 ქულა დააგროვა (ასეთივე მონაგარი ჰქონდა მას ამასწინ, „მინესოტასთან" მოგებულ მატჩში), **დამიენ ლილარდმა** - 41 ქულა. ამ უკანასკნელისთვის „საკრამენტოსთან" წაგება განსაკუთრებით დასანანი იქნებოდა, რადგან დაუჯერებლად შედეგიან მეოთხე მეოთხედში (46:43 სტუმრების სასარგებლოდ), ლილარდმა 26 ქულა დააგროვა და პირადად შეამცირა თავისი გუნდის 18-ქულიანი ჩამორჩენა 2 ქულამდე. სათამაშო რჩებოდა კიდევ 16 წამი, და სწორედ ლილარდმა ააცილა ბოლოს ორი სამქულიანი.

რაც შეეხება დურანტს, რომელსაც ვერ ეხმარებოდნენ ტრავმირებული **რასელ უესტბრუკი და სერჟ იბაკა**, მან პირადი დუელი წააგო „იუტას" სნაიპერთან **გორდონ ჰეივორდთან**, რომელმაც 37 ქულით კარიერის რეკორდი დაამყარა და ამას 11 მოხსნა და 7 შედეგიანი პასი დაუმატა. თავისი 23 წლის ლიდერის წყალობით, „ჯაზმენებმა" შინ ზედიზედ მეოთხე მატჩი მოიგეს, თან შეწყვიტეს „ოკლაჰომას" რვამატჩიანი მოგებათა სერია.

ახლა, „თანდერი" აღარ არის დასავლეთი კონფერენციის ერთპიროვნული ლიდერი, რადგან მას გაუთანაბრდა „სან ანტონიო". „სპურსს" უცნაური მატჩი ჰქონდა მემფისში ადგილობრივ „გრიზლისთან". სტუმრები მთელი შეხვედრა დომინირებდნენ და სირენამდე ხუთი წუთით ადრე, 16 ქულით იყვნენ წინ და დარჩენილ დროში მოახერხეს ამ ჩამორჩენის განიავება. მატჩი ოვერტაიმში გადავიდა. „სპურსის" სირთულეების მიზეზი, სავარაუდოდ, მისი ვეტერანი მცველების - **ტონი პარკერისა** და **მანუ ჯინობილის** სუსტი თამაში იყო. მათ ერთად 19 ქულა დააგროვეს, მაგრამ სწორედ ჯინობილის ზუსტმა ტყორცნამ მოუტანა „სპურსს" გამარჯვება ოვერტაიმის დასრულებამდე 1.8 წამით ადრე. მატჩის გმირი კი გახდა „სან ანტონიოს" სუპერვეტერანი **ტიმ დანკანი**, რომელმაც 24 ქულასა და 17 მოხსნას მოუყარა თავი - ორივე მაჩვენებელი სეზონის რეკორდია ტეხასელთა ლეგენდისთვის.

ახლა, „ოკლაჰომას", „სან ანტონიოსა" და „პორტლენდს" წაგებების ერთნაირი რაოდენობა აქვთ, მაგრამ „სპურსი" და „თანდერი" ერთი მოგებით უსწრებენ „ბლეიზერსს".


კევინ დურანტი

**იუტა-ოკლაჰომა 112:101**

30:28. 29:19, 31:27, 22:27

ი: ჰეივორდი (37+11 მოხსნა), ფეივორსი (15).
ო: დურანტი (48), რ. ჯექსონი (20).

**საკრამენტო-პორტლენდი 123:119**

24:35, 31:25, 25:13, 43:46

ს: კაზინსი (35+13 მოხსნა), გეი (32), ა. ტომასი (22).
პ: ლილარდი (41), ოლდრიჯი (24), რ. ლოპესი (18), ბატუმი (11+11 მოხსნა).

**მემფისი-სან ანტონიო 108:110 (ო)**

22:25, 19:28, 23:21, 34:24, 10:12

მ: კონლი (30), რენდოლფი (17).
ს-ა: დანკანი (24+17 მოხსნა), ბელინელი (19), ლეონარდი (17).

# 10 სამქულიანი? ეს შესაძლებელია!

გუშინ ჩატარებული სხვა მატჩებიდან უნდა აღვნიშნოთ **სი ჯეი მაილზის** სტატისტიკური მიღწევა. „კლივლენდისა" და „ფილადელფიას" შეხვედრაში (111:93), მასპინძლების მცველმა 10 სამქულიანი ჩააგდო, რაც „კავალიერზის" ახალი საკლუბო რეკორდია.

„კლივლენდის" რიგებში სამმატჩიანი პაუზის შემდეგ დაბრუნდა **კაირი ირვინგი**, რაც შეეხება „ჩიკაგოდან" გადაბირებულ **ლუოლ დენგს**, ის ჯერ კლივლენდში არ ჩასულა. ახალ კლუბში მისი დებიუტი 10 იანვარს იგეგმება, როცა „კავალერები" სტუმრად შეეცდებიან „იუტას" დამარცხებას.

სხვათა შორის, დენგის გარეშე დარჩენილმა „ჩიკაგომ" კი ზედიზედ მესამე მატჩი მოიგო, თანაც საკმაოდ მრისხანე „ფინიქსის" წინააღმდეგ.

■ ■ ■

რა ხდება ამასობაში, აღმოსავლეთის ლიდერთა შორის. „ინდიანას", პერიოდულად, პრობლემები აქვს შეტევაში, მაგრამ დაცვაში არანორმალური სტაბილურობის წყალობით, **ფრენკ ფოგელის** შეგირდები მაინც აგროვებენ გამარჯვებებს. „ტორონტოსთან" მატჩში, „პეისერსი" თანდათან ზრდიდა უპირატესობას პირველ ტაიმში, რის შემდეგაც გაქცევა ჰქონდა მესამე მეოთხედში და ამან სხვაობა 15 ქულამდე გაზარდა.

ცდილობს არ ჩამორჩეს „პეისერსს" მოქმედი ჩემპიონი „მაიამი". „ნიუ ორლეანთან" მატჩის პირველ ტაიმში ფლორიდელებს გარკვეული სირთულეები შეექმნათ, მაგრამ მეორე ნახევარში **ლებრონ ჯეიმსმა** და კომპანიამ სერიოზულად მოჰკიდა საქმეს ხელი (მესამე მეოთხედში ლებრონის ანგარიშზე 16 ქულა იყო). შედეგად, „დიდმა ტრიომ" ჯამში 66 ქულა დააგროვა, „მაიამიმ" კი შინ მე-16 გამარჯვება გაიფორმა. არ უნდა დავივიწყოთ, რომ „ჰიტმა" კვლავ სასტარტო ხუთეულის ორი ტრავმირებული მოთამაშის - **მარიო ჩელმერსისა** და **შეინ ბატიეს** გარეშე ითამაშა.

■ ■ ■

აგრძელებს ბრწყინვალე ფორმის დემონსტრირებას „გოლდენ სტეიტი", რომელმაც გუშინ ზედიზედ მეათე გამარჯვება იზეიმა. **მარკ ჯექსონის** შეგირდებმა „გადაუარეს" უკვე საბოლოოდ ჩაძირულ „მილუოკის". ამჯერად, სროლა არ წაუვიდა „უორიორზის" ლიდერ **სტივენ კარის**, მაგრამ მის ნაცვლად ეს ხარვეზი მისმა პარტნიორებმა შეავსეს, რასაც ფარქვეშ დომინირებაც დაემატა და ვიხილეთ „მილუოკის" მორიგი განადგურება მიმდინარე რეგულარულში.

პირველად ამ სეზონში, „ნიუ იორკმა" ოთხი მატჩიდან სამში გაიმარჯვა. რა თქმა უნდა, ამისთვის საჭირო გახდა **კარმელო ენტონის** მონდომება. „ნიქსის" ლიდერმაც შესანიშნავი სოლო შემოგვთავაზა, თუმცა „დეტროიტს" მაინც ჰქონდა საბოლოო წარმატების შანსი. მეოთხე მეოთხედი „ნიქსის" 15-ქულიანი უპირატესობით იწყებოდა, რომელიც მინიმუმამდე დავიდა, მაგრამ მეტის მიღწევა „პისტონზმა" ველარ მოასწრო.

„სპურსის" მსგავსად, ასევე მოიგო გუშინ კიდევ ერთმა ტეხასურმა გუნდმა. „დალასი", ძირითადად **ნოვიცკის, ელისისა** და **კარტერის** ტრიოს წყალობით, დამაჯერებლად გაუსწორდა დასუსტებულ „ლეიკერსს". **რიკ კარლაილის** გუნდი განსაკუთრებით კარგი სამწამიან ზონაში იყო, გარდა ამისა, 17 ჩაჭრა დააგროვა. „ლეიკერსის" რიგებში კი კვლავ კარგად ითამაშა **კენდალ მარშალმა**, რომელსაც 18 ქულა და ექვსი შედეგიანი გადაცემა დაუგროვდა.


სი ჯეი მაილზი

**შარლოტი-ვაშინგტონი 83:97**

21:24, 18:19, 16:23, 28:31

შ: ჰენდერსონი (27).
ვ: ბილი (21), გორტატი (18+13 მოხსნა), უოლი (17).

**კლივლენდი-ფილადელფია 111:93**

36:20, 28:21, 27:25, 20:27

კ: მაილზი (34), ვარეჟაო (18+14 მოხსნა), ირვინგი (16), ტ. ტომპსონი (12+10 მოხსნა).
ფ: კარტერ-უილიამსი (33), ჯ. ანდერსონი (15).

**ინდიანა-ტორონტო 86:79**

22:15, 22:21, 27:22, 15:21

ი: ჰიბერტი (22), სტივენსონი (13+10 მოხსნა).
ტ: დეროზანი (28), სალმონსი (20), ლოური (16).

**მილუოკი-გ. სტეიტი 80:101**

30:28, 18:22, 20:29, 12:22

მ: ილიასოვა (20), ნაითი (18).
გ-ს: დ. ლი (22+18 მოხსნა), კ. ტომპსონი (15), კარი (15).

**მაიამი-ნ. ორლეანი 107:88**

25:24, 18:25, 32:21, 32:18

მ: ჯეიმსი (32), უეიდი (22), ანდერსენი (15).
ნ-ო: ე. დევისი (22+12 მოხსნა), ე. გორდონი (15).

**ნიუ იორკი-დეტროიტი 89:85**

24:21, 17:20, 32:17, 16:27

ნ-ი: ენტონი (34), ბარნიანი (13+11 მოხსნა).
დ: ჯოშ სმიტი (21+12 მოხსნა), მონრო (19), დრამონდი (12+17 მოხსნა).

**ჩიკაგო-ფინიქსი 92:87**

27:25, 22:21, 21:17, 22:24

ჩ: გიბსონი (19+10 მოხსნა), ნოა (14+16 მოხსნა).
ფ: დრაგიჩი (21), ჯერ. გრინი (15).

**დალასი-ლეიკერსი 110:97**

33:31, 27:22, 25:24, 25:20

დ: ნოვიცკი (27), კარტერი (19), ელისი (16), ბლეირი (15).
დ: მიქსი (24), მარშალი (18), უ. ჯონსონი (17), პ. გასოლი (15+13 მოხსნა).

**დენვერი-ბოსტონი 129:98**

31:23, 37:22, 35:33, 26:20

დ: ფოიე (23), ფარიდი (21+13 მოხსნა), ლოუსონი (19+13 პასი), ჰიქსონი (17).
ბ: ჯეფ გრინი (17), ბასი (15).

ჩოგბურთი


რაფა ნადალი

# ნადალის უარი დევისს

მსოფლიოს პირველი ჩოგანი **რაფაელ ნადალი** მონაწილეობას არ მიიღებს დევისის თასის პირველი ეტაპის მატჩში, რომელშიც ესპანეთი გერმანიის ნაკრებს დაუპირისპირდება.

ესპანელთა კაპიტანმა **კარლოს მოიამ** ამ მატჩისთვის შემდეგ მოთამაშეებს უხმო: **დავიდ ფერერს, ფელისიანო ლოპესს, ფერნანდო ვერდასკოსა** და **დავიდ მარეროს**. შეხვედრა 31 იანვარს-2 თებერვალს გერმანიის ქალაქ ფრანქფურტში გაიმართება.

შეგახსენებთ, რომ ნადალი გასული წლის სექტემბერში დაეხმარა ესპანეთის ნაკრებს უკრაინის დამარცხებაში, რითაც მისმა გუნდმა შეინარჩუნა ადგილი მსოფლიოს ჯგუფში.

ამასობაში, რაფაელმა თავისი კარიერის შორეულ პერსპექტივებზე ილაპარაკა და განაცხადა, რომ მისი ოცნება 2016 წელს, რიო-დე-ჟანეიროს ოლიმპიადაზე წარმატებით გამოსვლაა.

*„ჩემი მიზანია - რიოს ოლიმპიურ თამაშებამდე ოპტიმალურ მდგომარეობაში მისვლა. 2016 წელს, უკვე 30 წლის ვიქნები, ამიტომაც, მართლაც შესანიშნავი იქნება ბრაზილიაში წარმატების მიღწევა",* - მოჰყავს ნადალის სიტყვები გაზეთ „მარკას".

*„ყველაფერს გავაკეთებ იმისთვის, რომ რიოში ღირსეულად გამოვიდე და გამარჯვებას მივაღწიო. ჯერ ზუსტად არ შემიძლია კარიერის დასრულების ზუსტი თარიღის დასახელება. ვითამაშებ იქამდე, სანამ ჩოგბურთისგან სიამოვნებას მივიღებ",* - დაამატა მსოფლიოს პირველმა ჩოგანმა.


რაფტერი, როჩი, ფედერერი, ლეივერი, ცონგა და ჰიუიტი

# ფედერერის ქველმოქმედება 10 წლისაა

მოახლოებული ავსტრალიის ღია პირველობის წინ, მელბურნში გაიმართა საქველმოქმედო საღამო, რომელიც შვეიცარიელი ჩოგბურთელის **როჯერ ფედერერის** საქველმოქმედო ფონდის დაარსების ათი წლისთავს მიეძღვნა. ავსტრალიის ღია პირველობის მთავარ კორტზე, რომელიც **როდ ლეივერის** სახელს ატარებს, ერთმანეთს შეხვდნენ ფედერერი და ფრანგი **ჟო-ვილფრიდ ცონგა.**

მატჩი ფედერერის გამარჯვებით დასრულდა - 6:7(5), 6:3, 7:5. აღვნიშნავთ, რომ საქველმოქმედო საღამოში მონაწილეობას იღებდნენ ავსტრალიელები - **პატრიკ რაფტერი, ლეიტონ ჰიუიტი,** როდ ლეივერი და **ტონი როჩი.**

*„ამ არენაზე ჩატარებული ნებისმიერი შეხვედრა - უდიდესი პატივია ჩემთვის. განსაკუთრებით მაშინ, თუ მატჩი საქველმოქმედო ხასიათისაა. როდ ლეივერის სახელობის არენაზე ბევრი დასამახსოვრებელი შეხვედრა მითამაშია, ასე რომ, აქ დაბრუნებით განსაკუთრებული ემოციური მუხტი მივიღე. მოვახერხე ცოტა ხნით თვით როდ ლეივერთან თამაში.*

*მთავარი ის იყო, რომ ამ საღამოს ყველამ იმხიარულა, გავერთე ჟო-ვილფრიდთან ერთად და მასთან კარგი მატჩი გამოვიდა. კარგი განწყობა მივიღე ავსტრალიის ღია პირველობის წინ, რომელშიც ზედიზედ მეთხუთმეტედ ვითამაშებ",* - განაცხადა საღამოს შემდეგ ფედერერმა.

როგორც ATP-ის ოფიციალური ვებგვერდი იტყობინება, საღამოს მსვლელობისას შეგროვდა მილიონ დოლარზე მეტი, რომელიც ფედერერის ფონდში გადაირიცხა.

*„რაც შეეხება ჩემს საქველმოქმედო ფონდს, ათწლიანი იუბილე - დიდი მიღწევაა. ბედნიერი ვარ, რომ ამ საქმის კეთება ძალიან ადრე დავიწყე. ამგვარი ფონდის შექმნაზე იდეა დედაჩემმა მომაწოდა. ამ ხნის განმავლობაში უკვე 86 ათას ბავშვს დავეხმარეთ. ჩვენი მიზანია, 2018 წლისთვის ეს რიცხვი მილიონამდე ავიყვანოთ",* - დაამატა როჯერმა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ჰოკეი. NHL რეგულარული ჩემპიონატი

# იაგრი და მარიო ერთად არიან

„ნიუ ჯერსი დევილზის" სუპერვეტერანმა **იარომირ იაგრმა** სოჭის ოლიმპიადისთვის ჩეხეთის ნაკრებში გამოძახება მორიგი სტატისტიკური მიღწევით აღნიშნა. იაგრმა „ფილადელფიასთან" მატჩში ერთი შედეგიანი გადაცემა შეასრულა და NHL-ის ყველა დროის ბომბარდირთა სიაში ლეგენდარულ **მარიო ლემიეს** დაეწია, რომელთან ერთადაც, თავის დროზე, „პიტსბურგში" თამაშობდა.

ახლა, ამ ჰოკეისტების ანგარიშზე 1723 ქულა მოდის, თუმცა ამ შედეგის მისაღწევად იაგრს 500-ით მეტი მატჩის ჩატარება დასჭირდა, ვიდრე მარიოს. ამ მომენტისთვის, პიტსბურგელი პარტნიორები მეშვიდე ადგილს იყოფენ, მაგრამ უახლოეს ხანში იარომირს კიდევ უფრო წინ წასვლის შანსი აქვს, რადგან მორიგ სამიზნემდე - **სტივ აიზერმანამდე** მხოლოდ 32 ქულა აკლია.



იაგრი და ლემიე

**ტორონტო-აილენდერსი 3:5**

1:1, 1:1, 1:3

**გოლები:** 1:0 ბოჟაკი-6 (რეინჯერი-7, ვან რიმსდიკი-16), 1:1 ოკსოპო-17 (ტავარესი-32, ჰამონიკი-7), 1:2 გრაბნერი-6, 2:2 რეიმონდი-12 (გარდინერი-11, კადრი-13), 2:3 ნილსენი-16 (ვანეკი-22, ტავარესი-33), 2:4 დე ჰაანი-1 (ჰამონიკი-8, ტავარესი-34), 3:4 ლუპული-13 (კადრი-14), 3:5 კლატერბეკი-6 (გრაბნერი-8).

**ნიუ ჯერსი-ფილადელფია 2:3 (ო)**

1:0, 0:0, 1:2, 0:1

**გოლები:** 1:0 ენრიკე-10 (იაგრი-22, ქლოუ-3), 1:1 ჟირუ-13 (ტიმონენი-12, ვორაჩეკი-20), 1:2 ჰარტნელი-10 (შენი-16, გროსმანი-8), 2:2 რაიდერი-14 (ჟიდლიცკი-16, ე. გრინი-15), 2:3 შენი-11 (გროსმანი-9, სიმონდსი-15).

**ნეშვილი-სან ხოსე 3:2**

0:0, 3:1, 0:1

**გოლები:** 1:0 ლეგუანდი-7 (კ. სმიტი-13, შ. უებერი-18), 1:1 პაველსკი-19 (დ. ბოილი-13, დემერსი-16), 2:1 ეკჰოლმი-1 (ლეგუანდი-21), 3:1 იოსი-4 (შ. უებერი-19, კ. უილსონი-15), 3:2 მარლო-20 (ნიეტო-8, დემერსი-17).

**ვინიპეგი-ტამპა ბეი 2:4**

1:1, 1:1, 0:2

**გოლები:** 0:1 ფილპულა-17 (პურსელი-17, კილორნი-14), 1:1 ო. იოკინენი-11 (მაიფელი-16, პურსელი-24), 2:1 პურსელი-10 (ველერი-17, პაველეცი-1), 2:2 პალატი-8 (კუჩეროვი-3, კილორნი-15), 2:3 სან ლუი-18 (ჰედმანი-15, პურსელი-18), 2:4 სან ლუი-19 (მეტიუ კარლი-18).

**ფინიქსი-კალგარი 6:0**

0:0, 0:0, 6:0

**გოლები:** 1:0 დოუნი-13 (ბოდკერი-16, რიბეირო-20), 2:0 ჰანზალი-12 (ვრბატა-19, კორპიკოსკი-6), 3:0 ბოდკერი-13 (რიბეირო-21, მერფი-7), 4:0 კორპიკოსკი-6 (ჰანზალი-18, ვრბატა-20), 5:0 სტოუნი-8 (კორპიკოსკი-7, ჰალპერნი-4), 6:0 კლინკჰამერი-9 (სტოუნი-4, დოუნი-12).

**ედმონტონი-სტ ლუისი 2:5**

0:1, 2:3, 0:1

**გოლები:** 0:1 კ. სტიუარტი-14 (როი-21, ლეოპოლდი-3), 1:1 იაკუპოვი-9 (პეროնი-17, სემ განიე-12), 1:2 ლაპიერი-6 (რივსი-3, პიეტრანჯელო-24), 2:2 არკობელო-4 (გაზდიჩი-2, ფერენსი-7), 2:3 ბეკსი-17 (პიეტრანჯელო-25), 2:4 ტარასენკო-14 (ლეოპოლდი-4, სობოტკა-15), 2:5 ბერგლუნდი-7 (სობოტკა-16, ტარასენკო-12).

**ვანკუვერი-პიტსბურგი 4:5 (ბ)**

0:1, 1:1, 3:2, 0:0, 0:1

**გოლები:** 0:1 გიბონსი-2, 0:2 მალკინი-12 (ჯ. ნილი-19, მაატა-11), 1:2 გარისონი-5, 2:2 ტანევი-5 (ჰამჰუისი-10, კასიანი-3), 3:2 ჰიგინსი-12 (ჰანსენი-5, ი. უებერი-3), 4:2 კასიანი-8 (ჰიგინსი-13, ბიეკსა-14), 4:3 ლეტანგი-7 (ი. იოკინენი-19, კროსბი-41), 4:4 კროსბი-24 (კუნიტცი-25, ი. იოკინენი-20).

**ბულიტები გაიტანეს:** კროსბი (პიტსბურგი).

**ანაჰაიმი-ბოსტონი 5:2**

0:0, 3:1, 2:1

**გოლები:** 1:0 მ. პერო-8 (სელიანე-8, ვატანენი-6), 2:0 პერი-24 (ბელესკი-7, ბონინო-19), 3:0 კოლიანო-14 (ვინიკი-19), 3:1 პეი-7 (ფლორეკი-1, გ. კემპბელი-6), 3:2 დ. ჰემილტონი-4 (სოდერბერგი-16, იგინლა-16), 4:2 ბონინო-13 (გეტცლაფი-29, პერი-22), 5:2 მ. პერო-9 (სელიანე-9, მარშონი-5).

**ლოს ანჯელესი-მინესოტა 1:2 (ბ)**

0:0, 0:0, 1:1, 0:0, 0:1

**გოლები:** 1:0 სტოლი-6 (ჯ. კარტერი-12, დ. კინგი-11), 1:1 ნიდერაიტერი-9 (პომინვილი-12, გრანლუნდი-15).

**ბულიტები გაიტანეს:** ნიდერაიტერი (მინესოტა).

# NHL: ყველაზე წესიერი ლიგა



NHL-ში მხოლოდ მოედანზეა პრობლემები

2013 წლის შედეგების მიხედვით, ჩრდილოამერიკულ ლიგებს შორის ყველაზე დისციპლინირებული ჰოკეის ეროვნული ლიგაა. გასულ წელს, ამ ლიგის მოთამაშეები მხოლოდ ორჯერ დააპატიმრეს. პირველი შემთხვევა უკავშირდება „კოლორადო ეველანშის" რუს მეკარე **სემიონ ვარლამოვს**, რომელმაც შეყვარებული ცემა, თუმცა, მოგვიანებით, ყველა ბრალდება მოუხსნეს.

მეორე დაპატიმრებული ჰოკეისტია „ფლორიდას" ან უკვე ყოფილი ფორვარდი **სკოტ ტიმინსი**, რომელიც ალკოჰოლური ზემოქმედების ქვეშ სხვის სახლში შევიდა და დივანზე დაიძინა.

ყველაზე მეტი დაპატიმრება დაფიქსირდა ამერიკული ფეხბურთის სტუდენტურ ლიგაში (174), მეორე ადგილზეა ამერიკული ფეხბურთის პროფესიული ლიგა - NFL (71). შემდეგ მოდიან ყოფილი პროფესიული მოთამაშეები, რომლებმაც დაასრულეს კარიერა (50), კალათბურთის სტუდენტური ლიგა (49), ეროვნული საკალათბურთო ასოციაცია - NBA (19), ბეისბოლის ლიგა - MLB (12) და NHL (2).

■ ■ ■

გუშინდელ ნომერში გაგაცანით სოჭის ოლიმპიადის მონაწილე გუნდების შემადგენლობები, რის შემდეგაც, სტატისტიკოსებმა რამდენიმე საინტერესო დეტალზე გაამახვილეს ყურადღება.

ოლიმპიადაზე სამი ისეთი გუნდი გამოვა, რომელიც მთლიანად NHL-ის მოთამაშეებით იქნება დაკომპლექტებული - კანადა, აშშ და შვედეთი (შვედებს განაცხადში ერთი ჰოკეისტი ჰყავთ ადგილობრივი ლიგიდან).

კანადის ნაკრების ყველა ჰოკეისტის ჯამური ხელფასი წელიწადში 150.9 მილიონ დოლარს შეადგენს, მეორე ადგილზეა შვედეთი 98.2 მილიონით.

ოლიმპიურ თამაშებზე ყველაზე მეტი წარმომადგენელი ეყოლება ჰოკეის ეროვნულ ლიგას - 150 ჰოკეისტი, მეორე ადგილზეა ჰოკეის კონტინენტალური ლიგა 48 მოთამაშით.

ავტოსპორტი. დაკარი 2014

# უიღბლო ლეგენდა

დაკარის რალი-რეიდი კვლავაც არგენტინის ტერიტორიაზე მიმდინარეობს. ლეგენდარული ავტომარათონი მესამე ეტაპით გაგრძელდა, რომლის სიგრძე 1000 კილომეტრს აღემატებოდა.

მნიშვნელოვანი ამბები მოხდა ავტომობილების კლასში, სადაც ყველაზე უიღბლო მონაწილე აღმოჩნდა გენერალური კლასიფიკაციის აწ უკვე ყოფილი ლიდერი, ლეგენდარული ფრანგი **სტეფან პეტერანსელი**. მთელი დისტანციის განმავლობაში, მას ექვსჯერ (!) მოუწია დაზიანებული საბურავის გამოცვლამ, რის გამოც, ეტაპის გამარჯვებულთან 28 წუთი წააგო. რაღაც მომენტში დაკარის 11-გზის გამარჯვებულს სათადარიგო საბურავი აღარ დარჩა და კონკურენტი **ორლანდო ტერანოვა** დაეხმარა.



ხოან ნანი რომა

პრობლემები ჰქონდათ სხვა ფავორიტებსაც: **კარლოს საინსმა** ეტაპზე 16 წუთი წააგო, **ნასერ ალ-ატიიამ** - 10 წუთი. გამარჯვებული კი გახდა „მინიზე" მოასპარეზე **ხოან ნანი რომა**, რომელმაც წუთი მოუგო პოლონელ **კშიშტოფ ჰოლოვჩიკს**. რომა საერთო ჩათვლის ლიდერი გახდა და ცხრა წუთს უგებს ტერანოვას. ალ-ატიია და საინსი ესპანელთან, შესაბამისად, 10 და 12 წუთს აგებენ, პეტერანსელის ჩამორჩენა კი 24 წუთს უტოლდება. თუ შემდეგი ეტაპებიც ასეთი გიჟური სცენარით წარიმართება, ყველაფერი შეიძლება მოხდეს. ასე რომ, ლეგენდარული ფრანგისთვის ჯერ არაფერია დაკარგული.

■ ■ ■

მოტოციკლების კლასში სამ დღეში მეორე გამარჯვებას მიაღწია „ჰონდათი" მოასპარეზე **ხოან ბარედა ბორტმა**, რომელიც ჯერჯერობით, აშკარად აღემატება ტემპით აღიარებულ ფავორიტებს - **სირილ დეპრესა** და **მარკ კომას**. გუშინ, ეს დუეტი საპრიზო სამეულში მოხვდა, მაგრამ ბორტთან საკმაოდ ბევრი, შესაბამისად, ოთხი და შვიდი წუთი წააგო.

საერთო ჩათვლაში ბორტმა 13 წუთამდე გაზარდა უპირატესობა მეორე ადგილთან - მოტომრბოლელებისთვის ეს სოლიდური უპირატესობაა. მეორე პოზიციაზე სწორედ დეპრე იმყოფება, ხოლო მას მხოლოდ წუთით ჩამორჩება კომა. რაც შეეხება მეორე ეტაპის გამარჯვებულ **სემ სანდერლენდს**, მან ჩააგდო მესამე ეტაპი, რადგან გამარჯვებულს ორსაათნახევარი ჩამორჩა.

ცხელი ხაზი

**ფეხბურთი**

| ინგლისი | |
|---|---|
| **ლიგის თასი. 1/2 ფინალი** | |
| მანჩესტერ სიტი-ვესტ ჰემი | 6:0 |
| **ინგლისის თასი. II რაუნდი. გადათამაშება** | |
| ძროული-როვერსი | 1:2 |
| **ამხანაგური მატჩები** | |
| კამბური-ლიერსი | 4:1 |
| დარმშტადტი-ჰელმონდი | 3:0 |
| ნიიმეგენი-მაინცი | 2:3 |
| კარტახენა-სერკლი | 1:2 |
| ჰერაკლესი-ბრაუნშვაიგი | 0:1 |
| შანხაი-აუგსბურგი | 1:3 |
| მურსია-მეხელენი | 1:2 |
| **იტალიის თასი. 1/8 ფინალი** | |
| ფიორენტინა-კიევო | 2:0 |
| **ესპანეთის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩები** | |
| ალკორკონი-ესპანიოლი | 1:0 |
| ბეტისი-ბილბაო | 1:0 |
| ბარსელონა-ხეტაფე | 4:0 |
| რასინგი-ალმერია | 1:1 |
| **საფრანგეთი** | |
| სტ. ეტიენი-ევიანი | 1:0 |
| **საფრანგეთის თასი. 1/32 ფინალი** | |
| ბრესტი-პსჟ | 2:5 |
| ჟურა სუდი-კრეტეი | 1:0 |
| **პორტუგალია. II დივიზიონი** | |
| ბეირა მარი-სპორტინგი B | 0:1 |
| პენაფიელი-ფარენსე | 3:1 |
| **ლიგის თასი** | |
| სეტუბალი-კოვილია | 1:0 |
| ჟილ ვისენტე-ლეიქსოეში | 0:0 |
| **საბერძნეთის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩები** | |
| აიგინიაკოსი-პანიონიოსი | 1:0 |
| ოლიმპიაკოსი-ასტერასი | 4:0 |
| **კვიპროსის თასი. 1/8 ფინალი. I მატჩები** | |
| ოლიმპიაკოსი-დოქსა | 1:3 |
| აეკ-ერმისი | 1:0 |
| ენოსისი-ეთნიკოსი | 0:0 |
| აპოლონი-ნეა სალამისი | 1:0 |
| აპოელ-აელ | 1:0 |

**კალათბურთი**

| ევროპის ლიგა | |
|---|---|
| ხიმკი-რადნიჩკი | 73:68 |
| ლ. რიტასი-ბეშიქთაში | 101:103 |
| პანიონიოსი-ნ. ნოვგოროდი | 75:89 |
| ბანვითი-ბუდიველნიკი | 92:85 |
| ზელიონა-უნიქსი | 72:77 |
| მაკაბი (ჰ)-ნიმბურკი | 80:75 |
| ცრვენა ზვეზდა-ბილბაო | 105:87 |
| ულმი-პინარი | 83:64 |
| ალბა-სტრასბური | 72:70 |
| გრაველინი-ბამბერგი | 67:86 |
| ვალენსია-ოსტენდე | 101:74 |
| ოლიმპია-ჰაპოელი (ი) | 66:69 |
| სარაგოსა-ცედევიტა | 67:75 |
| სასარი-ანკარა | 103:67 |
| მონტეპასკი-ხიმკი | 69:75 |
| **საფრანგეთი** | |
| შალონი-შოლე | 84:87 |

**ხელბურთი**

| მს. ჩემპიონატი. შესარჩევი | |
|---|---|
| ბოსნია-ესტონეთი | 28:26 |
| რუმინეთი-იტალია | 34:29 |
| თურქეთი-ფინეთი | 25:19 |
| საბერძნეთი-ჰოლანდია | 24:19 |
| კვიპროსი-სლოვაკეთი | 18:20 |
| ლატვია-პორტუგალია | 24:26 |
| ისრაელი-ბელგია | 27:25 |

**ჰოკეი**

| კჰლ | |
|---|---|
| სპარტაკი-ზაგრები | 1:3 |
| **ავსტრია** | |
| ბოლცანო-ზნოიმო | 2:4 |
| **გერმანია** | |
| ინგოლშტადტი-ვოლფსბურგი | 0:4 |
| **ფინეთი** | |
| ბლუზი-პელიკანსი | 4:0 |
| ილვესი-ჰპკ | 5:2 |
| კერპეტი-ლუკო | 3:4 |
| ტპს-საიპა | 3:4 |
| ჰიფკ-ტაპარა | 0:2 |
| ესეტი-იოკერიტი | 5:4 |
| **შვედეთი** | |
| აიკ-ლულეა | 1:4 |
| ვექსიო-ლინჩოპინგი | 7:0 |
| ჰვ71-მოდო | 2:3 |

**ჩოგბურთი**

| ATP. ოკლენდი | |
|---|---|
| სოკი-ჰაასი | 6:4, 6:4 |
| კოლშრაიბერი-სებალიოსი | 6:4, 6:2 |
| ლაჩკო-ისნერი | 6:7, 6:3, 2:6 |
| პერი-ბაუტისტა აგუტი | 3:6, 4:6 |
| ლუ-კლანი | 6:7, 6:2, 6:3 |
| ანდერსონი-ჯონსონი | 5:7, 4:6 |
| ხირალდო-გარსია ლოპესი | 7:6, 2:6, 3:6 |
| ფერერი-იანგი | 6:7, 6:3, 6:1 |
| **ATP. სიდნეი** | |
| ბენეტო-სტახოვსკი | 3:6, 2:6 |
| მატოშევიჩი-სეპი | 6:3, 6:4 |
| ტურსუნოვი-როსოლი | 3:6, 6:3, 6:3 |
| შტეპანეკი-რამოსი | 6:2, 7:6 |
| დელ პოტრო-მაუ | 1:6, 6:3, 6:4 |
| ტომიჩი-კავჩიჩი | 6:3, 4:6, 6:4 |
| ისტომინი-ჩილიჩი | 6:3, 6:4 |
| დოლგოპოლოვი-იანოვიჩი | 6:2, 6:2 |
| **WTA. ჰობარტი** | |
| კაბესა-ვესნინა | 4:6, 6:2, 4:1 უარი |
| ჟანგი-ზაკოპალოვა | 1:6, 2:6 |
| სტოსური-მლადენოვიჩი | 6:4, 2:6, 7:6 |
| სანდერსი-ფლიპკენსი | 6:4, 6:7, 6:7 |
| ბარტელი-ნიკულესკუ | 6:7, 1:6 |
| მუგურ. ბლანკო-ვიკმაიერი | 4:1 უარი |
| **WTA. სიდნეი** | |
| საფაროვა-კვიტოვა | 6:7, 2:6 |
| პირონკოვა-ერანი | 7:6, 6:3 |
| კისი-მატეკი | 3:2 უარი |
| სუარეს ნავარო-კერბერი | 2:6, 4:6 |

ცურვა



# ცურვა ამერიკელებისაა

საწყლოსნო სპორტის სახეობების საერთაშორისო ფედერაციამ 2013 წლის საუკეთესო მოცურავეები დაასახელა მამაკაცებსა და ქალებს შორის.

ქალებს შორის პირველობა არავის დაუთმო 16 წლის ამერიკელმა ვუნდერკინდმა **კეტი ლედეკიმ**, რომელმაც 2013 წელს, ბარსელონაში გამართულ მსოფლიოს ჩემპიონატზე ოქროს ოთხი მედალი მოიგო, თან 800 და 1500 მეტრ დისტანციებზე მსოფლიოს რეკორდები დაამყარა.

ასევე ამერიკელი გახდა ლაურეატი მამაკაცებს შორის. ეს არის ცნობილი **რაიან ლოხტე**, ვინც ბარსელონაში სამი ოქრო და ერთი ვერცხლი მოიპოვა. ლოხტე მესამედ გახდა წლის მოცურავე. ადრე მან ამგვარი აღიარება 2010 და 2011 წლებში დაიმსახურა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

ეროვნული ბიბლიოთეკა

ავტოსპორტი



# გაიცანით ფორმულა E

წელს, ავტოსპორტში ახალ სერიას ექნება დებიუტი. მისი სახელწოდებაა - ფორმულა E და მასში ელექტრობოლიდებით იქნება შეჯიბრება. გუშინ ლოს ანჯელესში ამ უცნაური ბოლიდის პრეზენტაცია შედგა. საჭესთან ფორმულა 1-ის ყოფილი პილოტი, ბრაზილიელი **ლუკას დე გრასი** იჯდა, რომელმაც მოგვიანებით, შთაბეჭდილებები გაუზიარა ჟურნალისტებს. მისი თქმით, ყველაზე უცნაური ახალ მანქანაში ის არის, რომ ელექტროძრავის გამო, ხმაურის დონე მინიმუმამდეა დაყვანილი.

უკვე ცნობილია, რომ ფორმულა E-ში ჩემპიონატი 10 ეტაპისგან იქნება შემდგარი და მასში 10 გუნდი მიიღებს მონაწილეობას. სასტარტო სეზონში ყველა საჯინიბოს აბსოლუტურად ერთნაირი ბოლიდები ეყოლება. ასევე ცნობილი გახდა მანქანების ტექნიკური მახასიათებლები: ბოლიდი საათში 100 კილომეტრ სიჩქარეს 3 წამში კრეფს, ხოლო მაქსიმალური სიჩქარე 220 კმ/სთ იქნება. ბუნებრივია, რბოლების დროს, ნავარაუდებია ბოქსებში შესვლა, ოღონდ, არა მხოლოდ საბურავების, არამედ ელემენტების შესაცვლელად.

ფორმულა E-ს სადებიუტო სეზონი პეკინში 13 სექტემბერს დაიწყება და 2015 წლის 27 ივლისს ლონდონის ქუჩებში დასრულდება. ჩემპიონატის ათივე ეტაპი მსოფლიოს უმსხვილეს ქალაქებში გაიმართება.

როგორც გითხარით, ახალი მანქანის პრეზენტაცია ლუკას დე გრასიმ მოაწყო, რომელსაც ფორმულა 1-ში გამოსვლის გამოცდილება აქვს. სხვათა შორის, ახალ სერიაში მონაწილეობის სურვილი „დიდი ცირკის" სხვა ყოფილმა პილოტებმაც გამოთქვეს. ესენი არიან: **სებასტიან ბუემი, ქარუნ ჩანდჰოკი, ვიტანტონიო ლიუცი** და **ტაკუმა სატო**. მათ ემატებათა ინდიკარის სერიაში ეტაპების გამარჯვებული **მარკო ანდრეტი**.

*„ჩვენ თავიდანვე ვისახავდით მიზნად გულშემატკივრებისთვის კარგი შოუს შეთავაზებას, ამისთვის კი უმაღლესი დონის პილოტები დაგვჭირდება,* - ამბობს ფორმულა E-ს ბოსი **ალეხანდრო აგაგი**. - *ჩვენ გამოვაცხადეთ 10 გუნდის შექმნის შესახებ და ისინი უკვე შეუდგნენ პილოტების ძებნას. თითოეული საჯინიბოს ხელმძღვანელი თავად გადაწყვეტს, ვისთან ურჩევნია კონტრაქტის გაფორმება".*

შეგახსენებთ, რომ „ეკოლოგიური" რბოლების მონაწილეებს შორის ვიხილავთ ფორმულა 1-ში გამოსვლით ცნობილ Super Aguri-სა და Virgin-ს, ინდიკარის სერიის წარმომადგენლებს - Andretti-სა და Dragon-ს, **ალენ პროსტისა** და DAMS-ის ერთობლივ პროექტს, საჯინიბო Abt-ს, რომელსაც მრავალწლიანი კონტრაქტი აკავშირებს „აუდისთან"... ყველაზე საინტერესო კი უნდა იყოს სპორტკარების მწარმოებლის Venturi-სა და ჰოლივუდის ვარსკვლავის **ლეონარდო დი კაპრიოს** ალიანსი.

ფორმულა 1

# ლოტუსს ხერესში ვერ ვნახავთ

ფრანგულ-მალაიზიური საჯინიბო „ლოტუსი" გამოტოვებს ფორმულა 1-ის პირველ წინასასეზონო ტესტებს, რომელიც ესპანეთის ქალაქ ხერესში გაიმართება. გუნდის წარმომადგენლებმა განაცხადეს, რომ მათი ახალი ბოლიდი - E22 ვერ შეძლებს სხვა ავტომობილებთან ერთად 28 იანვარს ტრასაზე გასვლას.

„ლოტუსის" ტექნიკური დირექტორი **ნიკ ჩესტერი** ამბობს, რომ ბოლიდი მზად იქნება ხერესის ტესტების დასრულების შემდეგ და მას ტრასაზე ბაჰრეინის ტესტების დროს ვიხილავთ, რომლის სტარტი 19 თებერვლისთვის არის დანიშნული.

*„ჩვენ სხვებზე გვიან მოვაწყობთ ახალი მანქანის პრეზენტაციას,* - განაცხადა მან. *გადავწყვიტეთ, რომ ხერესში ტესტებზე მონაწილეობა - საუკეთესო სცენარი არ იქნებოდა სეზონისთვის მზადების პროგრამაში, რომელიც წინასწარ შევადგინეთ".*

საწყისი ტესტების გამოტოვებამ, შესაძლოა, ცაიტნოტში ჩააგდოს „ლოტუსი" ახალი სეზონისთვის მზადების პროცესში, მაგრამ ჩესტერს ეჭვი არ ეპარება E22-ის მაღალ პოტენციალში.

*„ის მონაცემები, რომელიც ჩვენ გაგვაჩნია, იმედისმიმცემია, განვითარების ტემპი კი მაღალი,* - განაცხადა მან. - *ამით იმის თქმა მინდა, რომ ბევრს ვმუშაობთ, მაგრამ წარმოდგენა არ გვაქვს, რას აკეთებენ სხვა გუნდები.*

*2014 - რადიკალურად შეცვლილი წესების პირველი წელია, ეს კი იმას ნიშნავს, რომ გუნდებს შეუძლიათ თავიანთი მანქანების მზადებისას პრინციპულად განსხვავებული მიდგომა გამოიყენონ".*

ექსპერტები იმასაც ვარაუდობენ, რომ ხერესის ტესტებზე უარის თქმა შესაძლოა იმით იყოს გამოწვეული, რომ „ლოტუსმა" მოულოდნელი ტექნიკური სიახლე მოამზადა, რომლის საიდუმლოდ შენახვაც აქვს გადაწყვეტილი გარკვეულ დრომდე.

ხერესის ტესტები 28-31 იანვარს გაიმართება, ბაჰრეინის - 19-22 თებერვალს. ახალი სეზონი სტარტს 16 მარტს, ავსტრალიაში აიღებს.



ინციდენტი



შუმახერი ტრასის მიღმა სრიალებდა

# პოლიციას ახალი არ უთქვამს

გუშინ, საფრანგეთის კურორტ ალბერვილის პროკურორმა **პატრიკ კინსიმ** პრესკონფერენცია გამართა **მიხაელ შუმახერის** ინციდენტთან დაკავშირებით, თუმცა ჟურნალისტებს სამართალდამცავისგან ახალი არაფერი შეუტყვიათ.

კინსის განცხადებით, მიხაელ შუმახერის ტრაგედიის გამოძიება ადასტურებს მომხდარის პირველად ვერსიას. პროკურორმა დაადასტურა, რომ გერმანელის სათხილამურო ტრასაზე ყოფნის მომენტში, უსაფრთხოების ყველა ზომა იყო დაცული.

*„ჩვენი გამოძიება წინ მიიწევს,* - ამბობს კინსი. - *გამოვკითხეთ მოწმეები და უსაფრთხოების სამსახურის წარმომადგენლები, ჩავატარეთ უამრავი ტესტი და ჩვენს ხელთ არსებული მასალების ექსპერტიზა. შევისწავლეთ შუმახერის ჩაფხუტზე დამონტაჟებული კამერით გადაღებული კადრები. მაგრამ ჯერ კიდევ რამდენიმე ღონისძიებაა ჩასატარებელი.*

*ჩვენ მოწოდებული ფირის თითოეულ კადრს შევისწავლით, რათა განვსაზღვროთ დაცემის გარემოება და სიჩქარე, რომლითაც შუმახერი გადაადგილდებოდა. დადგენილია, რომ მიხაელი ძირითადი ტრასის მიღმა იმყოფებოდა. ტრასასთან დაცილება სამიდან ექვს მეტრამდე იყო. რაღაც მომენტში, მისი თხილამურები თოვლისგან დაფარულ ქვას დაეჯახა, მიხაელმა წონასწორობა დაკარგა, თავით წინ გადავარდა და სამი მეტრით ქვემოთ მდებარე ქვას თავი დაარტყა. ინციდენტი ტრასიდან რვა მეტრის მოშორებით მოხდა. ეს ყველაფერი დადასტურებულია გამოძიების მიერ.*

*მაგრამ, ჯერჯერობით რთულია იფიქრო სიჩქარეზე, რომლითაც დაზარებული მოძრაობდა. წესით, ტემპი მაღალი არ უნდა ყოფილიყო. შუმახერის თხილამურები ბრწყინვალე მდგომარეობაში იყო, თითქმის ახალი ინვენტარი ჰქონდა ასე რომ, ეს არ ყოფილა ავარიის მიზეზი. მათზე შეინიშნება ქვაზე დაჯახების კვალი. სულ მალე, მომხდარის უფრო მკაფიო სურათი გვექნება".*

გარდა ამისა, პროკურორმა დაამატა, რომ ის ადგილი, სადაც შუმახერმა გადაუხვია, მონიშნული იყო, როგორც მიზანშეუწონელი სრიალისთვის. კინსიმ ჟურნალისტების რამდენიმე შეკითხვას თავი აარიდა.

გვერდი მოამზადა
**გია თვალაბეიშვილმა**

გოლფი

# ვუდსი 1.3 მილიარდამდე ავიდა

ტელეკომპანია ESPN-ის ვებგვერდმა Golf Digest-ზე დაყრდნობით დაწერა, რომ ლეგენდარული ამერიკელი გოლფისტი **ტაიგერ ვუდსი** კვლავ გახდა წლის ყველაზე მაღალანაზღაურებადი სპორტსმენი. 2013 წელს, მისმა შემოსავალმა 83 მილიონ დოლარს მიაღწია, ამასთან, გოლფის მოედნებზე მოპოვებული თანხა „მხოლოდ" 12 მილიონს შეადგენს. ამ მაჩვენებლის გათვალისწინებით, 38 წლის გოლფისტის ჯამური შემოსავალი კარიერაში 1.3 მილიარდ დოლარს გაუტოლდა.

გამოცემის შეფასებით, საერთო თანხის 88 პროცენტი (1.11 მილიარდი) ვუდსმა სარეკლამო კონტრაქტებიდან მიიღო. ტაიგერის კარიერა 1996 წლიდან იღებს სათავეს.

Golf Digest ასევე აღნიშნავს, რომ 84 წლის (!) ამერიკელმა გოლფისტმა **არნოლდ პალმერმა**, რომელმაც ბოლოს, PGA-ის ტურში 40 წლის წინ გაიმარჯვა, 2013 წელს 40 მილიონი დოლარი გამოიმუშავა და წლის შედეგების მიხედვით, ხუთ ყველაზე მაღალანაზღაურებად გოლფისტს შორის მოხვდა.

ამ ხუთეულში ვუდსისა და არნოლდის გარდა შევიდნენ: ამერიკელები **ფილ მიკელსონი** (52 მილიონი), **ჯეკ ნიკლაუსი** (26 მილიონი) და შვედი **ჰენრიკ სტენსონი** (19 მილიონი).



ტაიგერ ვუდსი

ლელო
ISSN 2233-3827
დამფუძნებელი და გამომცემელი **შპს გამომცემლობა ლელო**
გამოიცემა ყოველდღე, გარდა კვირისა

მთავარი რედაქტორი **თენგიზ გაჩეჩილაძე**

მთავარი რედაქტორის პირველი მოადგილე **გია თვალაბეიშვილი** (599 56 17 38); მოადგილეები: **ნიკოლოზ ნეფარიძე** (595 09 03 28), **გია ტუხაშვილი** (555 50 05 13);
მხატვრული რედაქტორი: **ვაჟა სიმონიშვილი**; ტექნიკური ჯგუფის ხელმძღვანელი **მიხეილ ჯაში**; ფოტო: **თამუნა ყულუმბეგაშვილი**.

1934 წლიდან გაზეთს ხელმძღვანელობდა სარედაქციო კოლეგია. „ლელოს" მთავარი რედაქტორები: მიხეილ კაკაბაძე (1949-52, 1964-76), ერემო მახათაძე (1952-53), ირაკლი უგულავა (1953-64), ანზორ ბასილაია (1976-83), არჩილ გოგელია (1984-85), თენგიზ გაჩეჩილაძე (1985-დან).

პალიტრა მედიის ცხელი ხაზი: 2 19 60 13; 2 19 60 53. ელფოსტა: contact@pallitra.ge; მისამართი: იოსებიძის, 49. ხელმოწერილია დასაბეჭდად: 02:50 ნომრის პასუხისმგებელი რედაქტორი: ვაჟა სიმონიშვილი
ტელეფონი: 599 55 48 97 (მთ. რედაქტორი); ფაქსი: +995. 232 38 08 63; leloltd@gmail.com (რედაქცია); lelo@palitra.ge ინდექსი 66435 INDEX. სარეკლამო განყოფილება: 237 78 07; 2 38 78 70
რედაქციასთან შეუთანხმებლად გაზეთის კუთვნილი მასალებისა და ფოტოების სხვა ბეჭდვით და ელექტრონულ საშუალებებში გამოქვეყნება აკრძალულია
საბანკო რეკვიზიტები: შპს „გამომცემლობა ლელო", 205262062. ბანკი „ქართუ" CRTUGE22 ა\ა GE19CR0120007000043608